

პარლამენტის პრინციპული ბიბლიოთეკა



K 144.690/3



190
სტენოგრაფია



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი

ი. ბ. რუსთაველის
ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

მედიცინის
ტექნიკა



თბილისის
თბილისის

გაბრიელის
«საქართველოს
თბილისი: 1971»

Յուզեցում
Երեւոյ

ԿԵՆՏՐՈՆ IX

K 144.030
3.

Իւրաքանչեւ



Գրադատական
«ՆԱԽԱՐԱՐԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ»
Երեւոյ. 1977


სარედაქციო კოლეგია

გურამ გვერდნიძე
ალექსანდრე გომიაშვილი
ელგუჯა მაღრაძე
ბესარიონ ქვეციანი
სოლომონ უბანიშვილი
ოთარ ჭელიძე
სერგი ჭილაია

ტომი გამოსაცემად მოამზადა,
ვარიანტები და შენიშვნები დაურთო:

ლუბა მეფარიშვილი

საგარეო ურთიერთობების
სამსახური
0002-2000



Ծղկախոտ
1740-1744



აკაკი წერეთელი

არა გინდა-რა კაცს იმის მეტი!
არის სიმღერა ქვეყნად ისეთი,
რომ მიატარებს მარადისობა
გენიის გზებით მოგიზგიზეთი.

მასში გაშლილა ფიანდაზობა:
სჯერა ძმას ძმობა, სჯერა დას დობა,
მის ძარღვებში დულს მღელვარე სისხლი
და მარადისი ახალგაზრდობა.

მისი წაქცევა თუ უნდა დემონს,
სიკვდილი დევდეს თვითონ, დეე, მას!
ფხიზელი, მხნე და ალლომახვილი
გული მგოსნისა განაგრძობს ცემას.

წარვლიან წელნი. მოვა სხვა ხანა,
და იმ სიმღერით, იმ გმირთა თანა

იბრძვის, წინ იწევს და ძლიერდება
ზეშთავონებით სავსე ქვეყანა.

საუკუნეთა არმორიდების,
მგოსანი ღირსი არის დიდების.
მიემსახურა კაცობრიობას,
მან მთები დასდგა მარგალიტების;

ხალხი არჩია წმიდათა წმიდათ,
მასში წრფელ გრძნობებს აგზნებდა დიდათ,
მან უმაღლესი მისწრაფებანი
გასდო მომავლის გზადა და ხიდათ.

დაე, დღე იყოს შიშველ-ტიტველი,
მრავალთა დარდის გულით მზიდველი,
მხოლოდ სიმართლის აღიარებით
იმარჯვებს ჩანგი მოუსყიდველი.

ის არ უკრთოდა მტარვალთა ყეფას,
ის წყვედიადისას ხევდა მეფობას,
მედგრად, უშიშრად განაცხადებდა
ხალხის ჩაგვრას და უუფლებობას.

ხალხის რჩეულის ხმა, პოეზია!
დასაბამიდან მკვიდრი ფესვია —
ის უყვართ, ხალხის სიყვარული კი,
ყოველ ჯილდოზე უმაღლესია!

გულიდან მოხეთქს ხმა დაძაბული,
და უსმენს ხალხი სულგანაბული,
რომ შემდეგ ერთხმად გაიმეოროს
როგორც თავისი ხმა გულდაგული.

უბრალო, ნათელ ჰანგთა ბუნება,
მარად გარემოს ეხმაურება,
მასში ცხოვრება ცოცხალთა ძალთა
არასოდეს არ დაიბურება.

აქ ჩივის კაცის თრგუნვილი სული,
და შებორკილი მისი სხეული,
შეგნება ამაყ, უკვდავ უფლებათ,
შურისძიებად გადაქცეული

აქ აღტაცება მოისმის ბრძოლის
და გამარჯვებულ იმედთა ქროლის,
მასშია სული ყოველ ქვეყნიურ
სიხარულისა და ფიქრთ მოწოლის.

მასში წადილი არის ნათესი
და გულის თქმები უდიადესი,
მასში ბრწყინვალე ოცნება დაჰქრის,
მასში მომავლის არის აღერსი.

ხალხთ ბაგეებში მღერა მგზნობელი,
სტიქიურ ძალის ხდება მფლობელი,
იგი მწვერვალთა ნიაღვრის მსგავსად
მოგრავინავს ლაღი და ულმობელი.

მოდის მრისხანე ხმათა მომრგავი
თავისუფალი, მძაფრი, მბორგავი,
მოდის მქუხარე და ბობოქარი,
მხნე, მღელვარე და შეუბორკავი.

ცხარე და ფიცხი ჰანგი მთა-გორის,
ტალღები სცნობენ ერთიმეორეს,
გზას მიიკაფავს ძალის ძალათი
მრისხანე ხევთა და კლდეთა შორის.

დაუცხრომელი ღვარი ღვარებად
ექსტაზით მძაფრად მიეჩქარება.
ქვებს ეხეთქება და ჩანჩქერებად
მშობლიურ არეს გადეფარება.

ასე, სიმღერის მიდის დიდება;
არ შეიძლება, არ დაიდება

ზავი; მგოსანმა არ იცის ზავის
დაშოშმინება და დამშვიდება.

ასეთი იყო ჩვენთვის აკაკი
არ ეკარება მის მღერას ჟანგი.
იგი იტაცებს ადამიანთ გულს:
ავსწიოთ მაღლა პოეტის ჩანგი.

დაბურულ ტყის იქით, გაღმა
მახსოვს, ვიწვექ მე გულაღმა,
ზმანებაში წამიყვანა
მშვენიერმა ძველმა ბაღმა.

ოცნებები გამატანა
ცხრაას რვა წლის გზათა თანა,
ლურჯ ზეცის ქვეშ მძლია რულმა
და, აი, რა დამეზმანა:

მუხას ადგა ოქრო მთვარის
და სიმშვიდით ყველგან არის,
უბოლოო მყუდროება
ზეცის, მიწის და მდინარის;

არ აშფოთებს სოფელს ღმერთი,
არ შეარხევს ტოტებს ქარი.
ცხენოსანი მხოლოდ ერთი
მე, გვიან გზით მივიჩქარი.

ავუარე რა ტყეს გვერდი,
გავიარე ფერდზე ფერდი,
ძირს ჩამოვხტი ცხენოსანი,
სად მოლია, ვით ხავერდი.

მწყურვალე ყელს გავისველებ
ცხენოსანი ვინმე ერთი,

და მშობლიურ მინდორ-ველებს
გადავსძახი: „ალავერდი!“

გაგიმარჯოს! — შორი-შორი,
იმეორებს მთა და გორი,
გაგიმარჯოს! — მიპასუხებს
ხეობა და ველ-მინდორი

გაგიმარჯოს! — აგრიალდა
აქედან კლდე, იქით წნორი.
გაგიმარჯოს! — ისმის წყალთა
მდინარების ხმათა ტბორი.

უფრო გაკრთა შუქი მთვარის,
და მღვიძარე ფრთისქვეშ არის.
დაირღვა რა მყუდროება
ზეცის, მიწის და მდინარის.

გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს!
იმეორებს მძაფრი ქარი,
ცხენოსანი ვინმე ერთი
მუხას ვუცქერ და შევხარი:

დიდებული და მაგარი,
ცად ასულა შენი მხარი,
მძლავრადა სდგას, მტკიცედა სდგას,
უმაგრესთა ფესვთა მყარი.

ვინ დიდება მარადისი
და გულისხმა საოცარი,
საიდუმლო იცნოს მისი?
ბაგეებს სდევს ძნელი კარი.

რაღაც ვრცელი, იდუმალი
შენ გამსახურებს ძალოა-ძალი,
უხილავი უკვდავება,
მეუფება მრავალთვალი;

როგორა სცნოს კაცის სისხლმა
აქ ქვა — ქვას რომ დაადულა
რა დიდება იგულისხმა?
მითხარ, მუხა, დიდო მუხა!

მსვლელობათა დიდთა მჩენი
მიდიოდნენ დღენი, თვენი,
ჟამი გაჰქრა, კაცი წაჰყენენ...
სად? ვერა სცნობს დანარჩენი.

ბევრი მოდგმა გადაშენდა
დამნგრეველი, გინდა მშენი,
მაგრამ განა მტერთა შენთა
საიდუმლო უთხრან შენი?

რაც იმდენი ციდან — ცამდე
იხილე და განიწადე,
რაც მზის დასვლა და ამოსვლა
შეიგრძენ და განიცადე,

რა ქაობი და რა ვუბე,
საუკუნის ხანისამდე...
მაინც დიდი ხარ მეუფე..
გამარჯვება განიმზადე.

შემოსილო ერთ დროს ღრუბლით,
შეგხვევოდა მარად მუმლი.
იარებით დაიფარა
შენი მკერდი, შენი შუბლი.

იყო საშინელი წამი,
გამყინველი როგორც შხამი.
როცა სული უდაბნოა,
და არა სჩანს ზეცის ნამი.

არ არსებობს გაღიმება
არც ჩემდამი, არც თქვენდამი...

ო, სიმებო! ო, სიმებო!
ხომ გიგარძენიათ თქვენ ეს წამი!

რა კარგია, ქნარო, მაშინ,
სადმე ველად, სადმე მთაში.
იქ, სადაც სდგას ძველი მუხა,
სად ფოთლების ისმის ტაში.

უნდა იქნას სიხარული
გაზაფხულის მზიურ თქმაში;
გამოჩნდება იქ ქალწული,
ყვავილების ეშხით თმაში.

და იქ სულის ახალ ვარდებს
ქარი შენს ხმას შეუფარდებს.
ისმენ ახალ მელოდიებს,
და შენაც ჟღერ, როგორც გმართებს.

ო, ქალწული მთისა შორის
ძვირად ჩნდება კაცთა შორის,
ის არ მოდის, იგი ჩნდება
როგორც სუნთქვა სხვა, მეორის.

იგი ისვრის ვარდებს მზიანს,
და შვენებას ამ მთა-გორის
უწოდებენ პოეზიას —
უშაღლესთა თანასწორისს.

იგი გზაა და ციმციმი —
და მის ქნარზე ბევრი სიმი
სიცოცხლეა, თუ არ გაწყდა
ტლანქი ხელით დანამძიმი.

ო, ბრალია თუ ქვეყანას
დასხლტა პოეზიის ღიმი,
მისი ბრძოლა, მისი ნანა,
მისი ლხინი და ნადიმი.

ვერც ეს ჩრდილი, მუხის ჩრდილი,
ვერც ფიქრები მის ქვეშ ზრდილი,
გაუძლებდენ ბობოქარ წლებს
მძლავრი, ტოტებგადაწვდილი
ლურჯი ზეცა, ლურჯი მთები,
და ეგ ლამე ფერ-მიხდილი.

მე ვიგონებ გარდამავალს,
ამ ლამეებს მრავალთ-მრავალს,
როცა მტერი მოგვისპობდა
ყოველნაირ გამოსავალს.

მაგრამ შენ რას გაყვედრიდენ
ან რა შეველას, ანუ რა ვალს?
ჰკითხე მეხს და ჰკითხე გრიგალს
შენს მწარე თავგადასავალს.

შენ ნუ გინდა, არც გაგონებ
უგზობას, მწარე დარებს,
დიდი ხნიდან შენზე ფიქრი
ამ არეზე დამატარებს.

მშრომელად მქმნის, მედროშედ მქმნის-
და შემოქმედს დამადარებს,
არ გადამჩეხს, არ გადმისვრის
ბეერჯერ გამიღარისღარებს!

გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!
იმეორებს ეხლა ქარი.
მალვიძებს მზე. ცხენოსანი
კვლავ სწრაფი გზით მივიჩქარი.

ცაზე ღრუბელთ კრებულია,
მთები გაწითლებულია.
მზე შუა-ცას გადასცილდა,
გადაშუადლებულია.

მზე დაბლა სცემს სხივებს ცერად
და ირიბად, აღმაცერად,
მოცახცახე-მოელვარე
ჰაერს ფერავს ოქროს ფერად.

ნშირ ფოთლებში და ნიაეში
გზა გამოდის სოფლის თავში,
მიიხვევა, მოიხვევა,
და პირდაპირ მიდის მთაში.

იმ გზით — ისევ სხივოსანი,
როგორც მგზავრი და მგოსანი
აღტაცების მხნე სიმღერით —
ვეშურები ცხენოსანი.

მე აქ მგზავრი ვარ სხვა გვარი
ბევრი ღამე და ხანძარი,
შემხვედრია ქარდაკრული,
და მიტომ ვარ გულ დამწვარი, —

მაგრამ მე ხომ ნაირ-ნაირს
ისე ვიცნობ ამ მთის ჰაერს, —
როგორც ბილიკს — მონადირე,
როგორც ლალი მწყემსი — შაირს.

მზე აცხუნებს, კილით-კიდე.
ღრუბლის რიდე, მსუბუქ მჭიდე,
ჰორიზონტით ზენიტამდე
სითბო არის და სიმშვიდე.

და ლამაზ გზის ორივე მხარეს,
როგორც სიზმარს ყვავილ-ნარევს,
მოჰფენია აყვავება
აკაციებს მონარნარეს.

მათ თეთრსა და სურნელ მტევნებს
მოქანავთ, ვით შადრევნებს,

დღე მზით მოზუზუნე ფუტკრებს,
და ნაზ პეპლებს მიაღვენებს.

და ლითონის ცივი ბზინვით
აბრეშუმის ქსოვილივით
სივრცე გადაჭიმულია
სახნავ სათეს ველთ ლივლივით.

და გზის ყოველ ხვეულებით,
თითქო რაღაც გრძნეულებით
შეიცვლება სახეობა
ხედით, ნაკეთით, ხვეულებით.

თითქო რაღაც მანქანებით
უეცარი დაქანებით
სხვაა სახე და იერი,
ვინემ იყო დახანებით.

და იცვლება, და იცვლება
რისი ცვლაც კი შეიძლება,
არე-მარე, გარეგნობა,
მონათება, შენისლება.

თვითეული ჯაჭვი მთისა
წვეტი ყოველ წვერვალისა,
თვითეული გამოჩენა
ბორცვისა და გორაკისა,

თვით ხეობა, თვითონ ველი,
ხე ყოველი, ტყე ყოველი
აჩვენებს თუ რანაირად
უხვია და უღეველი.

რა ვრცელია და ძლიერი,
დიდებული, მშვენიერი,
უბოლოო, მრავალფერი,
ღრუბელთა ცვლა და ელფერი.

ისინი ხან უზარმაზარს
მოჩვენებით ჰგვანან ტაძარს,
როცა მილულებულ შუქში
მოიკიდებს ცეცხლი ნაცარს

ისინი ხან — ზვინებია
ქარს რომ მიუძინებია,
ოქროს ნისლში უხვევია
და ქედს მიუცილებია.

ისინი მზეს სწყურდებიან
ჩუმად გამოცურდებიან,
შეთბებიან, გზას იცვლიან
და ქედს დაუბრუნდებიან

ზოგი, როცა მზით ღვივდება,
შორით ამოტივტივდება,
აენთება, გაბრწყინდება
და სადღაც შორს გაცივდება.

მრავალნი გზის პირებიან
ნისლში ჩაიძირებიან,
ინთქებიან თითქო სადღაც,
და კვლავ მოიმზირებიან.

ანდა ეხლა მზად არიან,
რომ ღველფიან-ღადარიან
ჰაეროვან ბურუსებში
ელვარება გადარიონ.

მზად არიან შუქით თან-თან
მიიფანტონ, მოიფანტონ,
მზის ჩასვლაში შეერიონ,
მტრედისფერად გაილანდონ.

ხან იიან-ვარდებიან
გზებით მიიმართებიან,



ცაში კლდოვან მწვერვალებად
გლექჩერებად მყარდებიან.

როგორც ლანდი ამოების,
ლანდი იმ მიდამოების,
ცის უღრმესი შებინდების,
ლურჯი ასალამოვების,

ხან კაშკაშა რამე ჭალი,
ხან ბრწყინვალე რამე ბალი
ამწვანებულ ხვეულების,
და ქედების იალალი;

ტრიალ მინდვრად, სად უხვია
ყვავილები ანუ ღვია,
ფართო გზისგან ბილიკისკენ
ცხენოსანმა გადვუხვია.

ბილიკი იქ იქარგება,
სად მთის ძირი იქარგება.
ლამაზ ტბასთან არე-მარე
მთებით შემოისარკება.

დროა ყოფნის, დროა გრძნობის,
მსურვალე დრო ხალისთ ცნობის
ცხარე მსურვალეების დროა,
ცხარე დროა ყვავილობის.

აქ ფოთლები თრთიან წაბლის.
სუნით ნექტარის და თაფლის
ჯაქდენთილა მწვერვალი მთის,
ქედმაღლისა და თავმდაბლის.

აი, უცხო დედოფალი
მთების მშვენიერი თვალი —
ეს ყვითელი ზამბახია —
და ისეთი ტანმაღალი,

რომ თვით კაცი ცხენიანი,
ტანმალაღი და მხრიანი,
შიგ არა სჩანს არსაიდან,
ტყეა ზამბახებიანი.

თითქო თრთიან გარემონი
და დაჰკარგა ველმა გონი.
თვალის მომჭრელ სიწითლითა
გადაშლილან ყაყაჩონი.

ისინი თვალთ იალებენ
გიზგიზებენ, პრიალებენ,
იწვიან და იგზნებიან
თრთიან, მიმოშრიალებენ.

ისინი ხმით ხმაურობენ —
არა, არ-აქაურობენ, —
ზეიმობენ, მოილხენენ,
უცხოდ დღესასწაულობენ.

რა ძვირფასი ფერებია,
რა ნარნარი ჩქერებია,
მოძრაობენ იმნაირად,
თითქო სულიერებია!

რამდენია ვარდთა ჩენა,
ფერთა თრთოლვა, ჩრდილთა დენა,
თეთრისა და ვარდისფერი
გვირილების მიმოფენა.

ისინი ნაზ და ქნარიან,
სიხარულის ტყვედ არიან,
თითქო ლალად იცინიან,
ზაფხულის დღეს შეჰხარაიან.

და სიცილით, რომლის დროსაც
ეალება მნათი სოსანს,

რაღაც წყნარი აღტაცება
ელინება სკაბიოზას.

რა სინაზით ელავს ველად
ლილიფერი მაჩიტელა.
გადუხრია კლდისკენ თავი
და სიზმრებში შედის ნელა.

მუქ-ვარდისფერ დენით მიდის,
მიხაკები ველის დიდის,
სუნთქვა თეთრის ღიღილოსი,
ხედვა ლურჯი აკონიტის.

ფოთოლთ ეღერა წამთა ჭერა,
თითქო სჯერა და არც სჯერა.
ყვავილობის აღტაცებას
მისცემია ფერა — ფერა.

ჩადიოდა მზე. და ფონი
იყო ცეცხლით განაჟონი.
ეხვეოდა მშობლიურ მთებს
ვარდისფერი დაფიონი,

ეხვეოდა არე-მარეს,
ყვავილებით რთავდა მხარეს,
რათა გამოსალმებოდა
ამ საღამოს მოელვარეს.

ეხვეოდა მთების ქანებს
და ხეობებს მუქს და მწვანეს,
რათა მალე შერეოდა,
ღამეთა ლურჯ ოკეანეს.

ცხენოსანი ვხედავ დაბას,
ძირს დაცემულს, როგორც დაფას,
აუწერელ სილამაზეს,
მშვენიერსა და ძვირ-საფასს.

მწვანე ხეობაში შეთენილს,
ტყიან მთებით შემოფენილს
მაღალ მთებით, რომელთ მხრები,
ნისლს სწვდებოდა ცად აწვდენილს.

გულს ისარი მზისა მოხვდა!
თითქო სულ სხვა ქვეყნად მოვხვდი.
მიცემული გაოცებას,
ცხენით ველად მე გადმოვხტი.

სულ სხვა მხარე, სულ სხვა ჰუნე,
სულ სხვაგვარი საუკუნე,
სულ სხვა ხანა წუთისოფლის,
სულ სხვა გრძნობით მოღუღუნე.

დაფენიან ველს სახლები,
დაფერდებით, ამაღლებით
უბუხრო და უფანჯარო,
შავი ბოლის თანახლებით.

მიწურს ხურავს ზემო ბანი
ასე უბანს ცვლის უბანი,
ნახევრად ქვის, ნახევრად ხილ
სულ უბრალო შენობანი.

დაბა მორჩა მუშაობას,
დღისას ამბობს ბნელ-შავობას,
მუშაობა მორჩა, ეხლა
ელის მოსვენების გრძნობას.

და ეძახის გორას — გორი,
წკრიალა ხმით — მინასწორი,
ერთურთს გაეხმაურება
სხვა გომბორი და კახორი,

ამ საუბრით, მოგონებით,
სიტყვის სიტყვად მიკონებით,

თითქო ძველის ძველი წიგნის
გამოცოცხლდა სტრიქონები!

ამ მივარდნილ და შორ კუთხეს
უხსოვარ დროს, თითქოს უთხრეს,
ძველ მწიგნობრულ ენაზე, რომ
ისაუბრონ — ეს აკუთვნეს

და თითქო დრო მთლად გაჩერდა,
უცნაურ ხალხს დააჩერდა,
ნახა თვისივ საოცრება,
გაჩერდა დრო და დაჯერდა.

მზე უფრო ძირს ეშვებოდა,
მზე ჰქრებოდა, ხმა წყდებოდა,
არე-მარეს მხოლოდ ჩქარი
მდინარის ხმა აწყდებოდა.

და ჯერ ისევ ნათელ ცაზე.
სად სევდაა და სინაზე.
ახლა სულ სხვა გახსენების
ამოიჭრა სილამაზე.

ამოვიდა ქიმ-ელვარე
და ბეწვივით წვრილი მთვარე.
საიდანდაც სიმღერის ხმა
გამოისმა მგრძნობიარე.

ვილაც დადის, თვალს აცეცებს
და საყვარლის საფლავს ეძებს,
ვერ ნახულობს ძვირფასს საფლავს
და ეს კი დარდს უასკეცებს.

გამქრალიყო, წასულიყო,
მშვენიერი ის სულიყო,
მხოლოდ მთვარე ანათებდა,
რადგანაც მზე ჩასულიყო.

.

სულ! სულიცო! ყველგან წვდება —
რა ნაბიჯიც გადიდგმება.
თვით ხევსურის სოფელშიაც,
სული სულიცოსი გზვდება.

სიჩუმეში მიწურები —
ჰანგს უსმენენ მოწყურებით,
თითქო შორით წკრილა ხმით
ხმაურობენ ჩონგურები.

აჰ, სიზმარი მეგონება
მე ამ ჰანგის გაგონება,
მსიამოვნობს იგი მარად,
როგორც კარგი მოგონება.

ჰანგი იგი — დიდ წვაშია,
იგი თითქო ტანჯვაშია,
მისი დიდი გრძნეულების
ძალა ჯადო-სიტყვაშია.

გრძნობა მეტი მე, მგონია,
არცა მაქვს და არც მქონია,
ყველა იმისადმი, რასაც
ეწოდება ჰარმონია.

.

მასში ისმის დამლატველი
ძველი დარდი და ნადველი,
ვნებიანი მწუხარება
სევდის ასე ამსახველი.

კაეშანი რამე, ურვა,
გულმომწყველელი ბედით მღურვა,

გატეხილი გულის — ოხვრა,
ყოფნა რომ არ მოისურვა.

მასში თრთის და ცამდის ადის
მოწყურება სიდიადის,
რალაც დიდის და მაღალის,
რალაც კარვის, იშვიათის.

.
.

აწ არ დარდობს, პირმცინარებს,
კი არ მოდის, მომდინარებს,
და ნაზის თან აქედრებით
ჩონგურს უთანაბრებს ქნარებს.

იგი ხმაა, ხმა ქართული,
ღრმა რამე და რთულზე რთული,
სულიერი ცხოვრებისა
ნორვეშია გადართული.

განსაზღვრულით ცხოვრობს გრძნობით,
მაგრამ მთელის აღნაგობით
გულისყურით სწყდება განცდებს,
მთელი თავის არსებობით.

— უსათუოდ, რა თქმა უნდა,
სპილენძისა იყოს თუნდა —
ჩონგურების ამ ნაზ სიმში
ხალხის გული აგუგუნდა.

უშუალოდ და მრავლობით,
მაგრამ უცვლელ აღმავლობით
თანაშემოქმედებითი,
მგოსნისადმი წრფელი გრძნობით.

რაა თხოვნა და ხვეწილი?
საქართველო დახვეწილი

ჩანგის დამფასებელია:
ხმა არა სურს შელენწილი

თვით ფაქიზი, მცოდნე, ნაზი
არის და მით იცის ფასი,
რომელია ხელოვანი,
და რომელი ყომარბაზი

როს მღეროდა მას მესტვირე
მგოსანმა სტქვა: არ თუ მცირე,
მოვაწერდი ხელს ამ ლექსებს,
მე, უბრალო მოშაირე.

არამედ თვით რუსთაველი,
ვის გენია ჰქვია ძველი,
მას არ იუკადრისებდა,
რომ ქვეშ მოეწერა ხელი

რაც ხალხს არჩენს და ასაღებს,
მისი სულის ძნელ გასაგებს,
მხოლოდ ხალხურ პოეზიით:
დაეძებდა ის გასაღებს.

მასში ხალხის გარდუვალი
ასახულა დრო და ვალი,
მრავალტანჯულ მისი სულის
წარსული და მომავალი.

ვერ იპოვით თქვენ მსგავსს ვერსად,
და დასტოვა მან ანდერძად:
ხალხის ყოფა-ცხოვრებისა,
და ზნეჩვეულების ღერძად,

ტრიალის და მოძრაობის,
მისი ზეპირსიტყვაობის
შესწავლისთვის იყოს ზრუნვა
ჩვენი ღროის და თაობის.

უეზოო და უსახლო,
ის ყველაზე უფრო ახლო
იდგა ხალხთან, ვით მგოსანი,
საზოგადო და სახალხო,

ვარსკვლავთაგან გათეთრების,
უმაღლესი კათედრების,
სილუეტად აღიმართნენ
ხრამიანი მკერდნი მთების.

რა სივრცეა, რა შვენება,
როგორც თეთრი მოჩვენება
ასკილების მაღალ ბუჩქებს
დაფარფატებს მოსვენება

მათ ყვავილთა ფერად ნართებს,
რომ სწყდებიან ია-ვარდებს.
ტკბილსა და ნაზ სურნელებას —
მთის ნიავე ანავარდებს.

მორონინე მასთან გვერდით —
იმ ყვავილთა სუნთან ერთად
ხმოვანება ჩონგურისა
კვლავ გაისმის შემაერთად.

და იგი ხმა საედემო,
მეოცნებე და მოკდემო,
წყნარი ტონით, სევდიანად
იძახოდა: თავო ჩემო!

ვარკვეული და სსართული
იყო იგი ხმა ქართული.
ყოვლი სიტყვა მოისმოდა
მკაფიო და გამართული.

ძნელი არის ოდეს ჯავრი
გულს აწვება რამე მძლავრი,

როს ბედი არ გიწერია,
როს მტერია თანამგზავრი...

ვით უსაზღვრო მწუხარებას
ულევ ცრემლთა მდუღარებას,
მოარხევდა „თავო ჩემო“
ულრმეს სევდის მშუქარებას.

ვარამს რასმეს და გულსაკლავს,
ფერმოდრუბლულ ბედის ვარსკვლავს,
წუხილს უბედურებისას,
ნალგელსა და ვაი-ვაგლახს.

თითქო მწარე სიყვარული
მოსკდა გულით გაბზარულით,
ის ჩივილი, ის გოდება,
იგი კვნესა-სინანული.

მხოლოდ, ვარამს მიცემული,
ამაყი და წრფელი გული,
დაცემას არ ნებდებოდა,
და არც მთელდებოდა წყლული.

გული, რაკი გაიბზარა,
ჰკვდებოდა და ეღერდა ქნარად,
მოდოდა მუსიკის ხმით,
შურისგების მძლე მუქარად.

ჰკვდებოდა და ჩქეფდა ხმებით
მომაკვდავის ძლიერებით —
მოდოდა ეს მუქარა —
და სუნთქავდა უკვდავებით!

რა ლამაზი სიმღერაა!
მთელი ცაა, მთელი ზღვაა,
მაგრამ მეტად, მეტისმეტად
ნაღვლიანი სიმღერაა!

ეს ნაღველი ძველი ტოტის,
წარსულისგან მოდის, მოდის,
წარსულ მწუხრით—ცისკარამდის
და ცისკრიდან საღამომდის.

ო, ეს ლექსი-ბედისწერა,
იმ ხნიდან რაც დაიწერა:
გახდა ხალხის კუთვნილება,
საარსებო გულისძგერა.

იგი იცნობს მის რაობას
და გადასცემს სხვა თაობას,
რადგან სწორად გამოხატავს
მისი გულის მოძრაობას.

მძლავრია ეს მუქარება,
ჩვენია — არ — უკარება.
რისთვის, მაინც, გვჭირდება ჩვენ
იმ წარსულის მწუხარება?

ო, გვჭირდება! ყველა გეტყვით,
ის გვჭირდება მის მიხედვით,
თუ რა გრძნობას გამოხატავს
თავის დარდით, თავის სევდით.

მას შეგნება უნდა მტკიცედ:
მომავალის ხმით და ფიცით —
ფასი თანადროულობის
ჩვენ წარსულის ცოდნით ვიცით.

და ძველი ხმის ამოღებით
მოქარგულით, ვით ნოხებით,
დღე მდიდრდება და წინ იწევს
ცოდნის დიდის მეოხებით.

წყნარი ღამე იდგა სოფლად,
რალაც ფარულ თანამგრძნობლად
ქალების და კაცების ხმა
მოისმოდა სულ მახლობლად

თითქო უცებ დაიბადა
მოდევნებდა იმა ხმათა.
ზე ავარდა ცეცხლის ალი
და ხეები გაანათა.

არ დავხანდე მე, მოხეტე,
მისალმებით, მხნედ მივიდე
ჯგუფთან, აღზე გალანდულთან,
მძლავრი ცეცხლის ლივლივითა.

იქ ქალები იდგნენ, მთელი
დაეფარათ თითქო ველი-
მათ მოსავდათ ფერად მუქი
მოქარგული ტანსაცმელი.

ბროლ-ლიკილა ესხათ ხშირი,
შინ ნაქსოვი ხელით, ძვირი,
მშვენიერად მოქარგულ
კალთები და გულისპირი

ახარებდათ მათ დღეები,
ეს ხეები, ეს ტყეები,
მათ შვენოდათ მკაცრი, მტკიცე,
და სანდომი სახეები

მამაკაცებს ეცვათ გარე
ჩოხა მრავალ-ნაომარი.
ჩოხის ზურგზე და მხრებზედაც
დანატული იყო ჯვარი.

რაინდული, მალზე-მალი.
თითქო მტერს ეძებდა თვალი,

ბევრს იმათგანს თან დაჰქონდა
მუზარადი და ფარ-ხმალი.

და როს უცხო მოყმე ვითა,
მხნედ მისვლას არ მოვერიდე,
ხევსურები მომსვლელს შემხვდნენ
კეთილგანწყობილებითა.

მეგობრულად დასდევს ფარი,
წამოიწყეს საუბარი, —
და აღმოჩნდა, რომ აკაკი
არის მათი მეგობარი.

ხევსურეთშიც ბევრსა ჰსურს, დღეს
რომ დაესწრონ იუბილეს, —
მზადება აქვს ქალსა და კაცს
სიბერეს და სიყმაწვილეს.

— ჩვენ ვისზე რა ნაკლები ვართ,
საქართველოს შვილები ვართ,
ქალაქჩია ძლიერ ხშირად,
გეახლებით, ვით გხლებივართ.

— მასზედა ვართ, განა სხვადა —
აქ მოხუცმა განაცხადა —
ჩვენ მოხუცნი ვცხოვრობთ ისევ,
უბრალონი ვართ და სადა,

მაგრამ ჩვენი ბავშვები კი,
ვით ახალი სჯობს წეს-რიგი,
სწავლას მიესწრაფებიან,
სწავლისკენ აქვთ თადარიგი:

მათ ნიჭი აქვთ, გზა უვარგათ,
იცხოვრებენ ძლიერ კარგად,
თუ სიმხნე არ დაელოათ,
თუ ძალა არ დაეკარგათ!

ვიდღესასწაულებთ ყმანი
აკაკის დღეს ჩვენ ყველანი,
არ ვახსენოთ, არ იქნება
ის კალამი და მელანი.

ძლიერ კარგი არის კაცი,
მსგავსი ცოტა არის აწი.
ხალხისათვის თავდადებას
გვიქადაგებს გულ-მამაცი.

თვით მინახავს იგი ტფილისს;
ერთხელ შუა ზაფხულს, ივლისს,
ქალაქჩია წაველ, ჩემთან
იყო ჩემი შვილიშვილიც.

გზად მოხუცმა გაგვაჩერა,
თვით სალამი მოგვცა ჭერა,
შემდეგ ჩვენი გამომკითხა
ამბავი და ბედისწერა.

როგორა ვართ, ვფიქრობთ რასა,
როგორ ვაწყობთ ცხოვრებასა,
გვიჩია რომ ბარისათვის
ბევრ რამეში მიგვებაძა.

გზად საუბრით წამიყოლა,
მითხრა: ყოფნა არის ბრძოლა,
უსწავლელი დამარცხდება,
თქვენთვის საჭიროა სკოლა.

მაშინა კი სწორე ვითხრა,
მეც იგივე გავიფიქრე.
ვუთხარი მას, რომ ამისთვის
საჭიროა ზღვა სიმდიდრე.

ეჰ, წავიდა ის დრო. მალე
მოტრიალდა გზა და ძალა.

აირია დედამიწა,
ბევრი რამე შეიცვალა.



დრომ ბორბალი მოაბრუნა,
ჩვენზე მაშინ ვინ იზრუნა?
შორი იაპონიიდან
ტყვიამ შემოიზუზუნა.

ქადაგებდა ის პოეტი:
მოვა დრო და მეტზე მეტი
შემოვაო განახლება,
დადგებაო ნათლის სვეტი.

გაიღვიძოს ყველა ერმა,
სკოლას მოჰყვეს გზა და ფერმა.
მდიდრებს დავცემთ და მერე კი,
ვერ დაგვძლიოს ვერაფერმა.

ახალ სახლის ბჭეს ავიგებთ,
ნოხსა და ხალს ძირს გავიგებთ,
შნოს ლამაზი ცხოვრებისას
ჩვენაც ვიგრძნობთ და გავიგებთ.

ვუსმენ მოხუცს. ამოცანის
ამოხსნით ვცნობ: სხივოსანი
აზრით მოდის მომავალი,
მას გრძნობს ხალხი და მგოსანი.

ღამე მთებში სვენდებოდა.
ირაყრაყა. თენდებოდა.
შუბლი აღმოსავლეთისა
ვარდისფერად ენთებოდა.

და წიფლების მწვანე კარვებს
თითქო ფიქრებს განუქარვებს,

ხმაურობდა გრილი ქარი,
პირდებოდა დღეს უქარვესს.

ირხეოდა ფიჭვის ტანი
წელმსუბუქი ნამეტანი.
გზაზე მხნედ და მხიარულად
მივილტვოდი ცხენოსანი.

მივქროდი და თან მიმქონდა
მთელი ტვირთი განაგონთა,
რაც რომ წარსულს გაახსენდა,
რაც კი მოხუცს მოაგონდა.

გამჭვირვალე როგორც ზვირთი
და თან მძიმე იყო ტვირთი,
თითქო თვითონ არე-მარე
მაგონებდა: ჩაუკვირდი.

მთელი ტვირთი ანდაზების,
ზღაპართ გაფიანდაზების,
შელოცვების, სიმღერების,
გამოცანა-ფანტაზმების.

სწორ-ტანიან წითელ სვეტებს,
ცის ხანძარი ალს უკეთებს,
ისეთია დილა, თვალი
ვერრას ნახავს მის უკეთესს.

ლამაზის და ტანად სწორის
მოშრიალე ვერხვთა შორის,
მივისწრაფვი ცხენოსანი,
მთაში, სადაც ცაა ქორის.

— მივდიოდი, მოვდიოდი —
სიხარულით, მაგრამ როდი
მეგონა თუ სიზმარს ვნახავ; —
ამას როდი მოველოდი.

მზის რა დრო არ გავიყავი,
მაგრამ ფიქრშიც არ ვიყავი
პოეზიის საღამოზე,
უცებ მოვხვედრილიყავი.

თუმცა ასეთ საღამოთა
სიღამაზე ყოველ დროთა,
საქართველოს დაბა-სოფლებს
ძველთაგანვე მოჰყვებოდა.

ჩონგურების არის ბგერა,
ხმათა ტყორცნა, რითმად ჭერა.
დროის ყოველ შემთხვევისთვის
მოდის ლექსი და სიმღერა...

უბრალო და საღ თვისებით
დიდი ნიჭით და ღირსებით,
კმაყოფილად მყოფი ხალხით
მათ მოსმენას ნაღირსებით.

ერთ მშვენიერ ხალხურ ლექსზე,
რომელზედაც სჩქედდა ეს მზე,
ვერასდროს რომ მსგავსს ვერ ჰპოვებს
მეოცნებე უკეთესზე. —

ხალხი იგრძნობს იმ სამყაროს,
და მზადაა გააქაროს
ვინაც ჰბედავს, რომ იმის გულს
სიყალბე რამ გააკაროს!

ის სიმრუდეს ვერ აიტანს,
ვერ მოითმენს ჩიხს და მითანს,
მისთვის ემსახურებიან,
მისთვის უწოდებენ ტიტანს!

და საღ გრძნობათ ნაკადული,
მართლად არის დახატული,

გრძნობა ადამიანური,
და კაცური სიქადული.

ხალხი მას არ მიატოვებს,
და პოეტი მარად ჰპოებს
უგულწრფელეს თანაგრძნობას,
სითბოსა და სიახლოვეს.

თვით აკაკი წერეთელი,
რომლის სიხარული მთელი
იყო დიდი პოეზიის,
ვით სამშობლოს, გრძნობა წრფელი,

ამბობდა რომ ნაზი წყარო,
პოეზიით სამდინარო
არის ხალხის ძლიერ სულის
ანკარა და ღრმა სამყარო.

ჰანგი შეწყდა, ხმა დახანდა.
მთლად დაბნელდა. მთლად დაღამდა.
ცაზე ვარსკვლავების გუნდი
აენთო და აკამკამდა.

ის ლექსები არის სარკე,
ყველას ერთად და ცალ-ცალკე
ესმით ქვეყნის მწუხარება
და ცხოვრების სიავეკარგე,

გვერდი რომ არ აუარა,
ასე შეუმსუბუქა-რა,
თავის დროზე უბედურ გლეხს
მძიმე ტვირთი და ბეგარა.

იგი ლექსი, ის სიმღერა
ის სიმები და ის ქღერა
იყო, მხარეს სულიერი
აღმაფრენა რომ შთაბერა.

გადაადო ფიქრთ დინება,
სიღინჯე და ალტყინება.
განამტყიცა, გაამაგრა
მისი ღიღი გაბრწყინვება.

სწევდა თავისთავის გრძნობას,
იმედსა და ვაჟკაცობას,
ასწავლიდა თავდადებას,
ომად წასვლას და გამირობას.

და აწ შეგვიძლია მარად
სრულ უფლებით, შეუმცდარად —
ვადიაროთ ის, ვინც ხალხი
პირველ ხატად აღიარა!

ჩვენ, რომელთაც ამის მეტად
ვერვინ გვნახავს უიმედოთ;
შეგვიძლია ჩვენ მთლიანად
რომ მგზნებარე პოეტს ვენდოთ!

არ შეეძლო მას, ო, არა,
დაეშვა, რომ მატყუარა
სულმთლად რომ არ განადგურდეს,
დასჯერდება ის თუ არა?

შესძლებდა ხომ იგი გლეხი,
კისრით რომ მოიძრო კეხი,
მთლად მოესპო ის ბატონი,
დამჩაგვრელი და უკმეხი?

ო, შეეძლო მას, წერეთელს,
ძველთა ღრთთა განით მჭკრეტელს; —
შერყეულს და მოქანავეს,
როს ხედავდა კლასის კედელს,

შეხვედროდა როგორც ზეიმს
ბატონობის ძირს დაცემას,

და იგი სრულ მომავალის
მისცემოდა აღტაცებას.



გზისთვის ფიქრი არ ათავდა,
ტყე დასრულდა, ტყე გათავდა,
ღირღოვანი და ფრიალო
შორს ციცაბო ათავთავდა.

მდინარების ჩამი-ჩუმად,
ნისლი მოჰქრის აბრეშუმად,
ნისლებრ ფიქრში გახვეული
ჩემი ლურჯა მიდის ჩუმად.

მიდის იგი. ვგრძნობ მთის ურკოლას.
და რა უნდა ფიქრს დაბოლოს,
რომ ნისლები მშვენიერ მზეს
შიგ თვალეში მიაბოლოს?

ბრწყინავს გულ-გაღეღილი ცა.
აჰა, უღელტეხილიცა.
მცხუნვარე მზე, წარმტაცი მზე,
ნათელი ცა. ხეხილიცა.

ხედი ნაირ-ნაირია.
კარგი, სუფთა ჰაერია.
წარმტაცი და მიმზიდველი
ქარი ღუმელს დაერია.

აი ფერნი სამკვიდრონი,
სადაც მსხვილი და დიდრონი,
ალბიური ყვავილების
გადაშლილან ველ-მინდორნი.

მათი თლილი ღეროები,
სტვირნი სასიმღეროები,

ხავერდოვან ფოთლებსა
ნაზი, მწვანე ჩეროები



მათ სხივები არ უშლიან,
და ზედ ფართოდ გაუშლიან,
გვირგვინები მშვენიერი,
ერთი მეორესა სცვლიან.

ლურჯი, თეთრი და წითელი,
ან ცისფერი, ან ყვითელი,
ფერებს კვეთავს ქანდაკებად
თვით გენია წინანდელი.

მათი მალლა შემუდრული,
ფერი მკვეთრი და მდიდრული
უხვად მოჰფენია ქედებს.
შვენებით და გზნებით სრული.

გადამდგარა თეთრი ვარდი
ზედ უფსკრულზე, თავდაღმართი
დაქანება და ფერდობი,
ჰყვავის ვარდთა მილიარდი.

მეოცნებე მდგარი მთაზე
კვლავ ზმანებით ვარ მე სავსე.
გზა ეშვება ყვავილების
და ბალახის ხალიჩაზე.

აქ არ სჩანან ტყენი, ხენი,
ბალახსა სძოვს ლურჯა ცხენი.
გეჩვენება: საღ სივრცვა
უსივრცო და თვალუწვდენი —

რალაც ნაზი იბადება
მტრედისფერი განათება,
განათება შუადღისა —
ქარვით გაანდამატება.

ამ კაშკაშში. ამ ციალში,
ბრწყინვალეობათ ურიცხვ ალში
უნაზესად გაწოლილი
გაბეული საბურვალში



როგორც მშვენიერი ლელო,
სათაყვანო, სასახელო,
ამ წარმტაცი მთიდანა სჩანს
ნახევარი საქართველო.

ერცელის, დაუსრულებლების
განუწყვეტი ჯაჭვი მთების,
ჩაშავებულ სიმწვანეში
მყოფ ხეების და ტყეების,

ხან ჰქრებოდა, ხან ჩნდებოდა,
სხივით გული აღგზნებოდა,
და ჩრდილოით დასაველეთზე
მძიმედ მიიზღაზნებოდა.

სიმაღლითა ცას სწვდებოდა
მხურვალეებით ენთებოდა,
ჰაეროვან ბურუსებში,
შორს სამხრეთით ინთქმებოდა.

დავხედავდი ვიწრო ქალას
ყოვლად სავსეს — ვით ფიალას.
ქვეშ — გველივით დაკლაკნილი
ქვას ახლიდა თავის ქალას. —

ფოლადივით მბრწყინვი რამე,
ცოცხალივით მოხამხამე,
მრავალის მთქმელ მდინარისა
წყალი ლაქვარდ-მოკამკამე.

და შორითშორს აღმოსავლეთ
მთა-მინდვრის და ტყეთა გავლით
მოსჩანს ველი ალაზნისა,
პოხვეული მკრთალი ჭავლით.

მოვარვარე მზის აღმურში
გახვეული უვრცეს ბურში,
ძლივს-ძლივობით გავარჩევდი
სახეებაში უდაბურში:

ბაღებს, ჭალებს, სოფლებს, ტაძრებს,
ეკლესიებს და მონასტრებს,
ფრენას ქორის, მოტაცებას
რომ ასწრებს და ველარ ასწრებს.

აწ, მგრძნობელნი დროთა ჩიხის,
მგონებელი ძველი რიხის
ვიღაც მონისლულადა სჩანს
ნანგრევებზე მაღალ ციხის:

და სადაც კი გავიხედე
ნანგრევები ჩნდა ციხეთა,
რადაც მკრთალი, ბუნდოვანი,
თითქო ფერფლი იყო დღეთა.

მათზე მსუბუქ-გამჟვირვალე,
როგორც ჩადრი მოფრიალე,
ზმანების მსგავს სილურჯეში
გამომხედი მალე-მალე —

ვრცელ სიზმრების ქსელს გართული,
რისხვის კედლად აღმართული,
ვეება და ახოვანი
ქედზე დრუბლის ალ-დართული,

წარმოსადეგ-დიდებული,
თითქო ცად-აკიდებული,

დასავალით ულურჯესით
ზეცას შემოჭიდებული.

ვით გაყინვა აყრილ ტანის,
ლონიერის და ტიტანის,
მშვენიერი და დიადი —
სჩანდენ მთები დაღისტანის!

კრისტალების ელვა-მინით,
დამაბრმავებელი ჟინით,
შორეული ზღვისა და ცის
ლაქვარდ ღელვით და ბიბინით.

ჯერ ისევე ასეთ ციცაბ
მწვერვალებზე თოვლი იწვა,
ტყის მიუვალ მაღლობიდან
დაცემული იყო მიწა.

ფერდობების, სადაც არის
უხვი ველი საძოვარის.
დამშვიდებით სძოვდა ჯოგი
ჭრელი ძროხის, თეთრი ცხვარის.

გაზაფხულით სულჩადგმული
და უცნობი, არ განთქმული
სოფლის უცხო სიმშვიდეში,
სიწყნარეში მთლად შთანთქმული.

ასახავენ უნებურად,
უღარდელად, ძველებურად,
იმედიანს, ბარაქიანს,
ბედნიერი ყოფნის სურათს.

აი მთები ჩვენის მხრისა,
როგორც ფრთები ნაბღებისა,

საშიშარი, „დამლუპველი“,
მთები კავკასიონისა.



ტაძრები, კლდის ნამტვრევები,
მონასტრების ნანგრევები,
დაშთენილნი მოწმეებად —
ვით იბრძოდენ გმირ-ღევები,

ეს ნანგრევი, ეს მთა-ბარი,
იყო მათი შესაფარი,
როცა ქვეყნად თარეშობდა
ხალხთა მტრობა შესაზარი.

წარსულზედა მდგარი ძეგლი,
იმა დროთა ანარეკლი —
ოდეს ქუხდა თვითნებობა,
გზა სუსხისა და ნარ-ეკლის.

ოდეს სანთლის ჩამქრობელი
ძალადობდა დამპყრობელი,
მედიდური და დიდების
უინის ვერრით დამცხრობელი;

ხელისუფალთ გულზვაეობა,
აჯანყება, მოძრაობა,
მკაცრი ბრძოლა და დაღუპვა,
ღღეთ სიშავე, წელთ სხვაობა.

ამ ძეგლებში ნათლად ჩნდება
თავდაცვისთვის ბრძოლა ძმების,
დიდება იმ სიმამაცის,
უკვდავება ბელადების...

თავდადებით და გმირულად
მედგრად, სულით, გულით, სრულად
საუქუნეთა მანძილზე —
მართლაც რომ თავგანწირულად;

გრძნობით, რაიც ასე მწველობს,
არსებობას, სამფარველოს,
თვით უფლებას სიცოცხლისას,
აქ იცავდა საქართველოც.



და ყოფილან მძლე დღეები,
დანგრეული ციხეები —
კვლავ ბრწყინვალე დიადებით
აღმართულან აქ ბჭეები.

გამარჯვება-დიდებათა —
გადაქცევა გმირულ ხმათა,
დაცვა მის, — რაც საქართველოს
აბაღია და ებაღა. —

ალტყინება იყო ერის,
მისი დიდი სიძლიერის,
მშვიდობის დროს — კი სიმღერა
მშვიდი მრავალ-ჟამიერის.

იყო ხანა მორჩილების
და კვლავ ძლევა-მოსილების,
ხმა გენიის მოვლენისა
მტრის დარბევა-მოცილების.

პოეზიის მწვერვალების,
უძლიერეს მღელვარების,
ხანა ხუროთმოძღვრებისა
და მხატვრობის ელვარების,

თანაბრადვე არ სანატრო
ყოფილა დრო; ხანა სამტრო,
ხანა ჩაგვრის, ხანა რბევის,
ხანა სასიცოცხლო-სამკვდრო,

ხანა წაგებული ბრძოლის,
უსასტიკეს რბევა-ძრწოლის,
როს მტარვალი წამრთმევი
მამის, შვილის, დედის, ცოლის.

.
.

უფრო მძლავრი მეზობლები,
რომ დაეპუროთ ეს სოფლები,
ასუსტებდენ ქართლს, შიგნითვე
ციხეს სტეხდენ უნდობლები.

მანამ ფეხს არ იცვლის არსით
ოსმალელი, გინა სპარსი,
სანამ მთიულს არ გააცნო
თვის მაჰმადის შინაარსი.

ახლა არა ერთეულებს
თემებს, ტომებს და მთიულებს,
უფრო აღიზიანებდენ
უმისოდაც გულმოკლულებს.

და ველური ხეობებით
ერთმანეთთან შეომებით
შეიჭედა შავი ზრახვა,
შავი რწმენა-ზნეობებით.

იბრძვის ეს მთა. იბრძვის მათი
ჩარია თუ ჯამაათი,
მათ დროშაზე აწერია
ის ალლაჰი და მაჰმადი.

აგერ კიდევ სხვა მთიელი,
მანაც გამოიღო ხელი.
თავდასხმები, წვა, მკვლელობა,
და ტყვეობა საშინელი.

დაიკარგა მეზობლობა,
მკვლელობათა უმიზნობამ
დაავიწყა მთელ ქვეყანას —
რაა მშვიდობიანობა.

სიმწრით აშენებულ სამყოფს,
შიშით მოპოებულ ნაყოფს,
შრომის ნაყოფს ართმევს მტერი,
დასცინის და თან ამაყოფს.

მუდმივ მტრების სარბიელო,
უმწეო და უმფარველო,
დახმარებას რუსეთისგან
ეძებს სუსტი საქართველო.

ამ ამბავმა აღძრა სხვანი;
საჭურისი ღვარძლიანი,
მბრძანებელი სპარსეთისა.
იგი აღა-მაჰმად ხანი.

წამოვიდა, ქართლს ეკვეთა,
მთლად გაძარცვა, რაც კი შეხვდა,
დალეწა და დაანგრია
ჯერ ტფილისი, მერე მცხეთა.

ცეცხლის ალით პკურებული,
სულმთლად განადგურებული,
აწ დიდ რუსეთს შეუერთდა
ქართლი, როსმე დიდებული.

რაკი ქართლი ლანდად იქცა,
სად გაიქცა, იქ წაიქცა.
რაკი იგი ერთ საცოდავ
პროვინციად გადაიქცა.

რაკი ვერ სცნო ტომი ტომმა
და არ იყო ძმობის ნდომა,

აქ შესწყვიტა არსებობა
საქართველოს სამეფომა.

ორ ცეცხლს შუა მყოფი ჩქარა
შეუერთდა რუსეთს. კმარა.
ძმად რუსეთი რომ არჩია —
საქართველო არ შემცდარა.

მაგრამ წინ სდგას სხვა ტყვეობა,
გაჩნდა ზიზღის სახეობა,
რუსის მოხელეობისა:
მძიმე მართვა-გამგეობა.

ხალხს რუსულის წარა-მარა
ბევრი არა ესმოდა-რა.
მოხელეებს არ ესმოდათ
ხალხის თხოვნა და მუდარა.

და იმდენად, რამდენადაც
ხალხისაგან ნაძარცვ-ნატაც
განძს ხედავდა... მსგავს სიმდიდრეს
ვერ ნახავდა ზმანებადაც!

უფლების და ძალის მქონე
მედიდური, თავმომწონე
დიდმპყრობლური შოვინისტის
მთელი ძალა, მთელი ღონე

იყო მხოლოდ მძარცველობა,
მთელი მათი მმართველობა,
როგორ ზიზღით უყურებდნენ,
როგორ სძულდათ ქართველობა.

თვისი ღალა მიაქვს ღალატს;
ცბიერად და ძალის-ძალად
მიიყვანა მხარე ხანამ
მძიმე მორჩილების კარად.

თითქო ქუდი დაიხურა,
სადღაც გაჰქრა, დაიხურა
ადგილები საზოგადო,
რაც სუნთქავდა ქართველურად,

და რომელნიც არა წლობით
საუკუნეთ განმავლობით
არსებობდა და უძღვოდა
ხალხს მრავალხნით, მრავალგზობით.

და დაცინვა ერს დაუწყო,
კანონები რამე უცხო
შემოიღო, თავისი-კი
სადღაც განზე გადაუწყო.

სასამართლოს უწყო კბენა.
ბავშვს შავი დღე გაუთენა,
სკოლებიდან სულ განდევნა
საყვარელი დედა-ენა.

დასჩემდა გულხვეულება.
სძულდა, როგორც სნეულება,
მრავალ-საუკუნიანი
ერის ზნე და ჩვეულება.

და კულტურა ეროვნული,
რომელშიაც გახვეული
იყო მრავალწამებული
ერის სული, ერის გული —

ხვდა გონება გამოფიტულს,
გაიძვერას და მოსყიდულს,
მოხელეებს, რომელთ თვალი
დაეძებდა ჩინს და ტიტულს.

ხალხი ნაცვლად ყურადღების,
მსხვერპლი გახდა შურისგების,

ტალახში სვრის, დამონების,
დამცირების, ყბად-აღების.

თან ამბობდნენ: რის ნაცია!
გაიგებსო — ვინც კაცია
რას ნიშნავსო უმაღლესი
მეფის ცივილიზაცია!

ხალხს პატრონი აღარ ჰყავდა,
დაუძლურდა, გაძვალტყავდა,
კანონიერს, უკანონოს
ხარკს ყველას ის მიუწყავდა.

ჰქონდა მხოლოდ მჭადი, წყალი.
ქედს იხრიდა ის საწყალი,
აქეთ — გადამთიელები,
იქ — მისივე ფეოდალი.

საურმე და სხვა ბეგარა
შეხვდა — ველარ გაეყარა,
სისხლს უშრობდენ, სიმართლისთვის
ახლო ვერვის გაეკარა!

მოდგა — როგორც ნაკადები
შინა-გადასახადები.
სამართალს კი სად იბოვის
უღაბნოში მღალადები?

ქვაბებისა და -ნოხების
მშრომელთაგან წამოღების
გზით მეტია საშუალება,
მეტი სისხლის გამოღების.

სიცხიანი, გვალვიანი,
ხანა მოუსაველიანი, —
შემშილი რომ მოახლოვდა
უფრო გახდა ნაღვლიანი.

შიმშილს, როგორც ძველი ჯავრი,
მოჰყვა მისი თანამგზავრი:
ჯარი ავადმყოფობათა,
სნეულება ათასგვარი.

წვიმა ალბობს, სეტყვა ლეწავს
ძნებს მიმოყრილს, კეცა-კეცას,
და უმწეო, განწირული
შეჰყურებდა გლეხი ზეცას.

რა ამოდ ზეცას სთხოვდა!
გადახდის დრო მოახლოვდა,
მას კი არ აქვს არაფერი,
ძთელი მხარე გამათხოვრდა,

მაგრამ შეუბრალებელი,
ულმობელი მწვალელებელი,
მზე სწვავდა და მზე სდაგავდა,
ისიც როგორც მავნებელი.

გადაიწვა ნათესო რიგი.
გლეხი ეცა აქეთ, იქით.
ბრჭყვიალებდა ლურჯი სივრცე
ულმობელი სისასტიკით.

წყლულს ვერ შევლის ზართა რეკვა,
ვერც სიმღერა, ვერცა ცეკვა,
რის ხუმრობა და სიცილი,
ვერავინ ვერ გამოერკვა.

და საჭირო როცა გახდა,
თუმცა სულმთლად გაპარტახდა,
სურსათ-ღალა ჯარისათვის
ისევ იმაე გლეხს გადახდა.

ეგზეკუციების წყებით
მათრახით და ყბადალებით,

სცემდენ ხელით, სცემდენ კეტით,
სცემდენ თოფის კონდახებით.

დამპყრობელი ძრწის და ეძებს,
სმენას იკრებს, თვალს აცეცებს,
უბედურ გლეხს ხელიდან გლეჯს
უკანასკნელ პურის ნამცეცს.

ხალხმა რომ ვერ გაიხარა,
დაიძახა — აწი კმარა!
გაათრებულ ვეფხვის მსგავსად
აღსდგა, ძალა მოიხმარა.

ვერ დაშინდა თვით სიკვდილით,
თავს დაადგა მტარვალს ჩრდილით;
და იწოდა გული მისი
აუწერელ სიძულვილით

სული აღსდგა გაქანებით,
მთელის გზებით და ყანებით
მოითხოვდა შურისგებას,
სისხლი დუღდა მრისხანებით.

ვერ პყრობილი სადავითა,
თავის პირველ სათავიდან
აჯანყება კახეთისა
ეხლა ქართლში გადავიდა.

აღსდგა ხალხი მთელი ჯარით,
ის ძახილით ცეცხლის გეარით,
გაეშურა დროშებითა
და სიმღერით საომარით.

რა ღვართქათად იქცა მალე
დრო მშიერი და მწყურვალე
და ცხოვრება ისევ გახდა
კვლავ მდუღარე და მსურვალე.

შიშის ციებ-ცხელებითა,
საესე საშინელებითა,
შორს გარბოდა ამკლებელი
ურმებით თუ ცხენებითა.

ის დაიბნა, თანდათანა
შიშის ზარმა აიტანა
მთელი მისი გარეწარი
და ლაჩარი გულის ფხანა.

გაიხსენეს რა სხვა გზები,
მოაგონდათ ოქროები,
მიმართეს ცრუ დაპირებებს,
შეიძინეს ერთგულები.

შემცდენილთა მთელი წყება
შემცდენელებს ეთანხმება,
მაცდურებით, იარალით
დააწყნარეს აჯანყება.

წყობილება ძველი დარჩა:
წყლად წავიდა ძალთა ხარჯვა,
ისევ უუფლებობაშია,
ისევ ჩაგვრამ ვაიმარჯვა.

გასწი, ლურჯავ! ამ არეთა
რაც კი ნათლად ატარებდა
სახეს წმინდას და ეროვნულს
მტერი მიწას აღარებდა.

ყველაფერი მიჰყვა ნგრევას,
რაც სახავდა ეროვნებას —
ეძლეოდა განჭრობასა
ანუ გაუპიროვნებას.

ყველაფერში გაჩნდა ნასკვი
თვითონ ქართულ ღმერთშიაც-კი

ეროვნული სულის სახეს
ნახულობდა მრავალს, ასეც.

ეკლესიებს როგორც ციხეს
უშენებდენ; მთლად გარიყეს,
გააუქმეს ჩვენი ენა,
და რუსთველიც ჩამოიღეს.

მაგრამ იგი ერთი ხატი
ურღვეველი, უვნებადი,
ვით ხელთუხებელი რამე
როგორც სულის ხმა მარადი.

ამ ხატს ისე, ვით წესია,
არ იცნობდა ეკლესია,
მაგრამ ხალხი კი იცნობდა —
იგი იყო — პოეზია.

სული ერის — იქ ძიებას
განაგრძობდა. როგორც სნებას,
ებრძოდა ის თვითმპყრობლობას.
აშინებდა ძლიერებას.

.

საქართველო არ დანებდა,
იგი ისევ ქაქანებდა,
ახალ-ახალ მოძრაობას
ახალ ძალით აქანებდა.

გაჰკიოდა, ძალას ჰკრებდა,
ააფთრებდა, ჰქუხდა, ჰყეფდა,
ყოველ ახალ ძალადობას
აჯანყებას აგებებდა.

მისწვდა გურიაში, მარა
მეფემ ვერც იქ გაიხარა,

სახრჩობელა კი აღმართა
გლახიც ბევრი აიყარა;

მისწვდა იმერეთსაც, მარა
მეფე ვერც მან დაიფარა,
სახრჩობელა იქაც დადგა,
მარა მალე გაიპარა.

ებრძოდა ამ სახრჩობელას
ცალ-ცალკე და ერთად ყველა
და ოცნებას არავითარს
არ შეეძლო მისთვის შველა.

აწ არსად არ ეგულება
მუხლმოყრილთა ერთგულება:
არის გლახთა, არის თავად-
აზნაურთა შეთქმულება.

და მთავრობა მაშინ მიხვდა:
ეს ქვეყანა რა გამიხდა
რაც მეგონა — გავაკეთე —
იგი თურმე სულ წამიხდა.

როგორც იქნა მიხვდა მძორი,
რომ კვლა, დასჯა და ტერორი
სახელმწიფოს მართვისათვის
გზა ვერ არის სწორზე სწორი.

ძარცვისა და სისხლის დაღი,
სახრჩობელა, ციხის თაღი
სახელმწიფო მართვის არის
მეტად ცუდი იარაღი.

საჭიროა გზა მელური,
მგლური, თითქო მეზობლური,
მოქმედება უნდა იყოს
ფრთხილი, დიპლომატიური.

და ამ მიზნით იმედთ მთოვი
გამოვიდა ვორონცოვი,
შეუძახა მისიანებს:
— „ყოფილხართო სისხლის მწოვი!

აბა, ნახეთ, რა გიქნიათ,
გზა თვითონ ვერ გაგიგნიათ,
მწერლობისთვის — შველის ნაცვლად
ბორკილები შეგიქმნიათ.

კაცი ქვა და სპილენძია?
თავი ავიგდია, ძია,
დაგიჩაგრავსთ თავადობის
მთელი ინტელიგენცია“.

იწყეს ბეჭდვა ქართველ მწერლის,
ცხელ ქადაზე სულის ბერვის-
თანაც გაჩნდა სუნი ლეინის,
ქება ზეესის და მინერვის.

გამოვიდა სახემკრთალი
ერთადერთი მკლუე ჟურნალი,
ვალი ერთი რაჭველისა,
მერე ერთ ქართლელის ვალი.

და დუმილად (მისნი მისად),
არა ძალად ხუმრობისად,
იქცა ინტელიგენცია
თავადაზნაურობისა.

და შეცდენა სხვების სხვებით,
კარიერით და ჩინებით
ასვლით მაღალ საფეხურზე,
კიდევ დიდი ადგილებით.

და ცხოვრება არ ფარულად
იწყეს მხნედ და მხიარულად,

თავადურად, ხელგაშლილად,
ფართოდ, ოფიციალურად.

მსწრაფლ მოვიდა აღტაცება
და გამეფდა გატაცება
ახალნაირ ცხოვრებისა.
ძველის — ხატზე გადაცემა.

იწყეს ფუფუნებით ტკბობა,
შეჰქმნეს უღარდელი ტრფობა,
პათოსსან გზას არჩიეს,
სატანასთან მეგობრობა.

და გამოჩნდა არ ნახული
მორთულობა-გაზაფხული.
გარეგანი ელვარების,
ნატვრა, ფართოდ განზრახული.

ვიზიტები და ბალები,
გართობათა მწვერვალები.
სადაც კი არ გაიხედავ
ღვინო, ბანქო და ქალები.

სადაც კარი შეიღება
სტუმრობაა და მიღება.
ქართული გზა და ცხოვრება
სულ სხვა ფერით შეიღება.

სამკაულთა შესაძენად
ოქროს ჰყრიდნენ ფენა-ფენად,
ჰაეროვან მარქმენისათვის
ღროს არ თვლიდენ განაცდენად.

გულმკერდისა ანუ მკლავის
რამენაირ ნახელავის,
აბრეშუმის თუ ხავერდის
ნაქსოვის და ნაქარგავის,

თხელ მაუდის შესაძენად,
თავის გამოსაჩენადა.
ჰყრიდნენ სარჩო-საბადებელს,
ჩალის ფასად, ნარჩენადა.

ედებოდათ ქონი ვაჭრებს,
ადგილ-მამულს მთელს თუ ნაჭრებს
მემამულე აგირავებს —
ვაჭარი კი ყელს იმაჭრებს.

გლახობას თუ შრომა სწამდა,
დღელამ წელზე ფეხს იდგამდა.
არ აძლევედნ მოსვენებას
და სულსაც ვერ მოითქვამდა.

იმ გლახობას ჰქონდა ცნობა,
აწამებდა არა ძმობა,
არა ხალხი რუსეთისა —
არამედ ყრუ თვითმპყრობლობა.

ასე იყო ჩვენი მთელი
არსებობა მაშინდელი,
როს სამწერლო ასპარეზზე
გამოვიდა წერეთელი.

თავადი და დიდი გვარის,
იმერთ მეფის შთამომავლის,
დიდად საყვარელი შვილი
ძველისძველი ფეოდალის.

იგი ახლის სადიდებლად
თერგდალეულ ძმებთან ერთად
გამოვიდა თავის კლასის
ბრალმდებლად და მამხილებლად.

მიყვარს ხმა ჩვენი ყვირილის
პირად ცახცახი გვირილის.

უუძველესი ხეობა
ხან ლხინის, ხანაც ტირილის.

რა დაგვავიწყებს საჩხერეს!
ველს სათუთეს და საშქერეს;
აღმოსავლეთის ქარებმა
გრიგალი გადმოაჩქერეს.

სდგას ფართოტოტებიანი
კაკლის ხეები სვიანი,
გამალებულა ჩიხურა
და მიჰქრის ხალისიანი.

შშვენეიერ-ოცნებიანი
აყვავებულა იანი.
ქვის ძველებური სახლი დგას,
სად დიდი ადამიანი

დაბადებულა, გაზრდილა,
ზრდის სიმალდემდე აწვდილა,
სასიხარულოდ ჰქცევი:
ახალგაზრდობის მას დილა.

კარგია ვრცელი ბაღები
ნაზი, ათასფრად ნაღები,
მიწის სიუხვეს ღალადებს
ყოველი ნავენახები.

ავსილან ჭურნი თიხისა,
ქვითკირი რომ რთავს რიყისა,
ხეობას მთიდან დაჰყურებს
ნანგრევი ძველი ციხისა.

სახელად მას „მოღინახე“
დაურქმევიათ — სილაღე
იმ ძეგლის ფეოდალურის
ძველ გადმოცემებს ინახავს.

გულწრფელი, სულ-სხივოსანი,
სად ველს აშვენებს სოსანი,
აქ იზრდებოდა — რაინდი
და მომავალი მგოსანი.

ზღაპრებით ღამის მტეხისა,
შრომით დამდგმელი ფეხისა —
ასეთი იყო ოჯახი
შრომის მოყვარე გლეხისა.

თავის ცხოვრების ამ ხანას,
მგოსანი ამ წყალს, ამ ყანას,
მადლობის გრძნობით იხსენებს
გულწრფელად, როგორც ამხანაგს.

ცხოვრება გლეხურ-მშრომელი
გამრჯელი, დაუცხრომელი
პატიოსანი გულითა
სხვისი არა-რის მნდომელი.

გულწრფელი განწყობილება,
სიმკაცრეთ ფერ-შეღბილება
ადამიანთა ცხოვრების
ბუნებას ეხმატკბილება:

რაც აძლევს მიწას ზღვავეებით
ნაყოფითა და ხვავეებით
ხენა-თესვით უერთგულესით
და თესლის ამოყვავებით.

რა რიგად ვაზთ უცხო ველი
თვალს ხიბლავს, გულს აცხოველებს,
რა რიგად მოვლა-შენახვა
უნდა შინაურ ცხოველებს.

ფუტკარს რა უნდა ჰაერის,
მისივე შრომის ნაირი, —

• აი რა ამბებს, რა ლექსით
• იმღერის გლეხის შაირი.

• იცის დღე, საწუთროება, —
• რომელთ ჰგმეს ამაოება,
• მისგნით დრო წელიწადისა
• რაც არის ოთხი დროება.

• სტკბება ფრინველთა გალობით,
• მნათობთა მიუვალობით
• იცის: ეს მიწა სავსეა.
• ყოველ სიუხვე-წყალობით.

• კაცი რკოს ხრავდა სულ წინად,
• მოსწყინდა ყოფნა უღზინოდ,
• წყალი შესცვალა ღვინომა,
• და ასე გაჩნდა პურ-ღვინო.

• დამთვლელი წელიწადების
• მწევ მიწის გულის ნადების,
• ღამეთა მრავალთ თენების,
• მხილველი განთიადების.

• მიწამ დაბადა მთის ჯიხვნი,
• ჯერ არ სმენილი ჭიხვინი
• გაუხედნავი მერანის,
• კორდი, ვითარცა გვირგვინი.

• ჯოგი უშობელთ გახადა
• უთეთრეს თოვლის ბაღადა,
• ნოყიერ ველზე სეირნობს,
• სძოვს მსუქან ბალახს ლაღადა.

• ხობობმა ხავსით ნაგები
• დასთმოს სამშობლო ჯაგები?
• ირემმა ტყე და კორდები
• სიზმარებრ ნაქანდაკები?

ხდება სალამო დილისად —
გლეხის ზრუნვისა ფრთხილისა,
ბუნება, მომგონებელი
ნაყოფის ზეთის ხილისა.

ვარდებით შეიფუთვნების,
მშვენიერი გზა გუთნების,
ველს კვიპაროსი რხეული
წამწამად მიეკუთვნების.

შრომაა გლეხის ჩვენისა
მიზეზი დღეთა დენისა,
მფარველი მინდორ-ველების-
ნაყოფის ამოდენისა.

მსაზრდოებელი სიმებით,
მარადის გამოღიმებით.
'უუნაზესი ცვარ-ნამით,
უუმდიდრესი წვიმებით,

და მზრუნველობად იგება,
რაც დასაბამით იქება:
ნაყოფთა მომცემთ ამიდთა-
და დროთა მოწესრიგება.

მზე აღვიძებდა ამ ბავშვში
ადამიანურ ამბავში
კაცობრიობას, სიყვარულს,
ზღაპრულად გადანამბავში,

მიმხედური, ცნობისმოყვარე
მსგავსი ბავშვების მოგვარე,
სოფლურ ცხოვრების წარმტაცი-
მზის გაგიყებით მოყვარე.

რაც კი რამ მინდვრად ხდებოდა,
ან სახლში გაკეთდებოდა —

ყველაფერს შეითვისებდა,
ყველაფერს უკვირდებოდა.

წყალში ცა — ელვარე მზისა,
მდინარედ — ჰერა თევზისა,
მუხლამდე წყალში რონინი,
არ მონატრება ხემსისა.

სირბილი ციცაბო-სერზე,
თამაში სუფთა ჰაერზე,
მხიარულ გამოგონებით
სეირის ნახვა სეირზე;

ბევრი რამ ქონის კარებთან
ართობდა და ახარებდა;
ბევრი რამ ცრემლებსა ჰგვრიდა,
ბევრი რამ ახარხარებდა.

აჯაღოებდენ ზღაპრები,
ძველი ამბები ნაკრები,
არაკთ კარგია მოსმენა —
ყურს უგდებ და იზაფრები.

ვით შრომის და მზის ფერები,
რბოდენ სიმღერით ჩქერები,
უყვარდა ბავშვს მშობლიური
მთა, გრძნობით ანამღერები:

ხან დარდის, ხან მხიარული,
ვით მდინარეზე მხარული
ხან სიძულვილი რაიმე,
ხან ნდობა, ხან სიყვარული.

იმის მიხედვით — ჰანგთ ბალის
რაა მიზეზი სილაღის,
თუ რას გადმოსცემს სიმღერა,
რას ნერგავს, რაზე იძახის.

აჰა, ნაშთები წარსულის,
 ძეგლები ცამდე ასული
 ნანგრევი ციხე კოშკისა
 გალავნით შემოგარსული,

სურო-ფშალათი, ეკლებით,
 დაფარულია ძეგლები,
 გადმოცემათა მრავალთა,
 დაჰქრიან ანარეკლები.

სვეტი ჩვეული თმენასა
 იწვევს მოწყენა-ლხენასა,
 ბავშვისას განაღვიძებდა
 ოცნება-წარმოდგენასა.

ვით ძველი კოშკი ელვაში,
 ველი მკათათვის ცელვაში,
 სული სცოცხლობდა საოცარ-
 სასწაულებრივ ღელვაში.

უმსჯელოდ და უფიქროდა,
 ოცნება ფაფარს მიჰკვროდა,
 სხვა ხანათა და დროებათ,
 სიღრმე-სივრცეში მიჰქროდა.

და რაღაც სევდა-მგებარემ
 ქარმა შორიდან მიჰქეფარემ
 ღრმა ალმა მწუხარებისამ,
 შეკუმშა გული მგზნებარე. —

კვლავ სულის ღელვით ბურვილი-
 სევდა, ვნება და სურვილი,
 რაღაც დიდის და დიადის
 ამალღებული წყურვილი

განაღვიძებდა იმ დროსა,
 როს უქცნობელს და სხივოსანს —

მამა შეიღს წაუკითხავდა —
რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“.

მზე გადმოცემათ ნაქებთა,
სულში კოშკებს რომ აგებდა,
სხვა წარმოდგენა მგოსანის
მომავალ ბედს განაგებდა.

ლურჯავ, შესდექ! რა სახეა
ზევით ციხის პარტახია,
დაბლა, იგი ძველი ბურჯი,
სადაც ოქროს ჩარდახია;

სადაც ბავშვმა იგრძნო პირველ,
რა საზიზღარ, რა გამწირველ
ღიმით — რუსის პედაგოგთა
ჯარი უღვთოდ იყო მწირველ.

როგორც ახლად ნარიქრაქებს
განაქრობდენ ფიქრებს საშვებს,
რა მზაკვრულად დასცინოდენ
გულუბრყვილო ქართველ ბავშვებს;

რა უხეში, რა ცბიერი
იყო გიმნაზიის ჭერი,
ყოველ ადამიანური
ღირსების და სახის მტერი.

რა სიძნელე! რა წყვედიადი!
იყო განათლება მათი,
იმ ხანებში მაინც წიგნი
იყო რაღაც იშვიათი

სხვაგვარ ზრდიდენ, სხვაგვარ წრთვნიდნენ
სხვაგვარ ჭკუას ასწავლიდნენ

წკებლით. წკებლა ითვლებოდა
მომავალის გზად და ხიდედ.

წკებლით — მონატრული იყვნენ,
რომ ბერუსში ხვეულიყვნენ,
და ბავშვები ქართველები
რუს ბავშვებად ქცეულიყვნენ.

და წკებლავდენ მათ გაგებას,
ვინც უხვევდა ქადაგებას
და ბედავდა მშობლიური
ენით დალაპარაკებას.

აღზრდა იყო ძველებური
მხოლოდ მგლური და ველური,
ღელღებოდა, შფოთღებოდა,
მაშინ სული ქართველური.

ამბავები უძველეს ხნის,
ვით საგანი არა კვეხნის,
აკაკიმ ხომ სულ იცოდა,
მხნე წარსული თავის ქვეყნის.

ამაყობდა აღტყინებით
წინაპართა იმ ჩრდილებით,
ძველი მათი დიდებითა,
ძველი ძღვევამოსილებით.

და ოდეს მათ ტლანქ ხელებით
ეხებოდენ ტიელები —
მთელის სულით, მთელის გულით
სძულდა გადამთიელები!

მწრთენელთა შორის მზიანები —
იყვენ ადამიანები —
თავისუფალ გონებრივი
ხაზის გამტანიანები.

ერთხელ ბავშვმა გაიგონა
საუბარი, თუ ვით მონა
გამოფხიზლდა და გულმკერდში
იარადი ჩაიკონა.

გაიგონა თუ ვინ მისცა,
პოლონელებს ნატვრა მზისა,
და ამბები საფრანგეთის
ღელვის, რევოლუციისა.

სწორედ ის დრო იყო, ოდეს,
ბავშვის სმენამ მსგავსად შფოთის,
გაიგონა ისტორია
დიდი კონრად ვალენროდის.

ვალენროდის — წრფელი გული,
ვალენროდის — ხმა ერთგული,
აწვალებდა ეს სახელი
და ეს გმირი ეროვნული.

მის პოეტურ წარმოდგენას
არ აძლევდა უამი თმენას,
იგი მოაჯადოებდა —
ის აძლევდა აღმაფრენას.

ვალენროდად, გმირად მართლად,
მოვლენილად ჩვენად, ქართლად,
რად არ უნდა გამხდარიყო
წერეთელი მთავარსარდლად?

არ ეძია შური რისთვის?
საყვარელი მამულისთვის,
უუფლებო სამშობლოს
ასე შეურაცხყოფისთვის?

და ეს აზრი ბავშვის გზნებას,
არ აძლევდა მოსვენებას,

მარად თვალწინ ხედავდა ის
ვალენროდის მოჩვენებას.

როგორ ნელი, როგორ მძიმე,
იყო მისთვის სკოლის მღვიმე,
გიმნაზიის ბოლომდის კი
თვე რჩებოდა რამდენიმე.

მაგრამ ყრმამან გადასწყვიტა
წასულიყო ახალ გზითა,
სწავლა მიეტოვებია,
კმარა, რაც რომ ტვირთი ზიდა.

გადასწყვიტა ახლის მზერა
როგორც გარდუვალი წერა,
ექახოდა პეტერბურგი,
სხვა ახალი კარიერა.

მამამ, ეს რომ გაიგონა,
შვილს განზრახვა მოუწონა,
— „კმარა სწავლა, სამყოფია.
მე რომ ვიყავ შენოდენა

ცოლშერთული ვიყავ-კიდევ;
არ ვშინჯავდი კიდევ-კიდევ,
მტერ-მოყვარეს პასუხს ვსცემდი,
კიდევ ოჯახს მოვეკიდე.“

დედ-მამა რა მას მიუდგა
და გული არ დაუთუთქა,
მედგარ ილიუზიებით
ქაბუკი მხნედ გზას გაუდგა.

მერე რა გზას! რა შორეულს,
ოცნებებით ცრემლმორეულს.
გაბედული განზრახვებით
გადმორებულს და ტბორეულს;

ორთქლმავალი მას ვინ მისცა,
მაშინ არა თუ რკინისგზა
ჰქონდა მხარეს, — შარავგზაც კი
შამბნარად და ეკლად იქცა.

მაგრამ განა ქვით ან ლოდით,
უგზობით გინდა დროთი,
შეეძლო რომ შეებორკა
მომავალი ვალენროდი?

გზად დიდი და დიდებული
ზეცად კლდეებმიდებული
ხელთუქმნელი სილამაზის
ნაზ აღშამოკიდებული —

ვერც აწვდილნი ცამდის მთანი,
ვერც მინდორნი, ხეობანი
შვენებანი ბუნებისა
მძლავრნი სანახაობანი.

ვერც ცის კიდე და ნაპირი
ლაქვარდებად დანაფერი
ახალ მგზავრს ვერ აღელვებდა,
არ ახსოვდა არაფერი

მან სიძნელე გზისა ნახა,
მძლავრი მთები გადალახა,
სადაც ჯურღმულ-სიბნელეში
იხსნებოდა მხეცის ხახა.

გაიარა ვრცელი გზები,
სად მუდმივი მზეა მგზნები,
და მუდმივი გაზაფხულის
დაუქცნობი ყვავილები.

სადაც ძალაუნებური,
რალაც მძლავრი და მეფური,

სულშეხუთულ ხეთა სწრაფი
ზრდაა გრიგალისებური,

სადაც მჭიდვ ლიანების,
როგორც ყვავილიანების
შუქის მსგავსი გარემოცვა
არის მთების ტყიანების.

სადაც მწვანე სურო ფშალა
მიჰქრის, თითქოს შეიშალა,
ველურ ვაზებს და ვენახებს
დაუფარავთ ვრცელი ჭალა.

სად ფათალო დაქარგული,
და გონებადაკარგული
შეშლილ სვიის ორომტრიალს,
ტყე დასცქერის თავჩარგული.

სად ბუნება როგორც ქნარებს,
როგორც ნაირ ხელსაქნარებს
აატოკებს, ააღელვებს
ბუჩქნარებსა და ჯაგნარებს,

სადაც ცხოვრობს ის, ზღაპრული,
მშვენიერ მზით დაზაფრული,
და მაინც მზეთუნახავი,
ნაზი, როგორც გაზაფხული.

იგი, ხილვა მშვენიერი
მთართოლი, ვით ყვავილთა მტვერი,
ტყეთა იშვიათობა რამ,
ტყის ხოხობი ოქროსფერი!

მიდიოდა მზე-ჩრდილებით,
მიდიოდა ადგილებით —
სად მუდმივი ყვავილობა,
დაუმჰქნარი ყვავილებით.

სადაც ვარდი და იები
ეს მუდმივი დაიები,
ზამთარშიაც ყვავილობენ
მთვარით ნასამაიები;

სად ბალებით თუ ველებით,
როგორც ალით უნელებით,
დამთვრალია გაზაფხული
მაგნოლიის სურნელებით.

სადაც სურნელთ ქრიაშულში
ჰყვავის მიმოზა და ნუში,
სადაც დაფნა, ბზა და ტვია
თრთიან მარად სიხარულში.

სად ხედებოდა ქალიშვილებს,
აღვასებრ რგულთ, მთვარის ჩრდილებს,
ბაგეთ დაუფიწყარ ღიმილს,
მშვენიერ და ნაზ პროფილებს.

გამოხედვა მზისებური,
კანის სადაფისებური,
სინატიფე, ბრწყინვალეობა
ხედვა არწივისებური.

ვარსკვლავიან ღამის ხედვა,
ვით ნაღველფი ზეცის ჰედვა,
თითქო ცეცხლი ელვარების
თვით ბუნებას გადაედვა.

მაგრამ განა როგორც ბადეს,
შეეძლო თვალთ სიწყვედიადეს
რომ მგზავრისას დარებოდა
ოცნებათა სიღიადეს?

რას შეეძლო ან და სადა
სასაცილოდ გაეხადა

ის ოცნება, მომავალს რომ
ხლიდა წარმტაც პოემიდა.

ათასგვარი ღელვით გულში,
თვის ნაბადში, არა ქურქში,
მზად საგმირო საქმისათვის
ჩავიდა ის პეტერბურგში.

იგი მიჰყვა ახლის გრძნობას,
მას გულწრფელად მიენდობა.
თავის თანამემამულეს
მიაშურა სტუდენტობას.

და აქ წყდება მისი ბედი,
გზას უნათებს სხვა იმედი —
მღელვარე და მოფუსფუსე
აგზნებს უნივერსიტეტი.

სამხედრო გზა წაიშალა,
დიდი გეგმა ჩაიშალა,
ნაცვლად სხვა და უფრო ვრცელი
წინ სწორი გზა გაიშალა.

იყო სწორედ იგი ხანა,
როცა მოსწყდა გზას ქვეყანა
და დიდ საზოგადოებრივ
ძვრებით მდგრად გაექანა

განახლება განიზრახა
და საყრდენი რა ვერ ნახა.
დიდთა იდეოლოგიათ
მხარე მხარეს დაეჯახა.

გადიხადა მეფემ ომი
სხვა ამბების გახდა მდომი,
ცუდ პირობის ქვეშ მოექცა
გარეშე და ქვეშევრდომი.

გამოირკვა მეფის ჯური,
შიგნით იყო მედიდური,
თორემ ისე ყოველი მხრივ
სუსტი იყო, უკეთური.

უსუსურმა შინ და გარეთ,
ვერ გამრჩევმა მტერ-მოყვარეთ,
შუბლზე ხელი შემოიდო
და დაფიქრდა მეტად მწარედ.

ზრუნვა გამდიდრებისათვის,
ზრუნვა ფაბრიკებისათვის,
წამოწყებათათვის ზრუნვა
ერთს ითხოვდა ღრმა შესატყვისს —

ისევ ძალებს, ოფლისმღვრელებს
თავისუფალ მუშა ხელებს,
ბატონობა ფეოდალის,
ხალხს აქ სჯისო და ახელებს.

ეს ყმობაო, უკმეხობა —
აწ საცოდავ გლებს ეყოფა,
უნდა განთავისუფლდესო,
სხვას დაადგეს გზას გლებობა.

ბოლო არ ჩნდა ამ ვეება
საკითხების სივრცეების.
დიდი იყო გატაცება,
ყველა მოწინავეების.

არავის არ ჰქონდა მოცლა;
აზრთა გაცვლა და გამოცვლა,
აქ კამათი, იქ კამათი,
აქ გამოსვლა, იქ გამოსვლა.

არხეინად მომღერალი,
მოღვაწეა თუ მწერალი,
რეფორმებში ელის შვებას,
ღვთისნიერი ღიბერალი.

მაგრამ როგორც კლდე ფიქალი,
სდგას, ეხვევა რა გრიგალი,
რეფორმებზე ცოფმორევით
მთლად შმაგდება რადიკალი.

მას ცნობა აქვს უკეთესი
საით უხვევს შეფის გეზი.
ოცნება კი სხვაა მისი:
გარდატეხა უდიდესი.

იმ ოცნებით იალემა
სულ სხვაგვარი ტრფიალება
გარდატეხა ძირითადი,
მთელი გადატრიალება.

სხვა გზა უნდა გაეშალოს
ვით ქვაფენილს, ისე კალოს,
და წესწყობა არსებული
ძირ-ფესვიან შეიცვალოს.

მხარე უნდა გარდაეკმნათ
ახალ ძალად, ახალ ქვეყნად,
მხოლოდ ერთი იუშლიდათ ხელს:
არ იცოდხენ, თუ რა ექნათ.

გაქდენთილი ისტორიით
ეს საკითხი თავის ძირით
დაისმოდა და წყდებოდა
სახით სხვადასხვანაირით.

ასე ცვლიდენ დღეს დღეები
ურყვეველი ხიდებებით,

მთელი სოციალისტური
მოდიოდა იდეები.

მძლავრი ფანტასტიურ მღევზე
იდეა... იდეებს კი
ჯერ არ ნახულ ენერგიით
აღრმავებდა ჩერნიშევსკი.

და რომანი „რა უნდა ვქნათ“
მდგომარებამ ჩასთვალა ხსნად,
იგი არეს მოევლინა
ახალ მიზნად და ახალ ხმად.

სტუდენტებში ჩადგა მთები
სოციალურ პროექტების,
ფენა ფილოსოფიური.
განუხრელი მოსწრაფების —

და როგორც გზა უკეთესი
შემოვიდა კითხვად წესი
სენ-სიმონის, ოუენის,
ლუი ბლანის, ფურიესი.

გაჩნდა აზრთა ხეტიალი
სიბნელეში. ხვევა თვალის,
ბევრ მხარეში აღარ იყო
ჭაჭანება ფეოდალის.

იქ სხვაგვარად სჭრიდა თვალი,
იქ მეფობდა კაპიტალი
და ბადებდა სიღარიბეს
დაგროვება ნამეტანი.

ნისლებია, ქარებია.
ვარდატეხებს რომ რგებია,
კრიზისები კაპიტალის
მუდმივ თანამგზავრებია.

დრო უწევდა თანაგრძნობას,
უტოპისტთა მათთა ბრძნობას,
ტრიუმფს სოციალიზმისას
და მის აუცილებლობას.

და მათ სურდათ დაჯერებით
სიამტკბილად, მოფერებით,
ასე დაერწმუნებიათ,
ყველა მილიონერები:

სიამტკბილად, შეთანხმებით
ჩვენ შრომით და თქვენ თანხებით
მხოლოდ შრომის საწყისებზე,
შრომით, არა აჯანყებით.—

გადაკეთდეს, აიწევს მზე,
ამ ქარხნებზე და მიწებზე,
მხოლოდ გაერთიანებულ
ახალ შრომის საწყისებზე.

დიდი თმენის, ბევრი ძლების
მრავალნაირ აზრთა ცვლების
მიდიოდა ვითარება
ასე, სამოციან წლების.

შეიცვალა ბევრი ძღერა
და დაუწყეს შრომას მზერა,
ვით ახალი ცხოვრებისა
საძირკველს და დიად კერას

და ორატორს, როგორც ძლიერს,
უმართავდენ ოვაციებს,
როდესაც ის ახსენებდა,
მუშათ ასოციაციებს.

ჰგმობდა რა თვითმპყრობელობას
და ჰკარგავდა მგრძნობელობას,

დასახავდა იდეალად
თემურ მიწათმფლობელობას.

გაიძახდა გულმართალი:
ყოფნა იქნას უდარდელი,
გვექნას ამხანაგობანი,
ან კავშირი და არტელი.

თუ გეგმებზე და სიაზე
ოცნებობდა რუსი ასე,
ოცნებობდა ჩერნიშევსკიც
გლახთა რევოლუციაზე.

კიცხვა იყო და ჯავრობა
ამავე დროს კი მთავრობა
გლახებს ათავისუფლებდა
და როგორც ქოხს — უყავრობა,

გლახსაც დარჩა უმიწობა,
სიბნელე და უვიცობა,
გლახს მთავარი არ აქვს — მიწა,
როგორ შესძლოს უმისობა?

რა ვაკეთოთ? ეხლა თითქო
ნაბიჯიც წინ გადაიდგა
რა ვაკეთოთ? — ეს საკითხი,
პოეტის წინ ბევრჯერ იდგა.

გრძნობდა: მრავალხანობისად,
სამარცხვინოდ, მწყრალობისა,
საქართველოს ჯერაც ეკრა
დალი ფეოდალობისა.

რაკი ერთხელ იგრძნო სარმა,
სულ წაიღო როგორც ქარმა,
დამოკიდებულებამაც
მონურმა და საზიზღარმა,

სახე წინად მხნე და დინჯი
ეროვნული სახის სინჯი.
დამონებამ აწ გახადა
მთლად მრუდი და სულმახინჯი;

შორი დასავლეთიდან კი
საამური ეღერდა ჩანგი,
ჰქუხდა ახალ ამბავებად
როგორც ჰიმალაით განგი.

გაისმოდა სიტყვა -- აღსდგე!
იწყებოდა ზღვიდან ზღვამდე
ეროვნებათ მძლავრი ბრძოლა,
დამმონებელთ წინააღმდეგ.

იზრდებოდა და ალი ის
იყო შეძვრა მძლე ფალიის,
ერთიანობისთვის ბრძოლა
ავსტრიის და იტალიის.

როგორც გიგანტური წალდი
მოწოდებით: წინ, გასალდი.
განწირვით და თავდადებით
ტრიალებდა გარიბალდი.

მისი ხალხის საომარი
მაჯისცემა იყო ჩქარი,
სიკვდილის ან გამარჯვების
მის დროშაზე სჩანდა ბჭკარი.

გარიბალდი მხნე გულითა
ხმლით იბრძოდა ქებულითა,
მთელ მსოფლიოს აოცებდა
დარტყმით ელვისებურითა.

და თვითეულ მის გაწევას
უერთებდა აღტაცებას

ყველა მოწინავე კაცი,
როგორც მოწინავე მცნებას.

გარიბალდი! ყველა მასში
ხალხს ხედავდა, ერთს ათასში,
მასში ჰვრეტდენ გმირობის და
თავდაღების სახეს კაცში.

მასში სჰვრეტდენ ხმიერებას,
კეთილშობილ ძლიერებას,
სამშობლოსთვის თავდადებულ
გმირის განსახიერებას.

მის ტიტანურ მამაცობას,
გულადობას, ვაჟკაცობას
მის სამხედრო მოსაზრებას,
მოხერხებას და დასწრებას,

იგონებდენ ბრძნულს და სადას
ამერიკის მთებშიც, სადაც
ეს ახსოვდათ, მეომარი.
მაშინ, აღრე და წინადაც.

მისი სახე ვით არ სჩანდეს.
გარიბალდი ხომ მანამდეც
მკაცრი ბრაზილიისაგან
იფარავდა რიო-გრანდეს.

ადუღებდა ქვას და რკინას,
ადიდებდა ხმალთა ბრწყინვას,
როს იცავდა ურუგვაის
და ებრძოდა არგენტინას.

კომუნისტურ მიზანთ მხარი
მანიფესტი უეცარი —
მთელი რევოლუციური
ევროპისთვის იყო ზარი.

მზე ღიადი ყინულს ზრავდა,
ბევრი მხარე ვულკანს ჰგავდა.
გაზაფხულდა და ჰუნგრეთიც
ატოკდა და ამოდრავდა.

კოშუტის ხმა იყო მჭევრი.
მხურვალე და ნიჭიერი
შეუკავებ აღტაცებით,
რომ მიყავდა მისი ერი.

ასეთი ხმის დრო კარგია,
ხალხსაც სტოვებს ლეტარგია.
შიშის კანკალს ეძლეოდა
ჰაბსბურგების მონარქია.

გარს სხვაგვარი ენთო სვეტი
და სინათლეც სჩანდა მეტი,
მოდრაობდა ირლანდია
და იბრძოდა პოლონეთი.

დამნახველი ასეთ ძვირსა,
მომსწრე ახალ ამბებისა
მოუსვენრად სცემდა გული,
აღელვებულ ქართველისა.

რა ექნა და ან რა ეთქვა,
რომ დაეცხრო გულის ფეთქვა,
რა ზომები მოენახა,
რა ნაბიჯი გადაედგა?

— კმარა შიში, კმარა თრთოლა
რომ გამხდარა ღმერთის ტოლა —
ბატონყმობა — თვითმპყრობლობის
წინააღმდეგ გემართებს ბრძოლა.

ქართველ გლეხის გულის ზიანს
რა ჰქმნის? ჰკითხეთ თვით მისიანს,

რანაირი დამცირებით —
ეპყრობიან ადამიანს.

დამმონებელს აქ უკმეხი
იმის გულზე უდგას ფეხი,
ასეთ მდგომარეობაში
იმყოფება ჩვენი გლეხი.

დიდი მესამოცე წლების,
ბობოქარი იდეების,
ახალგაზრდათ ფხიზელ გულში,
მდიდარ გამოძახილს ხვდება.

ყოველს, რასაც განიცდიდა
და მღელვარე გულში ზრდიდა,
იყო რა დიდ დაძაბვაში,
გამოსავალ გზას ძებნიდა.

იყო ცხადი და ნათელი,
რომ ახალი ქრუანტელი,
მისწრაფება გაბედვანი,
და ლელვა იმ დღეინდელი,

რომლებითაც ცხოვრობს ისა
და რომელმაც შეითვისა
უკეთესზე უკეთესი
ხალხი მისი ეპოქისა.

მისი ეკლით, მისი იით,
ის ეპოქა, მსვლელი ტყვიით,
შეეძლო, რომ მას გაეხსნა, —
რაით? — ბრძოლის პოეზიით.

და დაეტყო დროს გუგუნნი
და გაისმა ქართ ზუზუნნი.
იქ მგოსანი უნდა იყოს
მონალარე და ტრიბუნნი.

სიტყვა თქმული ტრიბუნიდან
უნდა ფეთქდეს ყოველ მხრიდან,
ვარსკვლავთა ცეცხლს ძირს რომა ჰყრა
ზეციური სიმაღლიდან,

სასახლეებს სწვავენ, სწვავენ.
ქოხებს სინათლითა რთავენ,
ცეცხლოვანი ვარსკვლავების
მსგავსად სიტყვებიცა სძრავენ.

ის სიტყვები სხვა ვნებიან
ელვარებად ეგზნებიან —
ხან სცხრებიან, ხან საომარ
შუბებს დაემსგავსებიან,

რომ მიჰქრიან მეშვიდე ცად
წმინდათ-წმინდათ ნგრევა-ლეწვად,
და ღვთისნიერ ფარისევლებს
დახვდებიან უკეთესად.

და აკაკიც უახლესით —
გრძნობდა გრძნობით უმაღლესით,
რომ ის ადამიანთ გულთან
უნდა მისულიყო ლექსით.

ბატონყმობით ხელნახები,
გახსნილიყვენ არტახები,
უნდა განათებულიყვენ
საქართველოს ჩარდახები.

უნდა შეიცვალოს წყობა,
უნდა გაჰქრეს ბატონყმობა,
მკაცრად უნდა აილაგმოს
მოხელეთა თვითნებობა.

მიცემულნი მშვიდსა და ტკბილს
უზრუნველსა, საღათას ძილს

უნდა გამორკვეულიყვენ
და შემბოდენ უნდა სიკვდილს;

და იმედთა დიდთა გრძნება
ხვალინდელ დღის ვის ექნება,
თუ რომ დაჩლუნგებულია
ეროვნული თვითშეგნება.

საქართველო უნდა მისწვდეს,
მიზნით უნდა გამოფხიზლდეს,
გაუწიოს ანგარიში
თავის მდგომარეობას, ბედს.

რა კი ხანა სდგას ომისა,
რა კი ფიქრმა რაობისა,
ახალი გზით გაიტაცეს —
გული ახალთაობისა,

ვით ახალი გაზაფხული,
უფრო მკვეთრად მოსახული,
ამ ახალი გრძნობისათვის
ყოფილიყო მონახული,

სათანადო სახულება,
ღირსეული დასრულება,
ახალ გრძნობის შესაფერი
ფერი, გამოხატულება.

უნდა მთელის აღმაფრენით
დაჭერილი მახვილ სმენით
ალაპარაკებულიყვენ
ახალ სიტყვით, ახალ ენით.

მოვლა უნდა ახლად, კარგად,
რაც გაიხსნა და ივარგა,
შველ რუმბებში ახალ ღვინის
დაყენება როდი ვარგა.

და დაიწყო, აუწია,
როცა კი დრომ მოუწია,
სულის რევოლუციასთან,
ფორმის რევოლიუცია.

ახალი დრო აგუგუნდა,
ლექსი სიმძიმისგან უნდა
გამოიხსნას, რაც არ ვარგა,
მიეყაროს ქვა და გუნდა.

და შეექმნათ ახალმჭევრი
ხმოვანება ბევრზე ბევრი,
ეროვნული სულისათვის
უფრო მსუბუქ-შესაფერი.

არ ზოგავდა რაკი თავსა,
ძველს აკაკიმ შეუთავსა
უახლესი ამღერება,
და ლექსი ლექსს დაამსგავსა.

მისცა მეტი ძლიერება,
მეტი გულის ხმიერება,
ხალხურ ლექსის და სიმღერის
სრული განსახიერება.

თავის დაფიქრების გზათა,
გიზგიზებად გამოხატა,
ელეგიის მუსიკალურ
სიმთა თანამღერებათა.

ხმანი უნაპირონია,
მაგრამ მისთვის მირონია
აშფოთება სატირისა,
ღვთაებრივი ირონია.

თავისთავად, არა სხვაგან,
ბგერა-ბგერა, საგან-საგან,

ლექსი მისით მოფრინავდა
იმის ლამაზ კალმისაგან.

ვით ყოველთვის — შედარებას,
ნახულობდა რიტმთ ჩქარებას,
და სავსებით გადმოსცემდა
თვის სულიერ მდგომარებას.

მისი ლექსის მკვეთრი სხივი,
იყო მჩატე, მაგრამ მკვრივი,
მისით ფორმა იქმნებოდა
ძალადაუტანებლივი.

და იმის წინ, ვით ზმანების,
მთლად ახალი ხმოვანების.
თავისთავად იხსნებოდენ
კანონები ხმოვანების.

ვით მაისი გლედიჩიით,
ის მოვიდა ნელი ბიჯით
რაღაც არა ჩვეულებრივ,
რაღაც უზარმაზარ ნიჭით!

შრომა იბრძვის და ჰქმნის თასმას,
ის კვარცხლბეკზე ელის ასმას.
უნდა დადგეს იმ კვარცხლბეკზე
და სახელი განეთქვას მას —

პოეზია განამდიდროს:
და უნდა სთქვა „ლექსი მკის დროს“.
საქართველოს ყოველ კუთხით
თვისვე ლექსმა რომ მოვისწროს,

ვით ნიმუში დასრულების,
რიტმის, გამოსახულების;
ის განხილვის საგანია
ჩვენი ქვეყნის სწავლულების.

ის გაღვლეებს, ეს უჩრდილო,
მიმავალი ლილო-ლილო,
წმინდა, სუფთა ხმა ხალხური,
თითქო ასე გულუბრყვილო.

და გამხნეებს ყოველთ ხმაზე
და გადადის ქვიდან ქვაზე,
მქუხარე და ჩქარი რიტმი,
მშფოთარე და მოკისკასე.

და გარწმუნებს მარად მათი
შინაარსის ღრმა სიმართლე,
ყველგან სიამოვნებას გგვრის,
მკაფიობა და სინათლე.

დაიბადა, საზღვრებს გაცდა,
ჯანსაღ შეჯიბრების განცდა,
ის იძლევა შთაგონებას,
საზოგადოებრივ კაცთა —

მუშაობის დროს და საგანს,
მოწოდება შრომისაკენ!
ჰოპუნა და ჰერი-ჰერი,
გვიწვევს უცხრომლობისაკენ.

მშრომელებმა მღერა იწყეს,
და მედროვეთ კი გაჰკიცხეს.
სიცხე — მკის დროს — მიაწერეს
პოეტების ზოგად სიცხეს.

კედელი სდგას, ჰერი ხუროს,
სხვა რა ეკითხება ხუროს?
პოეზია უნდა ჰქუხდეს,
და უნდა ხალხს ემსახუროს.

მაგრამ საქმე ხანდებოდა
ისიც ისე არ ხდებოდა,

საქართველოს რეფორმებით
მეტად აგვიანდებოდა.

და აკაკის, რომ სწყუროდა
სწრაფი განახლება დროთა,
საქმის განხორციელება:
ქვეყნის სამომსახუროთა.

გვრიდა ხანას ზანზარებას,
და იწვევდა შეზარებას,
ირონია, რითაც სწერდა
იგი გლეხის აღსარებას.

გაჰქრა ეჭვის ნატამალი,
და ყველასი სჭვრეტდა თვალი,
რომ ყმასა და ბატონს შორის
უფსკრულია გარღუვალი.

და შესძახის იგი მჩაგვრელს,
გონს მოვიდეს, ვერ იმაგრებს,
რომ გლეხების ამოგდებით,
იგი თავისთავსაც ანგრევს.

ჩანგით მკვეთრით, ჩანგით ფიცხით,
მწარე ჩივილით და ზიზლით
მოლაღავე მუშების ბედს
გამოხატავს მდიდრის კიცხვით.

ეხლა მისი სალამური
აღარ არის სანანური,
სამშობლოს მწუხარებით
უბედური და მომღური.

სალამური იგი სხვაა,
იგი მწუხარების ზღვაა,
დასუსტებულ-წამებული
ქვეყნის გამოგლოვებაა

მაგრამ როცა იგი გოდებს,
მწუხარების ცრემლებს მოდებს.
კვლავ აგროვებს ენერგიას,
კვლავ ბრძოლისკენ მოუწოდებს.

დაიბნევა, დაცურდება,
ჰანგი გააბრეშუმდება,
სადღა არის საქართველო?
სალამურიც გაჩუმდება.

და სხვა ახალ გარიტრაჟში,
იხატება ხმა გიჟმაჟი.
უსაზღვრო და უბოლოო
ირონია ისმის ხმაში.

იგი ხმაა მეწამული —
საზიზღარი, მოწამლული,
მასში მოსჩანს და ფურთხს იწვევს,
მისი თანამემამულე.

მონარქის წინ მუხლმოყრილი,
საცოდავი, ქედმოხრილი,
ნაგებობა — უხერხემლო
და საძირკველ გამოთხრილი;

ის ხარხართ აცლის ნაფლეთს
სასაცილო შარავანდდეს,
მაღალი წრის უსაგნობას,
და ახალი დროის ჰამლეტს.

და როდესაც მშობლის მძრახავს
ფარისეველს სადმე ნახავს,
სხვის ყურმოჭრილ მონად გამხდარს,
განკიცხულის დალით დაღავს.

ის დასცინის ბნელ მექრთამეს,
რომ ვერ არჩევს დღე და ღამეს;

კანონს ამოფარებია,
როგორც გადულახველ რამეს.

ყოველ ლექსში, რასაც ფლობდა,
ღელავდა და ბობოქრობდა,
აპელაციისა მცოდნეთ
ვინაც თავისთავსაც სცნობდა,

რიგი მტრობდა, მაგრამ რიგი
გულგრილობდა, მრავალი კი
კვლავ ღელავდა. მაშ ვის უნდა
აღეარებია იგი?

პოეტია? არა მჯერა!
მესტიერეა, იტანს წერა,
თორემ ყველაფერზე განა
შეიძლება ლექსის წერა?

პოეტს უნდა სწამდეს მუშკი,
ეკადრება რამე ჭუჭყი?
სულ ახსოვდეს კოცნა, ვნება,
ბულბული და ვარდის ბუჩქი.

ტკბილთა ხმათა გემოვნების
გარდა რაა ხმა მგოსნების? —
ბობოქრობს და გაიძახის —
მომხრე წმინდა ხელოვნების.

ნიჰილის კი, ამაყობა...
იყო ყოვლის უარყოფა.
იძახდენ, რის მაქნისია
ყოველგვარი ლექსთა წყობა.

პოეზია კი არ არხევს,
უფრო ანგრევს, უფრო არყევს,
ჩვენს ნერვიულ სისტემას და
ოქროს დღეებს ნავარაყევს.

ამ ციებას და ცხელებას,
საზოგადო გახელებას,
გადაარჩენს ხალხს მხოლოდ სხვა
მზე: ბუნებისმეტყველება.

მოხუცები დრტვინვენ: „რა კი
ეს აკაკი თუ ბაკაკი
არ ისვენებს, ნურც იქნება
მასზე ბევრი ლაპარაკი“.

ახლო ძალა მეგობართა
არ ჰყავდა, ან ცოტა ჰყავდა,
მაგრამ ხალხის ფართო მასებს
მისი ჩანგი შეუყვარდა.

და გლეხობის ხმა თავისად
რომ მიიღო. მხარეს მყისად
ჩანგი მოეჩვენებოდა
ახალ ხანის დასაწყისად,

და ამნაირ დღეთა, როცა
ქნარმა იგრძნო გარემოცვა,
მიუმღერა ძველ სამეფოს
მისი სულთაბრძოლის ლოცვა.

ნაზი ლირიული ჟღერით,
მიესალმა ვარსკვლავს ერი,
როს მშობლიურ ცად ამოსვლას,
მოელოდა გულის ძგერით.

აკაკი რა შორის გზითა
სამშობლოში ჩამოვიდა
მხარე ახმამაღლებული
დახვდა, ელვარებას ჰქმნიდა.

კამათობდა მეტზე მეტი
კომისია, კომიტეტი.

ექებდა ის თავდადებით
მოენახა გზა ისეთი,

რომ გლახობა მათ სალხენად
განეთავისუფლებინათ,
ისე, თავისთავისათვის,
რომ არ ეწყენინებინათ.

კამათი რომ დაასრულეს
მიაწყევლეს, მიაკრულეს,
გლები მაინც საბოლოოდ
ვერ მოშორდა მემამულეს:

გლახობისთვის ხარკად იღვა
მიწის გადუქრელი კითხვა,
ძნელი იყო სახსრის ნახვა,
არ შეეძლოთ გამოსყიდვა.

მეორე მხრით — სიარული
იყო ჩუმი, მაგრამ მგლური,
მორჩილებით მთავრობისკენ
ქონდათ მიპყრობილი ყური,

არ გათავდა ბატონ-ყმობა.
ღელვას განიცდიდა გრძნობა.
აქ პოეტის ბუნებისთვის
უცხო იყო გულგრილობა.

ერთმხრით რომ ესმოდა კვნესა,
სხვაგან სჭვრეტდა სილაღესა,
მგოსანი ვერ დაფარავდა
იმ საფეხურს უმაღლესსა.

მლიქვნელს თავის სიტყვა უთხრა —
გაიძვერას არ დაუფრთხა,
დაიყენა წინ იუდა
და სახეში შეაფურთხა.

რამ დაბადა ასე ურგი?
შეიბრუნა მონამ ზურგი.
სტუდენტობას შეუკურთხა,
და დასწყევლა პეტერბურგი.

დიდი იყო ზე-გავლენა,
რასაც სძრავდა ლექსის ენა,
და დაიწყო დიდი მგოსნის
ცილისწამება და დევნა.

ამას კიდევ უფრო ჩქარა,
მოჰყვა კიცხვა და მუქარა,
მქონემ ძალაუფლებისამ
თავის გზას არ გადუხარა.

„მოაშორეთ ქალაქ-სოფლებს,
თავს სთვლიდეს, ვით დანაობლებს —
რომ ვეღარსად ჰპოულობდეს
თავის ერთგულ თანამგრძნობლებს.

და შერჩეს მას მარტოდ-მარტო,
ვიწრო ყოფნა, შარა ფართო —
განკიცხული პოეტისთვის
გზა ვინ შექმნას სანაევარდო?

მუზების არ-მაღლიერი,
უბინაო და მშიერი,
დადიოდა, და არ იყო
ქვეყნად კაცი ღვთისნიერი —

მისი ტანჯვა დაენახა,
შველა მიზნად დაესახა —
წყარო არსებობისათვის
რამე მისთვის მოენახა.

მაინც, ხედავდენ რა მასში
ნიჭიერ კაცს, ერთს ათასში

დიდი გვარის შთამომავალს
შეურყევებს თავის ხაზში,

მიზნით — რომ შეუკრან გზანი
და ურჩიონ — სხვა მიზანი —
არა ერთხელ შეაძლიეს
დიდი თანამდებობანი.

მაგრამ განა მას შეეძლო
შეხედულებათა შეცვლა,
უარეყო ყოველივე
რაც გულს ედებოდა ცეცხლად?

ვით მიზანი სიცოცხლისა,
მძლავრი იყო ის გიზგიზი,
ერთგულება სამშობლოს —
ეს ზნეობა იყო მისი.

იმის თავზე რაც ხდებოდა,
გრძნობდა, როგორ ვერ ხვდებოდა,
მაინც არვის არ უთმობდა
და არავის ნებდებოდა.

ჭირში, უბედობის დღეში,
შიმშილში და სიშიშველეში, —
მიდიოდა პოეტის გზა,
გაჭირვება-სიცივეში.

და ასეთმა ყოფნამ მისმამ
გამძლეობამ, ვით თილისმამ,
მისმა პირდაპირობამა,
მიზნისკენაც პირდაპირ სვლამ.

დააფიქრა ერთი ძველი
იმერელი შორს მჭვრეტელი:
დიდი მომავალი აქვსო,
შორს წავაო წერეთელი.

შეამჩნია, დააფასა.
მგოსნის ახალგაზრდობასაც
თითქო აპატია რამე
და უფასო შესთავაზა,

ბინა, ღვინო და სადილი.
აუსრულეს რა წადილი,
რაკი გაუმართეს ხელი,
მგოსანმა ეს მცირე წვლილი

თვით სამოთხის ძღვნად ჩასთვალა,
მოიკრიბა მთელი ძალა,
დღით და ღამით თავისუფალ
მუშაობას დაეძალა.

მშობლიური ეგრძნო მიწა,
კიდევ თავის თავს შეფიცა
სიხარულით შეხედა რომ
გაჩნდნენ თანამგრძნობლებიცა.

მიდიოდენ დღენი, დრონი
მან დასწერა ფელეტონი.
ის მეორე დიდ მოღვაწეს
მიაწერეს; მანაც ტონი

იცნო და სთქვა: სადღეგრძელო
საჭირო არ არის ვრცელი,
აქ ავტორი — ან ღმერთია —
ან აკაკი წერეთელი.

ტალღა ერთხელ რა შეირხა —
ვერაფერმა შეაფერხა,
მგოსანს მუშაობის გაშლა
თვით თბილისში მოუხერხეს.

სხვა დრო იყო ის დროება:
ნალარასა სცემს „დროება“ —

მესამოცე წლებმა მისით
დაარღვია მყუდროება.

ირგვლივ თავი მოეყარა
ვისაც აერთებდა არა
პირადი და კერძო საქმე —
ქვეყნის წყლული და იარა.

ვინაც მიატოვა ყველა
სამსახური, კარიერა:
და თავისად მიიჩნია
საზოგადო ბედისწერა.

ვინც ახმარდა თავის ძალებს
საზოგადო იდეალებს,
და ყოველგვარ ძალადობას
მედგრად უსწორებდა თვალებს.

მხნე გიორგი წერეთელი,
და მწერალთა ჯგუფი მთელი
მეომარი, და სერგეი
მესხი პირდაპირა მსვლელი.

დიდი მოთმინების მქონე,
რომ არ იზოგავდა ღონეს,
და დღედაღამ ფუსფუსებდა
მაჩაბელი თავმომწონე.

უწყინარი და სვიანი
თავმდაბალი, წყნარ ხმიანი,
მაგრამ მარად ქედ-უხრელი
სდგას დიმიტრი ყიფიანი

გამბედავი, მკერდით მდგეი
ნიკოლაძე და ყაზბეგი —
ნებით გლეხთ რომ დატურიგა
თვისი მიწა, ტყე და ნერგი.

ხალხის სამსახურის აზრით
აქ ილია ბუმბერაში
„საქართველოს მოამბეს“-ს სცემს,
ლოზუნგებით სავსე გაზეთს.

დაირაზმენ მტკიცე რიგად,
მწყობრად, ხან აქ და ხან იქა,
კვლავ იმავე ძველ თაობასთან
მიდიოდა პოლემიკა.

ხმაურობდა ვით ზღვაური
იღუმალი მოგზაური
და ხელიდან ხელში ლექსი
ღაღადოდა უცნაური.

მოხუცობა ჯერ კრთებოდა,
მაგრამ ვალში არ რჩებოდა
ძველებურად დასძახებდა
სადაც მოუხერხდებოდა.

და თავის მხრით — ვით ფანტასტებს
ამტყუნებდა ახალგაზრდებს —
რომ მათგვარი ენით, რწმენით
მომავალი ხიდს ვერ გასდებს.

მაგრამ მძლავრი იყო ჯადო,
ახალგაზრდა საზოგადო
მოღვაწეთა გული სძგერდა
ძალღონეს არ ვიზოგავთო!

მცირე საქმის მოსაწყობლად,
დიდი გამომგონებლობა —
ენერგია ინთქმებოდა —
აზრი აზრად, გრძნობა-გრძნობად.

იმ ხანებში ჩასმა დამბის
დაარსება მცირე სტამბის,

სკოლის გახსნა, გავრცელება
წერაკითხვის, ახალ ამბის.

მძიმე იყო თქმა და ჩენა
ვიდრე წარმოვიდგენთ ჩვენა,
ძნელი — ვინემ ეხლა ჩრდილო
პოლიუსის აღმოჩენა.

იყო ერთი სისხლის შრობა,
იდიოტურ კერპთან კრთობა,
აქ თვისივე უსახსრობა —
იქ მთავრობის გულქვაობა,

ყველაფერის სხვაგან ყიდვა,
და შორიდან აქ მოზიდვა —
და ბოლომდე უნდა ზიდოს
ტვირთი ზიდვად ვინც თავს იღვა

და გზები კი... იმ სამყაროს,
გზები ღმერთმა დაიფაროს,
უგზოდა და უკულმართად
აწყდებოდენ ხრამს და ხაროს.

თუ ამ ბრძოლას — გულდამჯერე —
ასეთ გაჭირვებას, მერე,
არ შთაენთქა კოლოსალურ
მოთმინების სიძლიერე —

სხვა რა კვალი და იმედი
დარჩებოდა ხმის გამმეტებთ
აქ, თავიანთ მერე, ქვეყნად,
როგორც მწერლებს და პოეტებს?

მაგრამ ჩვენა — თუნდ ერთწამას,
არ ვნანობდეთ უნდა ამას.
ვიცით — ვალი ისტორიის
მოხდილი აქვს მოხუცს მამას.

მოიკრიბა რა გონება
უარყო რა დაყოვნება,
გამოფხიზლდა საქართველო,
განაახლა აზროვნება.

სამოციან წლების ლომთა
შორის, მგოსნის ხმა გმირობდა,
ის საერთო გამხნევება —
სიყვარულით სარგებლობდა.

მესხთან შეიკრიბებოდენ,
თათბირობდენ, მკაცრად ბჭობდენ,
რედაქციას „დროებისას“
გარს ფარებად შემორტყმოდენ.

საქმის რიგზე მოწესებას,
ბნელში ცეცხლის დაკვესებას,
ცდილობდენ კვლავ ხალხის ყოფნის
უფრო გაუმჯობესებას.

მხატვრობას, როგორც ნუგეშს,
ჰანგი უქქეს — და გაუგეს.
ოდეს ენამ მიაღწია
ჯერ არსმენილ სიმსუბუქეს.

ჰანგთ სისავსეს და სრულობას
დიდბუნებას, დიდსულობას,
ოდეს ენამ მიაღწია
ჯერ არსმენილ მხატვრობას.

ადარებდენ ჯადოსნებას
მისთა ლექსთა ფრთოვანებას,
როცა ენამ მიაღწია
ჯერ არსმენილ ხმოვანებას.

იყო ნაზი, იყო მწველი,
მაგიური, მიმზიდველი,

მაშინ, როცა ენა გახდა
პლასტიური და გულწრფელი.

და მიზანით, რომ ცენზურა,
რამეგვარად მოეწურა
მისწვდა ალეგორიებით,
გული გაიმამაცურა.

აზრით, როგორც გორას — გორა,
ხმები დააშორიშორა,
გაახშირა ამოცანა,
სიმბოლო და მეტაფორა.

და მტრებისა რიგი ფრთხილი
შეცდომაში შეყვანილი
ბჭობდა: „ლექსი აკაკისა,
ნაზიანო, ვით ყვავილი,

შექმნილათ თვით ალერსად,
მსგავსს ვერ იპოვითო ვერსად“.
ლექსებს მოწინააღმდეგე
სთვლიდა უმშვენიერესად.

ასე სწევდა დღეს და სოფელს —
მომღერალს და უარმყოფელს,
აერთებდა თავის თავში
ორთეოსს და მეფისტოფელს.

აქ ერთ კაცში ორივე ერთად
თავსდებოდა ასე მკვეთრად
თავგანწირულ მეომარად
გზათა მრავალთ შემაერთად:

თბილი, თანაც გამყინველი,
ნაზი, თანაც დამცინველი,
ხან გენია უზრუნველი,
ხან დემონი გამწირველი,

ხშირად ხმა არ იყო აოსით
ღამე — შავი შინაარსით,
პოეტი კი მოდიოდა
სახიფათო, საშიშარ გზით.



მისთა თანამედროვეთა,
როს იგონებ ბედს, მით მეტად,
გაკვირვებას მიეცემი;
რით გადარჩა? — მას პოეტად

სთვლიდა ხალხის სიყვარული.
შეიძლება ეს ფარული
ინახავდა მას გენია?
გადარჩენას მოხარული,

იმით რომ ხმა მეშვეული
ხალხის გულთან შეჩვეული,
ჰანგით დაუნათესავდა
ვით თავისი და რჩეული?

მიქელაძე სამუდამო
მტრად გაუხდა: რა უნდაო?
ერთხელ ხანჯლით მივარდა მას
ლექსის „ნადირობის“ გამო.

აღშფოთება გარეშემო,
ვერ-გამოსვლა კარმიდამოდ,
თავისსივე მოძმის შიშით
ლექსის „გამოცანა“-ს გამო;

და მშობელმა მამამ კარი
მიუხურა, „შერცხვა გვარი“
შესწყვიტა ამ წოდებასთან
მან კავშირი ყოველგვარი.

.

ჩინი, გამოუსვლელობა,
განუყრელი — როგორც ყოფნა —
გამყინველი — ვით მკვლელობა.

სიმართლით სცემს გული მისი.
სისუფთავე, იმ გულისმან,
გამოქონა მწუხარებით —
მოკანკალე ხმა გაისმა.

რაზედა მღერს მისი ქნარი?
ასე მწარედ გულდამწვარი?
— თვით უგონო სიყვარულზე,
სამშობლოზე გადამკვდარი!

დარდი, რაც წინ გადაუდგა
მისით ასე გულდათუთქვა,
ეს — პოეტის ცხოვრებისა
სასიცოცხლო იყო სუნთქვა,

გულმოკლული ყვედრის ის ბედს,
ელის გამოძახილს — იმედს,
სდუმს სამშობლო. დაღონება
ეუფლება კვლავ მგოსნის მკერდს.

კვლავ სიცივე იტბორება,
იგი კვლავ გულს ეომება,
და, აკაკი წერეთელი,
თვის ქნარს დაემშვიდობება.

მაგრამ შთაისახა სადღაც
მტეხარ ტკივილების ტალღა.
ჰანგი ოქროს სიმებისა
ისევ ისე დადგა ყალბად.

გადმოდვარა ზვირთმა მისმა.
ჰანგმა, წყევლის გამოისმა,

და მუქარა მრისხანების,
ქნარში ისევ გამოისმა;

რომ სძლევს ძალა მგოსნობისა,
ასრულება — ოცნებისა,
სუნთქვა კეთილშობილების,
სუნთქვა პატიოსნებისა.

რომ ღღეს ღღევანდელს და ხგაღეს,
თავის სახე წაუშალეს
რომ გულწრფელი ყველაფერი
ნაბოძვარზე გადასცვალეს.

ჩვენ არ გვინდა იგი, ვისგან
ხალხი მწარე ტკივილისგან
განიკურნვის მაცდუნებელ,
შემოჩენილისა მტრისგან?

მიზანს თვისას ვერ მოშორდეს,
დახვდეს ისე, როგორც სჯობდეს,
ანუ სიტყვით, ანუ ტყვიით,
ანუ ხანჯლით გაუსწორდეს?

ხალხმა სხვას სანამდე სდითა,
შეურხეველს და მონიოს
ქვრეტს ზედაპირს, ვისი უნდა
მან იმედი იქონიოს?

სად არის იმ ძალთა კრება,
იმ დროს როდის ეღირსება,
თვით აღსდგეს და აღადგინოს
ქვეყნის სახე და დიდება?

მხარეს არვინ ერთგულობდა,
გული მაინც ვერ გულობდა,
მსოფლიოში ძალადობის
სუსტი ღღესასწაულობდა.

ყოველი დღე რისხვას ბადებს,
ვერვის უმხელ გულისნადებს,
საფრანგეთის კომუნარნი
შეეწირნენ ბარიკადებს.

მხეცურ ჟინის დამწესები,
დღე და ღამე, ნაქეზები
ხვრეტდენ გმირებს თავდადებულთ
ჰქუხდენ მიტრალიეზები.

გაჰქრა რწმენა და იმედი,
ალარ ჰქონდა ძალა მეტი,
ძველ რუსეთის მძლეველ ხიშტით,
კვლავ დაჩუმდა პოლონეთი.

ქვეყნის სუნთქვად და მნათობად
გადაიქცა ჯალათობა,
ყველგან დღესასწაულობდა
საზიზღარი ძალადობა.

და მეფე კი თვითმპყრობელი,
მრისხანე და ულმობელი,
ღვთისგან მირონცხებული და
„განმათავისუფლებელი“.

სახელმწიფოს ძველებრ მართავს,
არვის რამეს განუმარტავს,
დასჯებზე და კატორღებზე
დაყრდნობილი სწყვეტს სამართალს.

კვლავ მრისხანე ტალღად დღისა
შურისგებად დიდი ხნისა,
ალიძვრიან და მიდიან
ზვირთნი რევოლუციისა.

და მათ აჰყავთ, მაღლა აჰყავთ,
მაღლა, ქვეყნის დასანახად,

ცალკეულთა, გამბედავთა,
გმირთა, შიშის გადამლახავთ.

თვალდახუჭვით, უნანებლად,
თავზე ზელალებით, ხელად,
გაგიყვებით, რომ გადუშვნიენ
პეფის ტახტთან საბრძოლველად.

შურისგება თვალს აცეცებს.
ყველგანაა და მტრებს ეძებს
და იწყება ნადირობის,
ხანა გვირგვინოსან მხეცზე.

მის პასუხად სად წვდებოდა,
აფთრდებოდა, მწვაავდებოდა,
დაშინებით თვითმპყრობელი
ხან აქ, ხან იქ აწყდებოდა.

მის დარტყმის ქვეშ მოჰყვა სიტყვა,
სიმართლე კი ველარ ითქვა.
პრესა რეპრესიებს მოჰყვა
მით სახელი ვერ განითქვა.

კვლავ მათრახის გამართლება,
„დალუპვია განათლება“
ციხეები, კატორღები,
დევნა და გასამართლება.

სად მომხდარა ან სწერია,
ღღე ყოველთვის იმფერია,
იმპერია — აბა რისი
იქნებოდა იმპერია —

რომ უფლება რამ მიეცა,
მთლიანად არ შეეკვეცა,
იმის ძალაუფლების ქვეშ
მყოფ ერების ბნელი ზეცა?

იყო ბრძულთა აზრთა ჩენა,
ხალხს არ უნდა ჰქონდეს სმენა,
არც თავისი ჰქონდეს სახე,
არც თავისი დედა-ენა.

იმპერიის მოყმე ძლიერ
ერთგულისა და ღვთისნიერ
გუშაგისა, კავკასიის
სამოსწავლო ოლქის მიერ

ეროვნული სულის ხშობა,
დედაენის ყველგან გმობა,
იყო მხოლოდ კულტურის კვლა,
მისი საქმე და ხელობა.

წყევლიაღია, ცივა, ბნელა,
საით უნდა იყოს შველა?
წინათგრძნობამ პოეტისამ
იგრძნო შორი ცისარტყელა.

ის აღვიძებს აზრს სხვებისას
ჩამქრალ კერის ანთებისას,
წყურვილს ახალ ცხოვრებისას,
წყურვილს ბედნიერებისას.

კვლავ იქუხებს ძლიერ ხმაზე
ჰანგი ხალხის უფლებაზე,
ძმობასა და სიყვარულზე,
მზეზე, თავისუფლებაზე.

სჯერა, რომ არ დაყოვნდება,
ერთის ხმაზე სხვა გროვდება.
სჯერა: მშობლიური მიწის
შვება-ლხენა ახლოვდება.

როს ამგვარად დღე ბნელია,
როს წყევლიადის ქვესკნელია,

ყოველივე წაილეკოს
უნდა, შესაძლებელია.

ტალღას ტალღა ხვდეს ძლიერი,
თვითმპყრობლობა უდიერი,
დაემხოს და იმის ნაცვლად,
ხალხი გახდეს ბედნიერი.

და მეფეზე თავდასხმები
არა სწყდება, ისმის ხმები,
აოცებდა ყველას ასე,
გაბედული ყუმბარები.

ველარ შველის მეფეს ძველი
და ერთგული რაზმი მცველი,
ყოველ მხრიდან, ყოველ გზაზე
სდგას ნაღმების ჩამწყობელი.

ბოლოს გზა აქვს — ცეცხლის გიზგიზს.
მეფე მსხვერპლი ხდება ბიძგის,
იფეთქებს და ყოველივეს
სწყვეტს ყუმბარა გრინევიცკის:

და თუნდ წამით გაანათა
უეცარი შუქით — მათი
უდიდებულესობისა,
მოკვლით ნისლი და წყვილიადი.

და აკაკი, მთვრალი მწველი
გაზაფხულის სიძლიერით,
თავის შეუდარებელი
თარის ნაზის სიმთა ჟღერით,

მიესალმა ამ გაზაფხულს,
სასოებას გულში ჩაფლულს,
სანავარდო მისცა ფრთები
ენას ტკბილსა და მოთაფლულს.

შესძრეს წამით ლეტარგია,
მაგრამ ბევრს ის რას არგია?
მოიშორეს ხომ მონარქი,
მაგრამ დარჩა მონარქია.

ისევ იმნაირი ხმითა,
იმგვარივე სადავითა,
აწ უფლება მოკლულისა
სხვა ცოცხალზე გადავიდა.

ცხოვრება რბის გიზგიზებით,
ყველგან გაჰყავთ რკინისგზები,
ვაჭრობით და მრეწველობით
მწყერ-მიმინოს ცვლის ქისები.

ბევრი ჰკიცხეს, ბევრი დაჰგმეს,
ფული მაინც ვერ ალაგმეს,
და სუყველამ მიაშურა,
რამე საწარმოო საქმეს.

გლახს შეეძლო წასვლა გარეთ,
თავის ნიჩაბით და ბარით,
ემუშავნა რკინისგზაზე
მას იქ კაპიკ-ნახევარით.

ვაჭრის, ღროის ამ რაინდის,
რომლის ცხოვრებას და სინდისს,
მეტი არ-რა გააჩნია,
გარდა ყიდვის და გაყიდვის.

გული უფრო ხმეირდება,
ერთ ადგილას არ ჩერდება,
იძენს უფრო მეტ შეძლებას,
მხნევედება და ძლიერდება.

მატყუარა — მხარეს არბევს,
რით დააცხრობ ამ სიხარბეს!

ვერაფერით! — ვერცხლის წყალი
გარბის, მორბის; მორბის, გარბის.

ვერაფერით! დაჰკრა ურო
და სულ გადაანადგურო
უნდა! — ეხლა პოეტს მეტი
ფიქრები სდევს უსადგურო.

აქ, „ახალი გზა“ ვრცელია,
იმა გზით სვლა სასჯელია,
პატიოსან კაცად ყოფნა
ხომ ძნელია და ძნელია.

ამ გზით მიძიმეს სუკრეტ სამყაროს
საეკლოს და საიაროს,
მაგრამ ჩვენმა პოეტმა გზა,
იგი უნდა გაიაროს.

„დაწყებული იქნას საქმე“
მიზნისაკენ, ხვალისაკენ
„სისხლი დუღს“ და... შეუპოვრად,
მაშ წინ, მომავალისაკენ.

დაიხლართა რკინისგზები,
შეაერთა შორი ზღვები;
მიაქვთ, მოაქვთ მატარებლებს
საქონელი ფას-უღებში.

გაშლილ-გადანალაგები,
გაიზარდნენ ქალაქები,
გლახობამაც მოიძია
საშოვარი ალაგები

და მიაწყდა ეს არმია —
სად საწარმო-ნაწარმია.
დღეისა სურს, არა სწამს რაც
სახვალთ პლაცდარმია.

მიწის ბურღით გაბოხება,
ქვანახშირის ამოღება,
შავი ქვის და ნავთის ძებნა.
წარმოების წამოწყება,

ფუსფუსი თვალწარმტაცია,
მაგრამ იგი ფანტაზია
კი არ არის — აქ ძალაში
შედის ექსპლოატაცია.

აკაკიც სხვის მაგალითად
ინტერესით არა მშვიდათ
მოგზაურობს ხან რკინისგზით,
ხან ცხენით და ხან ქვეითად.

იგი მხნეა და მოძრავი
საქმე კი აქვს უამრავი:
ბანკი, შკოლა და თეატრი,
ქვა უბრალო და ქვა შავი,

ქალთა კითხვა და ფოლკლორი,
რაც სხვებისთვის არის შორი,
მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო
საკითხია — თანასწორი.

„ლექციებით“ მიდის ქალაქს.
ენას ავსებს სოფლის ალაგს,
ამბებს ყოფა-ცხოვრებისას,
ჩვეულების და ზნის ძალას,

აკრებიანებს მთელ თაობას
ძვირფას ზეპირ-სიტყვაობას,
გლებებში ის თვის კაცია
ვინ დასწამებს მას სხვაობას?

აკაკია — ხმის ხავერდით,
სხვა ვინა სდგას იმის გვერდით?

წერეთელი — ბევრი არის —
აკაკი კი ერთადერთი!

იგი ხშირად ხვდება მუშებს,
ანუგეშებს, დარდს უშუშებს,
გრძნობით მიესალმებიან:
ჩვენთან ის მტერს არ მოუშვებს.

უყვართ მისი მსწრაფლ-ამნთები,
მახვილსიტყვიანი — ფრთები,
გულკეთილი ირონია,
და სიცილი გადამდები.

ლომურ ფაფარს, ვერ დაწყობილს
და არწივისებურ პროფილს,
გულკეთილსა და გამბედავს,
ხშირად დამცინავად მკობელს

სჭკრეტდენ ქალნი. მოსწონთ ვაჟი,
ვერვინ შევა მის კრულვაში:
მას, ვითარმედ იუპიტერს
შვენის წვერი და ულვაში.

პატივსცემდა დედათ კდემას,
არა მარტო ეროვნებას,
ისევ ისე-ადამიანს,
ისევ ისე პიროვნებას.

სიმთაქმერა სულ სხვაგვარად,
იწყობოდა ნიაღვარად,
სიყვარული იხსნებოდა,
ყოფნა-არსებობის კარად.

გალრმავებულს, შენსა და მეს,
ქალისა და ვაჟის სიყრმეს

ის ამცნებდა სხვა გრძნობათა
და სხვა სიხარულთა სიღრმეს.

ქალთა გულით სიმებს ჰკრებდა,
და ყველა ხმებს აერთებდა,
აქ ქალის გულს უდიადესს,
და ქალს — დედას, აღმერთებდა.

კარგ ქალებზე ის მღეროდა,
მღერაც ასე შეფეროდა,
სულის მაღალ ზნეობას და
სისპეტაკეს შესცქეროდა.

სამშობლოსთვის თავდადებათ.
სიმღერა არ ათავდებდა,
თავგანწირულ ქალში იგი
გაზაფხულად აჰყვავდებდა.

და „ნათელა“-ს სპეტაკ გულთან
მის ურყეველ სიყვარულთან,
მის ზნეობრივ სიწმინდესთან,
ხან ნათელთან, ხან ფარულთან,

ვერ მიბედავს თვით სატანა,
სიმკაცრეთა მათთა თანა,
უმტკიცესი საფუძველი
გმირობაა და გატანა.

სილამაზის და სიკეთის,
თამარის დროს უხვად შედის,
სიბრძნე ჰუმანიურობა,
ჰეშმარიტებათა ბედის.

ქალებს მოსწონთ, პოეტია!
იგი ყველაზე მეტია,
იგი სახელგანთქმულია,
იგი დიდი იმედია;

და მათ ყველა იზეპირებს,
ხმა ხან გრიგალს ემსგავსება-
და მიანგრევს ბურჯ-ჭებირებს,



ხან გზა ვარდით უნდა ჰფაროს;
თავისი გზა გაიაროს,
თანამემამულეები
დააწაფოს უკვდავ წყაროს.

იგი უნდა ჰგავდეს ფუტკარს,
წინ მედგარი შრომა უდგას,
და თორნიკე ერისთავის
ჩამოკვეთას ის შეუდგა.

გრძნობს წარსულის ფერგადასულს
არყოფნასა და დასასრულს,
სთქვით — რომელი გონიერი
კაცი არ მიმართავს წარსულს,


არ მოსძებნის მასში კიდევ,
მომავალის გზას და ზიდეს,
რათა აწმყოს ბორკილები,
დალეწოს და წინ წავიდეს?

დავრდომილი და სნეული,
ცხოვრება წინ წაწეული,
იქნას მხოლოდ ცოდნის მიერ,
თავისუფალ-გარკვეული.

ურთიერთი მოქმედებით,
ერთის ძალით, ერთის გზნებით,
კიდევ ყოველივესადმი —
განუწყვეტელ ყურადღებით,

რაც წარსულის-მიერ დარჩა,
ფარჩა არის თუ ფარაჯა,

ძოიკრიბოს რაც კი ქვეყნად
გაიბნა და დაიხარჯა.



და პოემა თორნიკესი
მომავალის არის გეზი,
იგი არის მოწოდება,
ქადაგება უმძაფრესი.

ძახილია პოეტისა,
ძმებისათვის, სხვებისათვის,
მთელი საქართველოს მკვიდრთა
გაერთიანებისათვის.

იგი ახდის წარსულს თაღებს,
ის აღვიძებს და იძახებს
ხალხის თავ-მოყვარეობას,
ხალხის ძალა-სიამაყეს.

და რაც იყო მაშინ, გუშინ,
წარბშეკრული და პირქუში,
რაც კი მკაცრი და სასტიკი
სუსხიანი ჩნდა მოლუშვით,

პოეტი მხნედ და გულდასმით
ასახავდა რა ხაზ-გასმით
ჩვენს თავადსა და აზნაურს
გადაკრავდა სიტყვით და ზმით.

აზნაურსა ანუ თავადს
ნებიერსა და ფუქსავატს,
უჩვენებდა მაგალითებს
მჭერმეტყველურს თავისთავად.

სამსახური — რა და სადმე —
მშობლიური ქვეყნისადმი
მალლა დგასო, უფრო, ვინემ,
სამსახური ზეცისადმი.

როცა საქმე ითხოვს მაშინ
მაგრად მოსწევს ცხენის ავშარს,
იხდის თავის ანაფორას,
და იმოსავს ჯაჭვს და ჯავშანს,

ხმაღს აიღებს, სძრავს ქვა-ლოდებს,
როს სამშობლო მოუწოდებს,
იგი არ ჰგავს ზოგიერთი,
ეკლესიის სიბოროტეს.

გლახიც არა ნაკლებია,
ომს არც ერთს არ დაჰკლებია,
ბევრი მტერი სამშობლოს,
უსრავს, ჩაუძაღლებია.

ეს სამშობლო, ეს მთა-ბარი,
ნამდვილია, არ-ზღაპარი,
მის დაცვაში ერთგულია
და რაინდთა თანაბარი.

კერპი — სხვაა უეჭველად,
როს ღამეა — როცა ბნელა,
სინათლის დროს რაა კერპი?
ყენია, ბურბუშელა!

არა ტახტსა და წოდებას,
არამედ — კარგ მოწოდებას,
საქმეს უნდა სცეთ პატივი,
სამშობლოსთვის მოქმედებას.

და როდესაც მთლიან ლავად
ბიზანტიის დასაცავად
გამოვიდა საქართველო
და ეკვეთა მტერს ერთ თავად.

ეს ამბავი — როგორც მიჯრა,
ბევრ ქვეყნისთვის იყო იჯრა,

ვითომ სხვისი დაცვის სახით
სხვის მხარეში რომ შეიჭრა!



სასამართლოს, როს გვიჩვენებს,
მასში ხალხის ფართო ფენებს
აძლევეს ადგილს, ის არა ჰგავს,
იმ ძველ რუსულ განაჩენებს.

სად მოხელის სჭვივის თვალი
თვითნებური სამართალი,
რომლის ხელში იყო მშრომელ
გლეხის ბედი და იღბალი.

თორნიკე ეს ქებათ-ქება
იყო, არის და დარჩება,
როგორც ჰუმანიურობის,
სახელით სვლა-გამარჯვება,

მეგობრობა-ძმობა ტომის,
ქებათქება ძმური ნდომის,
ქება სამართლიანისა,
გმირულის და მძლავრი ომის.

აღსავსენი თვალ-ახლობით
პოემები გვხიბლავს გზნობით,
ირჩევინ აზრთა სიღრმით
და სახეთა მხატვრობით.

გვხიბლავს იგი მდიდარ ენით,
თავისუფალ მიმოდენით
სისადავით და პათოსით
გამოსახვა-წარმოდგენით.

ჩვენმა წყალმა, ჩვენმა მთებმა,
დიდებულმა მხარემ მთელმა,
გულმა საქართველოსამ,
ღიაღმა და შუქნათელმა,

ჰპოვეს მასში კვლავ თავისი
უსრულესი, უმთავრესი,
გენიალურ ჰარმონიის
გამოსახვა უმძლავრესი.

ასე, მძლავრად მოგუგუნემ,
ხან მტერმა, ხან მოერთგულემ,
პოეტები ბევრი მოგვცა,
მეცხრამეტე საუკუნემ.

მაგრამ მსგავსსა, ისეთ მგოსანს,
ვინც დიდებით შეიმოსა,
ვინც მთლიანად ასახავდა
თავისთავს და თავის დროსა,

ვინც გაფრენა იყო ქნარის,
რომელიც მზე იყო დარის,
ვინმე — მსგავსი აკაკისა
არ ყოფილა და არ არის.

მას არა აქვს ყალბი თქმები,
გულით წმინდით ნახსენები,
მისი ქნარით მონარნარებს
მხოლოდ ბუნებრივი ხმები.

ჰანგი დასანანებელი,
ბევრის კარგი მზმანებელი,
მგოსანია, ცოცხალ გრძნობის,
ძალა დაუტანებელი.

„ზარმაცია, სხვა რა ერთი?
ზარმაცია, როგორც ღმერთი“.
მის საწყენად სულ ხმამაღლა
გაიძახდა ზოგიერთი.

იგი მართლაც, როგორც სჩანდა,
თვისთავს ძალას არ ატანდა,

მაგრამ გამოხმავრებას,
თავის დროზე დაატანდა.

და ყოველთვის, რასაც გრძნობდა,
მის გამოთქმას არ ხანობდა,
წყაროს ზეშთაგონებისას,
ის ყოველგან პოულობდა.

ბევრი შთაბეჭდილებანი,
დიდნი ჭეშმარიტებანი,
მოვლენათა უდიდესთა,
მძლავრი ჩანგი და ებანი.

დღიურ საკითხების წვდომა
იდებში, ვნებათ ცდომა,
დევ-გმირები წარსულისა,
უპატიოსნესი შრომა.

ათასგვარი მავნებელი
და მნგრეველი, მშენებელი,
მისი კალმის ჯადოსნურის
იყო ამმეტყველებელი.

სიმღერებმა თვის უახლეს,
ხმით გონება აღამაღლეს,
სევდა თავისუფლებაზე,
განაღვიძეს, თან იახლეს!

ვის საგმირო საქმე ხვდება,
და წყურვილი ეძალება,
სამართლიან ომისათვის
არ დაშუროს თავდადება.

და მიდის დრო, ან და არა,
ტრიალებს დრო, როგორც ჯარა.
მთლად გათეთრდა ბუმბერაზი,
მთლად შეიქმნა თმა-ჭალარა.

დინჯი, გულდამშვიდებული,
სულ მთლად გადათეთრებული,
გარნა გარეგნობა ჰქონდა,
კიდევ უფრო დიდებული.

თმა ბუქია თოვლიანი,
ენა ბასრი და წყლიანი,
გამოხედვა — კვლავ ცოცხალი,
განუზომლად აზრიანი.

ძარღვებში დულს ისევ სისხლი,
ვერა ძალავს დროთა ვერცხლი,
ახალგაზრდულ მხურვალეების
და თავგამოდების ცეცხლი.

საქართველო ამაყოფს მით
მის სახელით და დიდებით,
მისი შარავანდედითა,
საუკუნეთ მორიდებით.

სად ქართული ისმის ხმობა,
არ იქნება უმისობა,
მასზე ლიტერატორებსაც
მასლაათი აქვთ და ბჭობა.

გამოთქმა აქვთ ნისლის მხვევი,
ბევრ რამეში ვერ ერკვევი,
ბევრს ამბობენ, კარგს ამბობენ,
მაგრამ ბინდბუნდია ბევრი.

რად შევცვალოთ დღე ბინდბუნდათ
მის ლალად და იავუნდად
მზეებრ ნათელ პოეზიას
კმარა, ნისლი აღარ უნდა!

სალონებში ჰქმნიან წესებს,
ჰკითხულობენ მგოსნის ლექსებს,

თეატრებში რეჟისორი
პოეტისას სდგამს პიესებს.

ლალია თუ მწუხარება,
ყველას მასთან უხარია,
ბევრი — პატივცემელია,
ახალგაზრდა — მღულარება,

და ღიმილის სისპეტაკეს
ვინ მოაძლის ბავშვის ბაგეს.
როს იგონებს სასაცილოს,
მის იგავებს და არაკებს.

ყველა — ვინც კი მიიხედავს,
მის დიდებულ სახეს ხედავს,
მასზე რამე აუგის თქმას,
თვით მტერიც კი ველარ ბედავს.

მინდორია თუ ფარეხი,
სადაც კი დაუდგამს ფეხი,
ჟამსა დასვენებისასა,
ხალისდება ლექსით გლეხი.

ასმა წელმა მიასხურა
როგორც ასმა წვეთმა სურა.
მეცხრამეტე საუკუნე
აი, კიდევ მიიწურა.

ისტორიას ვინ გაუმხელს
ას წელს მძიმეს, თვალაუხელს,
რაც ქართველი ერის ქედი --
იომენს სამარცხვინო უღელს.

ვინ მიაფენს გვალვას ჩრდილოს?
თავი თვისი ვინ გასწიროს,
საქართველომ ეს უღელი,
რომ კისრიდან მოიცილოს?

აღარაა ხალხში ძალა,
და ერთობა წაიშალა.
ყველა ფიქრობს: ეროვნული
ენერგია დაიცალა.

კვლავ სევდისკენ მიაშურებს
ფიქრი, იცვლის რა სადგურებს,
რჩეულ ადამიანების,
ბედს გრიგალი ანადგურებს!

ხმა სჭექს უსწრაფესი ელვის:
ქართლს წყევლიან! და ვინ სწყევლის,
სიჩუმეში ხმა გაისმის
ეგზარხოსის ფარისევლის.

ცკლესიის გუმბათს ქვეშე,
ძველი კამარების ბჭეში,
საჯაროდ და დაცინვითა,
გულშემზარავ სიჩუმეში,

მოხელემ, ვინც იდგა წინა,
მკაცრი წყევლა მოისმინა,
ეს დიმიტრი ყიფიანის
გულმა ველარ მოითმინა.

და წერილი — რისხვა რამა —
გაუგზავნა წმინდა მამას,
მთაერობასაც ეს უნდოდა,
ის უცდიდა სწორედ ამას.

ყიფიანი — შიში მტრების,
მათი მრავალ ზარდაცემის,
ის მეზობელი იყო ჩვენი
საქართველოს განახლების.

მტრებმა — თვისად რომ ვერ მოჰქნეს,
სხვა, შორი გზა, მოიმოკლეს,

ყიფიანი მოუღლეღი,
გადაასახლეს და მოჰკლეს.

ტახტისა და ღვთის მმოსავი,
საქმე ჩაიდინეს ავი,
მიეპარნენ რა მძინარეს,
ქვებით გაუჩეჩქვეს თავი.

თან სერგეი მესხის ძალა,
ამ ბრძოლებში მოიღალა,
მოტყდა კაცი, ძველებურად,
ველარ იმარჯვებდა კალამს.

და კოშმართა ხეობაში,
უგონობის ტყვეობაში,
სადღაც უცნობ ჰოსპიტალის
მწარე ერთსახეობაში —

წვით აღმოხდა სული ყაზბეგს!
მის უღევსა და ათასფერს
უხრწნელ განძთა სიდიადეს,
ერი მარად დააფასებს.

ცოცხალს, პატივისა მცემლის
სახით ბედმა სცემა გრდემლი,
მოჰკვდა — ბევრი დაიღვარა
დეკორატიული ცრემლი.

იმ თავითვე ასე სჯილა, —
რაც ქვეყანა გაჩენილა,
დალად სამსახური ქვეყნის,
ვისიც გულზე დაჩენილა.

და აკაკიც მწარედ სწუხდა,
გამოძახილებად ჰქუხდა
მის სიმღერით — საქართველოს
ცა — ფირუზად — მთა ზურმუხტად.

მაგრამ სულით დაცემის დრო
აწ არ არის, უნდა მჭიდრო
შეერთებით და გაწევით,
მომავალი დაიმკვიდრო.

და აკაკი ხედავს ნათელს,
შორიდან, რომ აკიანთებს,
მრავალ საუკუნიანი
სული იბრძვის სიწყველიადის.

იგი ხედავს იმ რიჟრაჟებს,
შორიდან რომ იკაშკაშებს,
და ახალნი ძალნი დღისა,
მოაფრენენ ახალ რაშებს,

და კამათი გონებრივი
შეჯახება მკვრივზე-მკვრივი,
არის მისი საწინდარი,
რომ ახალი მოდის სხივი.

მას ახალი მოდევს მცნება,
ის სწორია. ის არ ცდება.
ძველი ჰქრება და სხვაგვარი
მზეთა ჩნდება შემეცნება.

გაჭირვება — შრომის ხაზი;
მჭიდროვდება მუშათ კლასი,
რა ვაკეთოთ? — აწ ამ საკითხს,
საბოლოოდ სწვეტდა მარქსი.

მომავალი ბრძოლის გრძნობა,
იმ თავითვე შეიცნობა,
და მაგრდება ენერგია,
და მტკიცდება ნებისყოფა.

გრძნობს აკაკი ახალ ქრთოლვას.
ახალ ქროლით ძველის თრთოლვას.

გრძნობს, რომ ტახტი შეირყევა,
ვერ გაუძლებს დროთ მოწოლას.

ის არ ფარავს წინათგრძნობას,
არ ფარავს ის დიდთ მორცხვობას,
ჩვეულ პირდაპირობითა
მიმართავს თვითმპყრობელობას.

საუკუნეთ მთელთა წყებას
ჰა, მეოცეც ემატება!
უუფლებო კლასისათვის
საუკუნის დაბადება,

იყო ტკივილებიანი,
იყო მძიმე, სნებიანი,
შიმშილიან-ომიანი,
უმუშევარ წლებიანი,

სისხლიანი დღის კვირიდან
როს სულმდაბლად დაიხვრიტა
რწმენა ჯალათ მეფისადმი
და მოთმენაც დაიწრიტა,

აფრიალდა, აბიბინდა,
აშრიალდა დროშა წმინდა,
ძველი პატრიარქალური
ის რუსეთი დაიბინდა,

დაბარბაცდა თავის ჯვრებით
და მოოქრულ გუმბათებით,
ხელით კვერთხი უვარდება,
დაყრუებულს უცნობ ხმებით.

ცხარე იყო განთიადი
აქ ახალი იშვა მნათი,
დრო მოვიდა, და თბილისზე
აიმართა ბარიკადი.

რასაც ვნატრობდიო, ახდა,
სიზმარიც კი ცხადი გახდა,
განრისხებულ ჰაერშიაც
ხმა სულ სალამს გაიძახდა.

ბარიკადი — დღეა ხმისა,
შიგ ტრიალებს თვალი მზისა,
და მხურვალე მოწოდება
ისმის დიდი პოეტისა.

სასახლეებს რისხვა ცისა,
მშრომელი კი, თუ ეღირსა —
გამოცოცხლდნენ და განათდნენ
ქოხნი საქართველოსა.

ჰქუხდა ცხრაასხუთი წელი,
რომ თვით ხალხი უძლეველი,
მოახერხებს ბორკილთ აყრას,
თავის საკუთარი ხელით.

აქ დღევაა, იქ გაფიცვა,
ჟანდარმმა ტანთ გადაიცვა.
ქარხნები სულ დაიხურა
მემამულე გადაიწვა,

კერძო საკუთრების ხვავად,
შემდეგ თავის დასაცავად,
ტახტი რომ გადაერჩინა,
განმზადილი, დასაწვავად,

მონარქიამ განაცხადა,
რომ მხარს უჭერს მხარეს ცხადათ,
განაცხადა მინიჭება
უფლებათა სხვადასხვათა,

და უფლებათ მათთა შინა
სხვა ბრძანებაც მოახდინა:

„ნუ იშურებთ ტყვია-წამალს“
და ქვეყანაც წაახდინა.

მერე მისწვდა ხმალთა ვადებს,
სიცოცხლეს ჰკვეთს, სიკვდილს ბადებს,
ბევრი მსხვერპლი შეეწირა,
ცხრაას ხუთის ბარიკადებს,

და დაეცა სვეტი მათი
შოელვარე ჩაპქრა მნათი.
სისხლისა და ცრემლის ღველფში
ჩაიფერფლა განთიადი.

და გადარჩა ცხედართ შორის
ძალა-უფლებები შმორის,
გაიმარჯვა კაპიტალმა
ხმა მოესმა ზარის სწორის;

ხალხს გულკეთილს, ხალხს სხივოსანს
გულახდილს და პატიოსანს,
ჯერ სულ კიდევ ახალგაზრდა
რევოლუციისა მმოსავს,

უბედობა თავს დაატყდა,
მაგრამ მაინც ის არ გატყდა,
დამარცხებულთ და დამსხვრეულთ
გულში ჩუმი რისხვა ატყდა.

მან გაიგო თუ რა ხდება,
რას მიექცეს ყურადღება,
და ვით უნდა წაიყვანოს
საქმე, როცა დრო დადგება.

„შევცდით, დავიჩინეთ დაღი,
ხელთ ავიღეთ იარაღი“!
იძახოდა შემთანხმებულთ
უცნაური ბაირაღი.

„მე თქვენთან ვარ, თქვენთან სულა,
ვინც ძველი გზა მოიძულა,
რომ ვირწმუნო თქვენი ძალა.
განა ვინმემ მაიძულა“?

არ ცდებოდა აქ გენია
პოეტისა, როს ჰფენია
ხალხს ბურუსი რეაქციის,
პოეტიც ხალხს შერჩენია.

ელვარებდა ვით ხანჯალი
სიმღერის და ლექსის ალი.
„ინტერნაციონალი“ და
„ძირს მთავრობა, ძირს მტარვალი“.

განადგურდა მეზრძოლთ ძალა.
ბევრი რამე შეიცვალა.
მაგრამ ხალხის გულში მაინც,
ის წყურვილი არ დამცხრალა.

ის ცხოვრობდა მგოსნის ჰანგში,
მისთა ხმათა ნაზ წიაღში
საოცნებოდ შენახული
მტარვალთათვის უცნობ ბაღში.

თვითმპყრობელს რომ გაებედა
და სიმღერა აეკვეთა,
მონახავდა მის ჰანგებს ხმა,
ხალხის გულთა და ბაგეთა.

ახდებოდა ძველი, ავი
მითი, ოდეს ნაკვეთავი
კუნძულ ლესბოსს მოიტანეს
მგოსნის, ორთეოსის თავი.

განაგრძობდა იგი ხმიანს,
ჯადოსნურს და ოცნებიანს,

მღერას, ათვინიერებდა
მხეცებსა და აღამიანს.

გაჰქრნენ წელნი, უამმან ინა,
ფერად თმებად გადიფინა,
ორმოცდაათ წლის გრიგალმა,
გაიარა, გადიფრინა.

და მგოსანმაც გაიარა,
წელთ სიმძიმე და იარა,
ხალხთან ერთად მრავალნაირ
მწუხარებას ეზიარა.

ის მისდევედა ნათელ მიზანს
მთელი კაცობრიობისას,
ამ მიზანს ის არ ჰკარგავდა
მაშინაც კი, როს გრძნობისას,

სიავისა გამო უამთა,
სულშიაც, ვთქვათ, რომ დაღამდა;
სულს ეჭვები ეხვეოდნენ,
გულს სიმწარე დადაღავდა.

აი, დიდი სიხარული!
თავის სიტყვის გაბედული
სილამაზის ზეგავლენით
მან დაიპყრო ხალხის გული.

გახდა მისი სულიერი,
ბელადი მხნე და ძლიერი,
მის ოცნება მისწრაფების
გამოვლენა სახიერი.

ამიტომაც, როგორც მითი
მისი შემოქმედებითი,
ორმოცდაათ წლის აღნიშვნა,
სიხარული იყო დიდი.



და ტრიუმფი დიდ აკაკის
 პოეზიის, როგორც სარკის,
 იყო დღესასწაულობა,
 პოეტის და მოქალაქის.

აქ სომეხი და თათარი
 ან რუსეთის ბინადარი,
 უერთებდენ ხმას ქართველებს
 ყველა, ძმების შესადარი!

ო, მიდიან ქამნი, დრონი,
 თითქო სულ დაჰკარგეს გონი,
 დედამიწის უძრავ სახეს
 ცვლის ორთქლი და ელექტრონი.

დიდი დასადგურდა მტრობა,
 და დაფუძნდა ბატონობა;
 ხალხის მრავალ მილიონის
 მტაცებელთა ხროვის ყმობა.

მოხვეჭათა ველურ ხმაში,
 და ბაზრების დაპყრობაში,
 ერთს მეორე დაეჯახა,
 სამკვდრო-სასიცოცხლო ცდაში.

აქ მსოფლიო ომის ზანზარს
 იმპერიალისტურ ხანძარს,
 დაბრმავებულ ხალხთა წყება,
 აყვა: ხან კრინს უმღერს, ხან ზარს.

დროთა თოვლით თოვებული,
 სოფლად განმარტოებული,
 წინაპართა ძველთა სახლში
 ცხოვრობდა ის, დიდებული.

სანთელი ხან ენთებოდა,
 და ხან ისევ ფითრდებოდა,

ოდეს ისტორიულ ამბებს
იგი ჩაუფიქრდებოდა.

არ უნდოდა, არ უნდოდა!
კაცთა მტარვალთ და უნდოთა,
დასარბევად ეს ქვეყანა,
არასდროს არ ეკუთვნოდა;

არ უნდოდა ეს სოფელი
ცვალებადი, უნდობელი,
ისე დაეტოვებინა
ვერ გაეგო სანდომელი.

თუ სად მიდის ეს დროება
მისთა ტალღათ წუთროება,
ფიქრობდა ის, რომ გაეგო
მისი საიდუმლოება.

სურდა დაენახა თვალით
სადამდე და როგორ ძალით,
მიიყვანდა მსოფლიოს ეს
სისხლიანი ქარიშხალი.

მეგობრობისა და ძმობის
ხალხთა ძმობა-მთლიანობის,
და ბრწყინვალე იდეები
მათი მშვიდობიანობის,

მას ესმოდა ძალა ხმების,
რწმენა რევოლუციების,
უნათებდა შთაგონება,
მგოსნის უღრმეს მოხუცებას.

მოვლენათა, აზრთა ალი,
მათი ელვა-ნაპერწყალი,
წინასწარმეტყველებდა რომ
ეროვნებათ მომავალი



იმის ძვირფას მხარეს ჰპოებს,
და საერთო სამშობლოს
რუსეთისა გამოხსნისთვის
შეიქმნება ზავი დროის.

ხალხთ პოემა სურდა ვრცელი
დაეწერა — გამკიცხველი,
მაგრამ ხელმა სიკვდილისამ
შეაყენა მგოსნის ხელი.

მაგრამ ისტორიის განა
წინ დასმული გამოცანა
რჩება შეუსრულებელი?
არა! მტაცებელთა ნანა

შეიცვალა მძლავრი ხმებით
და ექვსი წლის შემდეგ გზნებით
იძრა რევოლუციური
ცხოვრებით და ხალხის ნებით.

მდინარეობს ხმა და ფერი,
დღე დღესა სცვლის შენაფერი,
ყველაფერი მიისწრაფვის,
და იცვლება ყველაფერი.

აგერ, გადის ასი წელი,
რაც აკაკი წერეთელი
დაიბადა, ჩვენთვის ეს დღე
ძვირფასია, საყვარელი.

ჩვენთვის ეს დღე, იმას ნიშნავს,
რომ მგოსნის გზას შესანიშნავს,
ხალხნი ჩვენის სამშობლოს
გაიგონებს და აღნიშნავს.

ვესალმებით მხარეს მისას,
ვესალმებით პირველ ყოვლის

ისტორიულ არსებობას
დიდი აღამიანისას.

მან შესძლო და არ დაეცა,
თვის ძნელ გზაზე, როსმე ზეცა
იყო მკრთალი. ფეოდალურ
სიბნელეში იყო დღეცა.

გაიარა თვითმპყრობლობა
ფეოდალურ არსებობათ,
შემდეგ ბურჟუაზიული
რკალი წინააღმდეგობათ,

მან გულწრფელად, ვაჟკაცურად,
გააღვივა ბრძოლის ქურა.
ძალებს რევოლუციისას
მკვეთრი სიტყვით ემსახურა.

ეს ძალები ფეთქდა მწველად
მსოფლიოს ბრძოლის ველზე,
შრომის, თანასწორობისა,
და გატანის საფუძველზე.

მოძმე ხალხისადმი — ძმური,
უცხოთადმი — მეზობლური —
უკვდავებით აღინიშნა,
თავდადებით სამსახური.

აზრი, მგზნები და მშრომელი,
ენერგია უცხოომელი,
სწრაფვა შეუსუსტებელი,
კეთილშობილი და წრფელი.

დაე, გაგვამხნევოს დიდმა
და ძლიერმა მაგალითმა
მარადისი ყოფილიყოს
მგოსნის ლექსი, მისი რითმა.

მეცნიერებისა, მგონი.
ხმა, სიამედ მოსაგონი;
იგი ორთქლი, იგი სუნთქვა
და იგივე ელექტრონი.

დღეს მონაა იმ მიზნების,
რასაც დღე ისახავს ძმების,
ჩვენს მხარეზე არის ძალა
ისტორიულ ვითარების.

დღე, ისმოდეს ხმა ჩონგურის:
გენიისა და კულტურის,
სადარაჯოს სდგას პარტია
და ჩვენ გამარჯვება გვწყურის!

დღე, ჩონგური კვლავ ხმას სცემდეს;
და სამშობლოს გვახსენებდეს.
ხმა აკაკის სიმღერების
ისევ ისე გვამხსენებდეს.


ქარიშხლიან სამყაროს
აწ, ომებში ახალ დროის,
დღე, ისინი იყვენ მცველნი,
მშვენიერი სამშობლოს.

ძლიერია ეს მაისი —
კვლავ მიტაცებს, ცხენოსანს, ის,
მთების უმშვენიერესი
და ბრწყინვალე რეზონანსი.

წყალვარდნილთა ხმა — იმედი,
ტყეთ შრიალი უფრო მეტი,
მშვენიერზე მშვენიერი
არის აკომპანიმენტი:

რომ დრო ბევრს ქარს გადაურჩა,
წარსულს ვალში არ დაურჩა!

მშვენიერი მომავლისკენ
გასწი, გასწი ჩემო ლურჯა!



იმიერი, ამიერი,
მისი მთა და მისი სერი
იყოს მრავალ, უფრო მრავალ
კიდევ მრავალ-ქამიერი!

1940 წ.

საუბარი ლირიკის შესახებ

I

ვიგონებ ყრმობას;
 შორს, ძლიერ შორს,
 ჭაღების გაღმა
კავკასიონის
 კლდოვანი მთის
 მოჩანდა ფერდი.
სალამოობით —
 ვით ხომალდი
 ასწიოს ნაღმმა —
მზით ენთებოდა
 და ქრებოდა
 ტიტანის მკერდი.

II

ბავშვობიდანვე
 ის სიშორე
 მტანჯავდა ერთი —
ლაყვარლოვანნი
 მიტაცებდნენ
 ნაქერალები
და ვკითხულობდი,
 ვევცნებობდი.

ვმღერდი თუ ვსწერდი —
მღევდნენ, მეძახდნენ,
მიზიდავდნენ
ის მწვერვალები.

III

რით შეაყენა
ის ხომალდი
გრძნეულმა დაღმა
შენ არ იცოდი,
ვერც გაიგე,
ისე დაბერდი.
შემოიხვია
მყუდროება
ღრუბლების ბაღმა,
მოსჩანდა ხვამლი —
როგორც თრთოლა,
როგორც ხავერდი.

IV

როგორც უთოვლო
ყმაწვილობის
ულრუბლო ბედი,
როგორც შემდეგთა
ქარიშხალთა
ცივი ბრჭყალები,
როგორც სიცოცხლე,
როგორც კუბო,
როგორც იმედი —
მღევდნენ, მეძახდნენ,
მიზიდავდნენ
ის მწვერვალები.

მთლად დამიმონა
 ცად ნატყორცნმა
 ლურჯმა წიაღმა,
 ჰაეროვნებამ,
 საიდუმლომ
 დაფარა ქედი.
 თითქო იმ მთაზე
 ისევ ისე
 ვწევარ გულალმა
 და ვარსკვლავების
 დიდი წიგნის
 ყოველი გვერდი

VI

არის თეთნულდი,
 არის უშუა,
 მთელი სვანეთი,
 იმისი დილა
 და შუადღე,
 მზით ნაალეზი,
 მისი საღამო
 ბინდთა ლურჯი
 ოკეანეთი..
 მღევდნენ, მეძახდნენ,
 მიზიდავდნენ
 ის მწვერვალები.

VII

მოგონებანი
 იმ მთებივით
 შემოირიგა
 მწვერვალმა, რომლის

სახელია
ქნარი, ლირიკა.

არა ოცნებით,
არ ზღაპარით
მის ცისამართ —
წყარო ყრმობისა
მარადისთა
ნაკალთ კამართ

VIII

მიედინება.
მაგრამ საით?
— სამისამხარო
ქვეყნისკენ, სადაც
პოეზიის
ბრწყინავს სამყარო,
სადაც არსებობს
პოეზიის
მარად მგზნებელი,
ლირიკის სული,
სული მისი
მაცოცხლებელი!

IX

პირველ ნაკადათ
მსურს გადაიქცეს
ჩემი მიმართვა,
მიმართ ჭარმაგთა,
მიმართ ჭაბუკთა
სახემლიმართა.
მარად მოვითხოვ
ვით შეაბჯრეს,

როგორც მეფარეს,
მხოლოდ ცოცხალს და
მიმგებარეს,
მხოლოდ მგზნებარეს.



X

მარად დიადი
უნდა ჰქონდეს
სიტყვის მიზანი,
მარადის სიბრძნის
აშუქებდნენ
სხიენი მზისანი.
მიზანი ჩემი
აქ გამოსვლის
მხოლოდ ის არის,
რომ სიმართლისთვის
მოგრიალე
ჩანგის ფიცარის —

XI

გამოძახილი
ახალგაზრდა
გულში გაღვივდეს,
რომ პოეზია
მის სასურველ
ქწვერვალს აღვიდეს.
მოზარდი — იგივე
მოცარტია!
მუდამ მოსავდა
თანაბრად ზვაგი
ქარიშხალთა
და მიმოზათა!

XII

რომ პოეზიაც
 იყვეს საგნად
 ახალ თაობის
 აღფრთოვანების,
 დაფიქრების -
 და მოძრაობის
 რომ სვას ანკარა
 პოეზიის
 მზე დაწურვილი
 აი, მიზანი!
 აი, ერთად —
 ერთი სურვილი!

XIII

დასაბამიდან
 მოლივლივებს
 ლირიკის შუქი,
 იგი არ არის
 უბრალო რამ,
 რამე მსუბუქი.
 ზენა-ნიქს გარდა —
 გემოვნებას
 მისას ეწნება
 თავისებური
 გამოსახვა
 და შემეცნება.

XIV

მისი ტექნიკა,
 მრავალფერი
 ხალის მქსოვარი,

მიღწეულ იქნას
ურყეველი,
მეუპოვარი,
გულდადებული
მუშაობით
შემდეგ სიტყვაზე.
ლირკა ასე
იქედება,
და მხოლოდ ასე!

XV

მართალი არის,
როს პოეტი
ამბობს თაობის:
„ვრამი შოვნისა
ნაყოფია
წელთ მუშაობის,
მიღებულ იქნას
და ერთ სიტყვად
უნდა გადადნეს
ათასეული
ტონა მთელი
სიტყვიერ მადნის“.

XVI

ზეშთაგონება —
აწევია
შემოქმედ ძალის,
შედევნი ხანგრძლივ
აღტყინების,
შრომის სიალის.
მონგრევა გულში
ნაგუბარის,

გახსნა, კრიზისი,
დიდი ხნით გულში
შენახულის
რამე მიზეზი.

XVII

ოდებები და
სახეები,
თითქმის მზადქმნილი,
ერთბაშად მხატვრულ
სიძლიერით
გადმოხეთქილი.
ფიქრი, ოცნება,
გრძნობა, სმენა
და გავონება —
აი, ლირიკა!
აი, მგოსნის
ზეშთაგონება!

XVIII

ზეშთაგონებას
მოიშველებს —
მათი სიმიცა —
პოეზიაა,
ისტორია,
ანუ ქიმია.
ზეშთაგონება
ასულდგმულებს
და აძლევს იმედს
თანაბრად — როგორც
რუსთაველსა,
ისე არქიმედს.

XIX



მეცნიერება
 როდესაც მას
 თან ახლავს ვნება —
 თანაბრად არის
 პოეზიის
 ზეშთავონება!
 სრულუნაკლობას
 და სრულყოფას
 მოითხოვს მგოსნის.
 შეგნება შრომის
 უმაღლესის
 და პატიოსნის.

XX

პოეტს, რომელსაც
 სურს იპოვოს
 გამოძახილი,
 უნდა შეეძლოს
 სიტყვას მისცეს
 გრძნობის მახვილი...
 უნდა იცოდეს
 აზრისა და
 ხმის შეხამება,
 ერთგვარ წესრიგში
 მოიყვანოს
 დღე, შეღამება.

XXI

რათა სიტყვათა
 მათ ცოცხალთა
 თანაბგერება.

თან სდევდეს და შიგ
გაისმოდეს
ის ძლიერება,
რაიც აცოცხლებს
და აღელვებს
მკითხველს და მსმენელს:
ის მიუთითებს,
მოქმედების
არეს უჩვენებს,

XXII

ის წამყვანია,
მებრძოლია,
ანდა პირიქით —
ის ანუგეშებს,
და ამშვიდებს
იმავ ლირიკით.
აზრთ შინაგანი
მოძრაობა,
ბუნება გძნობად —
უნდა გაიხსნას
გარეგანად
იმ მოძრაობად,

XXIII

რასაც იძლევა
სიტყვათ რიტმი
და ჰარმონია;
ხელმარჯვეობა
უმრავლესთა
ყვავილთ მკონია.
მრავალნაირი
მოძრაობით

შექმნილი ძეგლი
მრავალფერობა
ხმათა — როგორც
ქობის ჰეგელი,



X X I V

ისე შექსპირი
და ვირჯილი
ისე ვოლფგანგი,
და უფრო გზნებით —
რუსთაველის
უკვდავი ჩანგი.
მძლე ჰარმონიის
კანონების
დაცვის გარეშე
ჩნდეს პოეზია
სიბნელეში და
სიმცდარეში.

X X V

დამარცხებულა —
ვისაც ენის
გზა შეუცვლია!
მაგრამ გონებას
არასოდეს
არ შეუძლია
დაკმაყოფილდეს
ჰარმონიის
მხოლოდ თამაშით, —
კვლავ პოეზია
იღგეს ბნელში,
ცივ აკლდამაში.

X X V I

მთავარი ძარღვი
 პოეზიის
 ზომაა, რითმა.
 მისით მარადის
 გაიღვოს
 შუქმა ბედითმა.
 მაინც იმაზე
 უმთავრესი
 სხვა დედა-არსი
 არის მშვენიერ
 პოეზიის
 იდეა, აზრი.

X X V I I

მათში იხსნება
 მგოსნის ძალა
 და მოქმედება
 ისეთი, ყველას
 სიხარულად
 რომ მოედება
 და მოფარავს გზებს
 ვარდით, დაფნით
 და ალოეთი.
 იდეა, აზრი,
 ზომა, რითმა, —
 აი, პოეტი!

X X V I I I

ის იდეურით
 უნდა იყოს

მადლით ფენილი,
მისით სულდგმული,
შთაგონებით
აღმოჩენილი,
ტემპერამენტის
სიდიადით
არეს ავსებდეს,
აღგვაძალღებდეს,
გვიტაცებდეს,
მოგვათავსებდეს.

XXIX

სხვა გზით იქნება
ეს ისეთი
„შედევრი წმინდა“ —
რომელიც პოეტს
ირონიულ
ლიძილსა ჰგვრიდა:
„ლექსებში ხშირად
ყველაფერი
თავის რიგზეა,
სახე და ფორმა,
რიტმიც თითქო
საკმარისია,

XXX

მხოლოდ ერთი რამ
არის ცუდი:
ყოველი წესით
თითქო ლექსია,
მაგრამ მაინც
არ არის ლექსი“!
მრავალთან ერთად

პოეზიას
თვალიც იხილავს,
როგორც ცხოვრების
სახეობას,
როგორც მის დილას.

X X X I

გამოსახებას —
ამ შეცნობის
ვრცელი გაგებით,
რაიც შეიცავს
მთელს მსოფლიოს
მასზე ნაგებით
მთელ სხეულებრივ
და ზნეობრივ
სამყარო-არეს,
მის მწვერვალისკენ
მისწრაფებას
ჩანგით მოარეს.

X X X I I

და საზოგადო
ცხოვრება ქმნის
ჩანგის გარემოს,
ჩანგის ხასიათს,
საარეოს,
სამდგომარეოს.
საზოგადოთა
ფორმაციას
თვითოს თავისი
იდეოლოგიის
უმძაფრესი
და უმწვავესი

მიჰყვება რწმენა,
 გზის ჩვენება,
 მსოფლმხედველობა,
 რევოლუციის
 თაზისები
 და წინმსვლელობა,
 უარყოფელი
 დრომოჭმულთა
 შემეცნებათა,
 ყოველნაირთა
 შემეცნებათ,
 რაც ძველს ებადა,

XXXIV

კაცობრიობის
 განუსაზღვრელ
 წინსვლის სახელით,
 სრულყოფილობის
 მიზნისაკენ
 თვალის გახელით.
 სიყვარული და
 კლასთა ბრძოლა,
 იდეა, შრომა,
 ურომელთოდაც
 დღეს მსოფლიოს
 არა აქვს ცხრომა,

XXXV

რომელთ გარეშე
 არ არსებობს
 კაცობრიობა,

ვიდრემდის მათში
ისახება
აზრი და გრძნობა,
მეცნიერება,
უმაღლესი
ფილოსოფია --
დაძაბულობის,
გამძაფრების
წინათმგრძნობია

X X X V I

მხოლოდ ლირიკით,
მისი დელევით
და აზვირთებით
ტრიუმფალური
და უბრალო
ყვავილთ ტვირთებით.
ეხლა განვიცდით
ქარიშხლიან
შფოთიან ხანას,
მოუსვენარს და
მოგანგაშეს
ვხედავთ ქვეყანას,

X X X V I I

კაცთა უკეთეს
ნაწილის წინ
სდგას ამოცანა
უუდიდესი
ამოცანა:
შესძრას ქვეყანა,
რევოლიუციის
შეაერთოს

ყველა ძალები,
წარმართოს იგი
სასიცოცხლო
აგრიალებით.

XXXVIII

რათა მან შესძლოს
კაპიტალის
დასამარება,
მისი სახელით
კაცთა სისხლის
აკამარება
და ჩვენ, პოეტებს,
ხალხთან ერთად
ვით არ გვახსოვდეს,
რომ ჩვენს სამშობლოს
ვემსახუროთ,
ვით არასოდეს!

XXXIX

სიმებო, ჩანგებს
უკვდავების
ძალად ექნებით —
მოვალეობის,
სიყვარულის
მტკიცე შეგნებით.
მაშ, ვემსახუროთ
კვლავ სამშობლოს,
მის დაძახებას,
მის ბორკილამყრელ
მისწრაფებას,
მხნე მისწრაფებას!

XL

პოეტის ჩანგი
 არასოდეს
 არ მღუმარებდა
 ადამიანურ
 გაღვიძების
 პირველ კარებთან,
 ისევ აღრინდელ
 საფეხურთან,
 როდესაც ბასრი
 ადამიანის
 აღმოცენდა
 გრძნობა და აზრი,

XLI

აღმოცენების
 წამიდანვე
 გაჩნდა ლირიკა,
 ხალხმა ის იგრძნო,
 შეიყვარა
 და შეირიგა.
 მას აქეთია,
 რა კი გულის
 კარი გაიღო,
 ყოველ ხანაში
 და ყოველ დროს
 ლირიკა იყო

XLII

ხალხის სულიერ,
 პოლიტიკურ
 შრომითი ალის,

ცხოვრების აღის
უდიდესი
სიმხნე და ძალა.
ორთეოსს ხალხი
მიაწერდა
მაგიურ ძალას,
ის სიმღერებით
სძრავდა კლდეებს.
ტყესა და ჭალას,

XLIII

აჯადოებდა
თვით უგულოთ,
ღმერთებს ძლიერებს,
ლირიკა მისი
მხეცებსაც კი
ათვინიერებს.
თვით ლირიული
პოეზიის
მამამთავარი —
იყო არხილოს,
ძისი ფუძე,
მისი ჯავარი.

XLIV

მას იამბებით
ემხრობოდა
ჩანგის აწყობა,
ვერ აიტანა —
რა ღირსების
შეურაცხყოფა...
ვიგონებთ — როგორც
გარდასული

დროით და ქამით —
დაფარულ ძალას
ატარებდა
ლირიკის შხამი!

XLV

ლირიკის წინსვლას
სივრცეებში
რა შეანელებს.
მცირერიცხოვანს,
უმწეობად
მყოფ სპარტანელებს
მრავალრიცხოვან
მესსინელთა
მოერთყა ალყა.
სპარტანელებმა
მაინც სძლიეს
მძვინვარე ტალღა.

XLVI

ტირტეს მგზნებარე
სიმღერების
სძლიეს წყალობით,
პოეტი ჰკრებდა
თავის ჩანგის
დაუმცხრალობით
ხალხის საომარ
ენერგიას
და ნებისყოფას,
გამამხნეველად
უმღეროდა
მეომართ წყობას!

XLVII

მეგერიანთა
 მიერ ბრძოლის
 დროს წართმეული,
არათანასწორ
 ომის შემდეგ
 ცეცხლში ხვეული,
ათინელებმა
 დაიბრუნეს
 კვლავ სალამინი,
ოდეს სოლონის
 სიმღერების
 გაისმა ჟინი,

XLVIII

მისმა სამხედრო
 სიმღერებმა
 დაიგუგუნა,
და მსწრაფლ ათინამ
 სალამინი
 კვლავ დაიბრუნა.
ჟამთა სიავემ
 ფერფლად ქნარი
 რომ ვერ აქცია,
გამოსცდა წარსულს
 და ჩვენამდეც
 კი მოაღწია

XLIX

ელეგიებმა,
 რომელშიაც
 სოლონი ხვევდა

ფილოსოფიურ,
სოციალურ
შეხედვით სევდას.
თავის კანონებს,
ძეგლისდებას,
წერილს, ბრძანებას —
ლექსს უკავშირებს
პოეზიის
ახმოვანებას.

L

სამშობლოსადმი
სიყვარულსა
და მის დიდებას
მღეროდა მძაფრი
პოეზია
სიმონიდისა
და მერე როგორ!
მიუწდომლად
ნათელ — მკაფიოს,
მის მიერ შექმნილს,
მრავალთ-მრავალ
ეპიტაფიას.

LI

საშვილიშვილოდ
გადასცემდნენ
გმირთ საფლავები,
თუმც სამუდამოდ
დამცხრალია
ის მხარ-მკლავები,
უკვდავყოფელი
სჩანს წარწერა

გრძნობის თბილისა,
იმ ადგილს, სადაც
ხეობაა
თერმოპილისა:

LII

„ლაკედემონელთ
ამცნე მგზავრო,
და გადაეციტ:
ყველა ერთგულნი
სამშობლოს
ჩვენ აქ დავეციტ“.
რაოდენ ბრწყინვით
მიდიოდა
ქველი ელადა,
ლირიკა მისი
ეროვნული
იყო და სადა.

LIII

რა ძლიერია
უბრალობით
ქნარი იმდარი,
რა საოცარი
ხმით მღეროდა
მაშინ პინდარი.
ბრწყინვალესი და
მშვენიერის
მქონე იერის
მღერდა ელადის
სიდიადეს
და სიძლიერეს.

მისი ოდები
 და ჰიმნები
 რა აღტაცებით
 შეჯიბრებებზე
 გამარჯვებულთ
 პატივსაცემად
 ოლიმპიისა
 და პითიის
 ხატავდა სახეს,
 იმ ხალხის რწმენას,
 იმ სიმაღლეს
 და სიამაყეს.

LV

გენიის კართან,
 მოწოდების
 მგრგვინავ ზარებთან
 პოეტის ჩანგი
 არასოდეს
 არ მღუმარებდა;
 სტროფიკა უხვი
 და სახეთა
 სიმშვენიერე
 მსახველი ძალა,
 მჭერმეტყველი
 და მოსიმღერე,

LVI

უპირველესი
 პირველთ შორის
 არის პინდარი —

ელინურ ჩანგის
 სიმახვილე
 და საწინდარი!
 თავისუფლების
 მისწრაფებას
 რომ გაჰყოლია,
 სახელგანთქმული
 მრავალია
 ძველი სხოლია,

LVII

ლექსი, თავისი
 სიმახვილით
 ხანჯალის მსგავსი,
 სამშობლოსადმი
 თავდადების
 გრძნობებით სავსე.
 „მინდა მახვილი
 მოერთო ტვიით
 მათ მსგავსად, ოდეს
 არისტოგიტონ
 გამბედავი
 და მხნე ჰარმოდეს

LVIII

მიერ ტირანის
 მოკვლით ხალხის
 მონობა კვდება,
 კვლავ დაუბრუნეთ
 ათინელებს
 თავისუფლება.
 არა, ჰარმოდი,
 შენ არა ხარ

არასდროს მკვდარი,
იმ უნეტარეს
კუნძულებზე
გიპოვისთ ქნარი,

LIX

სად უსწრაფესი
აქილესი
და დიომედი,
ძე ტიდეასი —
რომ ცხოვრობენ,
გიპოვისთ ბედი.
მახვილი ჩემი
მსურს ვატარო
ტვიით და ხავსით
არისტოგიტონ
და ჰარმოდის
დღეების მსგავსად,

LX

ოდეს თქვენ მიერ —
პალლადის დღეს —
მოკლული იქნა
იპარხი, მხეცი
და ტირანი.
მხარე გარდიქმნა,
სახელი თქვენი
საუკუნეთ
ხსოვნისთვის ზიდონ,
ძვირფასო წყვილო,
ჰარმოდი და
არისტოგიტონ!

LXI

მისთვის — ტირანის
 მოკვლის შემდეგ
 ათინა სდგება,
 ისევ შეჰქმენით
 ათინისთვის
 თავისუფლება.
 თავისუფლების,
 ხალხისათვის
 მებრძოლ კარებთან
 პოეტის ჩანგი
 არასოდეს
 არ მდუმარებდა!

LXII

რად უწოდებენ
 საქართველოს
 მგოსანთა მხარეს?
 — მის მთებს და ჭალებს,
 ულრან ტყეებს,
 ლამაზ ხეობებს,
 მის ძველ ნანგრევებს,
 ციხე-კოშკებს,
 შემოგარეებს,
 მის ჯირითობას,
 ბურთაობას,
 ხალხურ დღეობებს

LXIII

უძველეს ხნიდან
 პოეზია
 სდევდა ზეპირი



(ადრე — სანამღის
 შეუყვარდა
 ხალხს პერგამენტი),
 მძლავრი — ვით ქარი,
 ნაზი — როგორც
 მთების ზეფირი,
 ომის დრო იყო,
 თუ უღრუბლო
 იყო ამინდი.

LXIV

უძველეს ხნიდან
 დაწყებული
 რუსთაველამდე,
 რუსთაველიდან
 ჩვენამდე — რეკს
 ივერთა ჩანგი.
 მასთან უძლური
 იყო ცეცხლი,
 ასული ცამდე,
 ათასი ჩინგის,
 მაჰმადხანი
 და თემურლანგი.

LXV

ეხლა კი ჩემთვის
 ნათელია
 თუ ივერიის
 მცირეზე მცირე
 რიცხოვობრივად,
 პატარა ერი,
 მარად, ყოველმხრივ
 შემორტყმული,

უამრავ მტერთ
მაინც გადარჩა,
და გადარჩა,
ის, როგორც ერი.



LXVI

აქ პოეზია იყო მისი
შემჭიდროება,
ანკარა წყარო, მომჩქეფარე
იმ ხალხის გულით,
მის სასიცოცხლო ძალათა-ძალა
და საზრდოება.
აი, ლირიკა,
მთელი მისი დიდი წარსულით,
აი, რად უყვართ საქართველო
მსოფლიო ქნარებს,
რად უწოდებენ საქართველოს
მგოსანთა მხარეს!

LXVII

სამხრეთის მზის ქვეშ,
მთის ჰაერში
ჰყვავიან ვარდნი —
ფერად-ფერადნი,
მშვენიერნი,
სურნელით წმინდა,
არ ეშინიათ
არც გრიგალის
და არც თოვლვარდნის,
მთაში ძალა და
სიხარული
მოსჭვივის მზიდან.

უძველეს მიწას,
 უძველეს ერს
 ლაქვარდი ცის ქვეშ —
 მძლავრი, გმირული
 პოეზია
 უნათებს თვალებს,
 წარსულისადმი
 უდიდესი
 მადლობის გრძნობით
 რუსთაველისას
 კვლავ ვახსენებთ
 სახელს ბრწყინვალეს.

LXIX

პოემა ვეფხის —
 პოემაა
 გრძნობის მზიურის,
 სიყვარულისა,
 თავდადების,
 გმირობის, სიბრძნის!
 მას იმეორებს
 მკაცრი სვანი,
 გმირი ხევსური —
 მთლად საქართველო,
 როდესაც ის
 შრომობს ან იბრძვის.

LXX

თუმც ბევრი სისხლი,
 ჩვენო მიწავ,
 მიმოიღვარა,

მაინც, როგორც შენ,
ვერამცდენმა
სიმწრის ფიალის,
ამაყი ქედი
პოეზიამ
არ მოიხარა
შემოსეულთა,
დამპყრობელთა
წინაშე ძალის.

LXXI

ღრმა მწუხარება
მშობელ მხარის
და მისი შვილის
იყო გულწრფელი
მელოდია
გურამიშვილის.
ვით ახალგაზრდა
ქავჭავაძის
რომანტიულ სულს
სამშობლო მხარის
დამპყრობელის
სივერაგე სძულს

LXXII

რომ თვით ჯალათებს
გადაქცეულს
სმენად და ჰვრეტად,
მცოდნეთ: რა ძალა,
რა სიმტკიცე
ჰლვივის გზნებისთვის,
შიშის ზარს სცემდა
პოეზია

უფრო რე მეტად,
ვინემ ფერმკრთალი
შეთქმულეზა
აჯანყებისტვის.

LXXIII

როგორ მიჰქროდა
ის მერანი
ფაფარგაშლილი,
საესე პათოსით
და გრძნეული
ვით კორმორანი,
იკაწრებოდა
ხალხის ბედით
ბარათაშვილი,
იმ ხალხის, რომელს
თვალბედითი
სდევდა ყორანი.

LXXIV

ცხარე ბრძოლის ხმა
ეპოქასთან
გადაზრდილია,
ხმა სიყვარულის,
ხმა მონობის
წინააღმდეგი,
ცეცხლი — აკაკი,
გმირი — ვაჟა,
ბრძენი — ილია,
რამდენი გმირი
და რამდენი
კიდევე ყაზბეგი!

LXXV

მათი ხმით ზარი
გალვიძების
კვლავ დაირეკა,
ხალხის ზრახვებს და
წინათგრძნობებს
მათ მისცეს მხარი.
აი, რა მიზნებს
ისახავდა
ჩვენი ლირიკა,
რად ეწოდება
საქართველოს
ძგოსანთა მხარე!

LXXVI

როგორ ბრწყინავდა,
საქართველოვ,
ის შენი ლექსი.
შენი ლირიკა
უმდიდრესი,
უსაყვარლესი,
მრავალ სხვადასხვა
სიმღერების
წყობად წყობილი,
კეთილშობილი,
ხალხის გულით
წარმოშობილი,

LXXVII

ისტორიული
სინამდვილის
ხმით დატვირთული,

გარემოცვათა
უმრავლესთა
განცდათ სირთულით
ლირიკა იყო
ჰემმარიტად
ღრმა, ეროვნული;
ლირიკა იყო
ხალხის სული
და ხალხის გული,

LXXVIII

ის არ მოემწყვდა
პიროვნულ და
ინტიმურ სფეროს,
ის ასახავდა
უურთულეს,
ულრმესს, საეროს.
ადამიანის
საეროსთან
დამოკიდებას
საგმირო საქმეთ,
სამშობლოს
მისის დიდებას.

LXXIX

მოუწოდებდა
ბრძოლისაკენ,
სძრავდა მშვიდობას,
ნიღაბს აცლიდა,
დასცინოდა
პირობითობას,
ებრძოდა, სთხრიდა
კაცთა ყოფნის
ღრმომოჭმულ ფესვებს,

უუმძაფრესი
გულის ყურით
ისმენდა ლექსებს,



LXXX

ვით მოწინავე,
ისე მისი
წინააღმდეგი,
ჩანგის, ჩონგურის
და კალამის
იყო დამდეგი
პრასოდიები,
ელეგია,
ოდა და ჰიმნი
იმღერებოდა,
ითქმებოდა,
ღელავდენ სიმნი.

LXXXI

გაღვიძებულნი
სხვა საგანთან
შეჯახების დროს,
არ მღუმარებდა
პოეტების
ჩანგი არასდროს.
იყო ხან ნაზი,
ხანაც მძაფრი
ხანაც მქუხარე, —
აი, რად ჰქვია
საქართველოს
მგოსანთა მხარე!

LXXXII

ლირიკა ჩვენგან
 დაშორებულ
 ივერთა დროის
 ისევ გვაოცებს,
 გვართობს, როგორც
 სუნთქვა ალოეს.
 იმ ხანებიდან
 უშორეს და
 დიდი ხნის შემდეგ
 რად არ დაჰკარგა
 მან თავისი
 სიახლე დღემდე?

LXXXIII

რისთვის გვადელვებს
 მისი ძალა
 ცხოველმყოფელი,
 რისთვის გვანიჭებს
 მხატვრულ შვებას
 განუქრობელი?
 რისთვის, სახელდობრ,
 ჩვენს მხარეში
 აელერდა ქნარი
 მომჯაღოები,
 მშვენიერი,
 დაუვიწყარი?

LXXXIV

ვისგან მიიღო
 ამნაირი
 ქმედითი ძალი,

რომ თვით შეიქმნა
 მოძრაობათ
 ძლიერი ალი?
 იგი ლირიკა
 არის ძალა
 და ვერვის უთქვამს,
 მარადისობით
 და სიცოცხლით
 რომ ის არ სუნთქავს.

L X X X V

გადაქცეული
 გულის შთამატევ
 მეომარ მკერდად,
 საქართველოს
 ვითარებას
 და სვლასთან ერთად.
 ლირიკას ჩვენსას
 უყვარდა და
 უყვარს ბუნება,
 იგი ხალხის გულს
 სიხარულით
 ესალბუნება.

L X X X V I

ლირიკა იჭერს ქარის ქუხილს
 და მერნის ჭიხვინს,
 ლირიკას ხიბლავს
 სილუეტი მთაზე მდგარ ჭიხვის:
 წვიმამ გადილო,
 მთლად გაბრწყინდა ხე და ხეხილი,
 მუხლი მგზავრისა
 სკრის კიბეებს მთისას, კეცებრივს.

ტყე, ბილიკები და ლატფარის
ულელტეხილი,
მხოლოდ ხევის ხმა,
ანუ ყეფა მწეეარ მეძებრის.

L X X X V I I

უეცრად კლდეზე
შვენებასა
ხედავ ზეცებრივს,
სდგას, — როგორც ჳილა
კავკასიის
მთების მჳეხარის, —
იგი ჳიხვია,
სიმბოლო აზრთ
გაასკეცების,
თავისუფლებას,
სიამაყეს
იგი შეჳხარის.

L X X X V I I I

გვიყვარს ბუნება,
ცისარტყელა
მოსჩანს ტეხილი,
ნაზი საგანი
არე-მარეთ
თვალმიცეცების.
ჳიხვს ცისარტყელა
მწყობრ რჳებზე აჳეს
გადაგრეხილი,
დიდი იმედი
მას შვიდფერად
ზედ ეკეცების,

ჰაეროვანი
 სიღიაღე
 ფერად ლერწების!
 სიმაღლე სალკლდის,
 თმათეთრის და
 ქიმნამეხარის.
 თავისუფლებას,
 სიამაყეს
 ჯიხვი შეჰხარის.
 გვიყვარს ბუნება,
 მთა გუგუნებს
 გულგაღედილი,
 მარადი მტერის
 დაცემის და
 დანამცეცების.
 მაღალი კოშკი
 და ისევ ტყე
 გაუჩიხელი,
 თავშესაფარი
 და ბუნაგი
 დაღლილ მხეცების.

XC

ჯიხვი სჯის: არა,
 ბუნების გზა
 არ ილეწება,
 ვერც წარსულისთვის
 სჭრიდეს ძალა
 ვერვის, ველარის.
 საღამოვდება,
 მთებს ირიბი

ჩრდილი ეცემა.
თავისუფლებას,
სიამაყეს
ჯიხვი შეხარის.

XCI

ჩამოჰკარ ჩანგებს,
ჰუნირისა
ხმა უყვართ ლექსებს,
იმდერე ჯიხვზე
სიმდერები
გულუტეხარი,
ჯიხვი ღირსია
დათმობის და
მიაღერსების:
თავისუფლებას,
სიამაყეს
იგი შეჰხარის!

XCII

ეხლა ეპოსი
თუ რომანი,
დრამა მრავალი,
ლირიკა, როგორც
ნაწილი რამ
შიგ შემავალი,
თავის სიმძაფრით,
თავის ვნებით
სიტყვის ამ დარგებს
ამოუწურავ
ენერგიით
უფრო აკარგებს,

XCIII

აღრმავებს განცდებს,
 აცხოველებს
 გრძნობებს და მოსავეს
 აფრთოვანებულს,
 მუდამ ასე
 საჭირო პროზას.
 რაც უფრო მაღლა
 მიღის აზრი
 ესევეთარი,
 ლირიკა ხდება
 უფრო მძლავრი,
 უფრო მდიდარი.

XCIV

// ის შინაარსით
 ისევე, რაც
 ფილოსოფია.
 ხმათა შერჩევით
 კი მუსიკის
 პანგთან მყოფია.
 როგორ სარკეობს
 იმისი ხმა
 და როგორ ბროლობს —
 ბევრი რამ გვითხრას,
 შეუძლია
 ფაუსტის პროლოგს: //

XCV

აღტაცებული
 მომღერალი

გულთ რით აჩვილებს,
მარქვით, სტიქიონთ
იმ მომღერალს
ვინ უმორჩილებს,
თუ არ აკორდი,
შემოქმედის
უმძლავრეს მწველი,
გულით ნახეთქი,
მსოფლიოს
მთელის შემცველი.

XCVI

სული პოეტის
სარკე არის
სივრცის, დროისა,
სული პოეტის
არის ცენტრი
მსოფლიოისა,
სული პოეტის
არის მისი
ყოფნის დღეები,
არის ფოკუსი,
ერთდებიან
სად იღეები,

XCVII

ყოფნის ერთობის
შემცველი და
შემთვისებელი;
რაც უფრო ღრმაა
შემეცნება —
წარმოდგენაში
ყოველი ერის
ღრმად ჩანერგილ

რამე რწმენაში.
რაოდენ გრძნობით
სამყარო წინ
არ შეჩერდება,
მხოლოდ და მხოლოდ
ლირიკაში
სახიერდება.

XCVIII

სული პოეტის —
ჰეგელის თქმით —
წარმოადგენდეს
უნდა გარემოს,
იგი სული
უნდა ადგენდეს
ვნებათ, იდეათ,
შეჯახებათ
მთელ სიაკვარგეს,
ყველაფერისას
ხელთ გვაძლევდეს
ერთ მთლიან სარკეს,

XCIX

რაიც კი ძალუძს
დაიტოს
ადამიანთ გულს, —
სხვანაირი გზით
პოეზიას
წინსვლა არ ძალუძს.
ხსნის რა ლირიკის
არსს, ბუნებას,
ჰეგელი ამბობს:
შთაბეჭდილებათ

და იღვათ,
რომლითაც ლამობს

C

შექმნას პოეტმა,
უნდა ჰქონდეს
მას ნიშნადობა:
საერთო, რათა
ჰეშმარიტი
იყოს ის გრძნობა,
რომლისათვისაც
პოეზიის
ცოცხალი ქნარიც
ჰქმნის სახეობას
და აგრეთვე
ისევ ჰეშმარიტს.

C1

ასე: ლირიკა
გვევლინება
ღრმა აზროვნების
ერთ მხარედ,
რომლის მიზანია
კაცთა ხსოვნება,
ჰეშმარიტებათ
ძიება და
გამოვლინება,
გამოცხადება,
ამ ცხოვრების
მხარეს დინება,

CII



რათა მთესველი —
 უღაბურსაც
 ნედლით შეთესდეს —
 გაუმჯობესდეს
 ეს ცხოვრება,
 გაუკეთესდეს!
 „თუ რომ ცხოვრება
 ჩამოგვევითოთ
 ვით ქანდაკება
 და ცხოვრებითვე
 რომ აგავსოთ
 აზრი, გაგება —

CIII

ძალას, რომელსაც
 ჩვენ ცხოვრება
 გვაძლევს — მკედელი,
 მიეცი ნება,
 იყოს მქნელი,
 ჩამომკვეთელი.“
 რა კი არსებობს
 ხალხის ვნება
 ყოველდღიური,
 რა კი მოითხოვს,
 იყოს მძლავრი,
 ტიტანიური

CIV

მისი ტრიბუნი,
 მოციქული,
 მისი მესია —

შოვალე არის
 რომ ცხოვრება
 და პოეზია
 ერთმანეთისგან
 არ გათიშოს,
 არ დააშოროს,
 არამედ უფრო
 განამტკიცოს
 და დააშუროს,

CV

თორემ რა მიზნით,
 რა იმედით,
 ვისთვის და რისთვის
 ზმა გაისმოდა:
 „პოეზიაა —
 პოეზიისთვის?“
 რად მდინარებდა
 პოეზია
 რალაც თვითმიზნად,
 დაშორებულად
 ხალხისაგან,
 უცხო, გულთმისნად?

CVI

რად ესწრაფოდნენ
 ცხოვრებისგან
 განცალკევებას,
 ჩამოშორებას,
 განზე დგომას
 და განტევენას?
 რად ივიწყებენ,
 რომ პოეტი



ხალხის წინ მდევი,
 თვით პოეზიაც --
 ამ ცხოვრების
 არის შედეგი.

CVII

მაინც რა მიზნით,
 რა იმედით,
 ვისთვის და რისთვის
 გაიძახოდნენ:
 „ხელოვნება —
 ხელოვნებისთვის!“
 რისთვის ფანტავდენ
 ამ ლოზუნგით
 სიტყვათ შედეგებს,
 რისთვის ეძებდენ
 საამისოდ
 ერთგულ მიმდევრებს?

CVIII

სხვა სიამეთა
 მაძლარ წყურვილს,
 ვნებათა წყურვილს,
 და პოეზიას —
 საუცხოვოდ
 ჩაცმა-დახურვის
 შნოიან, მორთულ
 და დახვეწილ
 განცდების მორევს,
 გრძნობიერებათ
 სიმახვილეს,
 ბურუსთ სიშორეს?

CIX



თორემ რა მიზნით,
 რა იმედით,
 ვისთვის და რისთვის,
 აქანდაკებდა
 მოყმე ვინმე
 სიტყვას-სიტყვისთვის?
 განირჩეოდა
 ჩამოკვეთით
 ვით სარკე თქმულთა
 ზოგიერთის ხმა
 თავის წმინდა
 შვენების კულტით.

CX

ღრმა კონცეპციით –
 მხედველობის
 დიდი სინათლით,
 რა მოხდა შემდგომ?
 ან რომელი
 პარნასის მადლით
 მიმართეს ეფექტს,
 უცნობლობას,
 უვალობის ხეცს, —
 გრძნობიერებათ
 სახეებში
 პოეზია ხვევს,

CXI

და მათში ხედავს
 უმაღლესი
 იდუმალების

გამოვლინებას:
დიდი ტანჯვის,
დიდი წვალების,
შარადისობის
სიმბოლოებს,
ნიშნებს გვიანებს,
ნიშანი, რაიც
ყველა იმათ
აერთიანებს,

CXII

რომლის ქვეშ ყველას
იდუმალი
გზა ეგულება:
წმინდა, უმწიკლო
ფორმისადმი,
ბრმა ერთგულება!
არ შეიძლება
სილამაზე
პლასტიურ ლექსის
ვინმე უარყოს:
სილამაზე —
თან უკეთესის

CXIII

დასდევს მშვენიერ
გარეგნობის
ნორჩი რტოები,
რაღაც ახალით
და ძვირფასით
მომჯადოები.
არ შეიძლება!
უარყავი

და არ იახლე
მუსიკალური
აკორდების
მძლავრი სიახლე!

CXIV

მხოლოდ იმნაირ
ემოციით
პოეტის ქნარი,
იმ აკორდებით
შეიქმნება
ნაზი და მყარი.
არ შეიძლება,
რომ უარყო:
სწორედ ამ ბგერამ
მიმომღერების,
მრისხანების,
სინაზის ეღერამ

CXV

არც ისე დიდი
ხანი არის,
რაც ოსტატურად
მსოფლიოისა
პოეზიას
მიემსახურა
„ვეფხისტყაოსნის“
სტრიქონების
კარგ თარგმანებით.
რაც უნდა საქმე
არა პქონდეს
უცხო ზმანებით

CXVI

საესე ლირიკას,
 სხვა იდეურ
 უნაყოფობას,
 ქსელში, რომელიც
 აქ გაუბამს
 ცბიერ ობობას,
 კართან, რომელიც
 ასე გულქვად
 მათთვის ჩაჰკეტეს,
 არეინ უარყოფს:
 ძლიერ ბევრი
 რამ გააქეთეს;

CXVII

მარტო პოეტურ
 ეფექტისთვის
 ძსვლელი როდია
 ზომიერება,
 მკაფიო ხმა
 და მელოდია.
 სხვა გარემოთ
 მიიმართვის
 ჩვენი მსვლელობა.
 მრავალ ლოზუნგებს
 აღარა აქვთ
 ის მნიშვნელობა,

CXVIII

რას ესთეტიურ
 მანიფესტთა
 ითხოვდა ლალა —

არ შეიძლება
ჩვენთვის ჰქონდეს
რაიმე ძალა,
მაგრამ იშვიათ
ყურადღებით
ყოველდღეობა
ყველაფერს, რასაც
ეწოდება
მემკვიდრეობა,

CXIX

თვალწინ იყენებს და
თვის მიზნებს
უქვემდებარებს;
მიზნებს მშობლიურს,
წინდახედულს,
მიზნებს მგზნებარეს.
ჩვენ გამოვწორდით
იმ ბურუსებს,
იმ თვალახვევას,
და არ ვეძლევით
უსარგებლო
თავბრუდახვევას,

CXX

მხოლოდ ეს არის:
უსარგებლო
როდი იქნება,
თუ პოეზიით
განიცდება
და შეიგნება,
თუ მიეჩვევა
სმენა კეთილ -

ახმოვანებას,
ამით ლექსს ვერც დრო
დააბერებს,
ვერც ხნოვანება.



CXXI

უნდა იშრომოს
ახალგაზრდამ,
უნდა იღონოს,
იმ ხმოვანების
ძლიერება
რომ შეიგონოს.
მაშინ გაღმომლის,
ღირიკისთვის
რაც ეგულება,
ჩვენი ეპოქა,
მისი დიდი
ღირებულება.

CXXII

ამხანაგებო!
მე ვსაუბრობ
როგორც პოეტი,
აკადემიურ
აზრთა მარად
დამჭერი მხარის,
მაგრამ მე მინდა
მოგაგონოთ
ის უცხოეთი,
სადაც მოკვდავზე
იძახიან:
„უკვდავი არის“.

ჩვენს იქ ყოფნაში
 საფრანგეთის
 აკადემიას
 უსრულდებოდა
 ანგარიშის
 წელი სამასი
 და დღესასწაულს,
 ფერად-ფერად
 ნაკადებიანს,
 მოგონებათა
 ედებოდა
 ფერი ლამაზი.

CX XIV

მაგრამ მე ფრანგი
 პოეტები
 არ მეცოდება,
 წმინდა ფრანგული
 მოწიწებით
 ეძლევა ოდეს
 აკადემიის წევრს —
 უკვდავის
 სახელწოდება,
 და მომაკვდავის
 უბრალოსი —
 ბალზაკს და დოდეს.

CX XV

არც მოპასანი,
 არც ფლობერი
 არც მოლიერი

უკვდავთა შორის
არ იქნება
დაფნით მავალი,
სამაგიეროდ
იქ პერცოგი
შედის ძლიერი
დე-რიშელიე,
კარდინალთა
შთამომავალი.

CXXVI

ის რიგიანად
თუ ვერ დასწერს
უბრალო წერილს,
არის სიმბოლო
საფრანგეთის
ძველი დიდების.
აქ ხმის მქონე სდუმს
გაოცებით,
უხმო კი მღერის,
თავდავიწყებით,
ხრინწიანად
გაბედითებით.

CXXVII

კათოლიკეებს,
ფეოდალებს,
სარღლებს, პრელატებს
იმ დარბაზებში
ვერვინ ეტყვის
„დაფნა ჩემია“
ძალმომრეობის
და დაცინვის

ფერადებს მატებს
ეხლაც, წინადაც,
ამნაირი
აკადემია.

CXXVIII

გზაზედ მუნდირი
შემხვდა მწვანე,
ქცეული ამბად,
(აკადემიკოსს
ამ მუნდირში
ვინ არ აღიდებს!)
მხოლოდ კონგრესზე
ვისწრაფოდი,
მოვშორდი სწრაფად
აკადემიას,
ლუვრის დარბაზს,
კარიატიდებს.

CXXIX

თუნდაც სხვა მხარე,
ხედავთ, პოეტს
როგორ სდევნიან,
შეხედეთ მხეცი,
რამდენს აღრჩობს
აწვალებს, ბორკავს,
თუმცა ამგვარად
შებოროკილი,
ხალხს ურჩევნია
ქაინც თავისი
ფრედერიკო,
გარსია ლორკა

ფუჭია ღრენა
 მის სახელთან
 ქვეყნის ბებერის,
 ის მღერდა ვით გმირს,
 როგორც ნამღვილ
 პოეტს შეჭფერის.
 მაგრამ სახელი
 მისი მკვლელის
 კაპიტალია.
 აი, პატარა,
 უსულგულო,
 ვიწრო გალია.

CXXXI

სადმე ევროპის
 შუაგულში,
 მყუდრო ბინაში,
 აღამიანი
 მარტო დარჩა
 თავის წინაშე.
 მრავალ კითხვებში
 ის მარტოა,
 ის პოეტია,
 ის მსოფლიოში
 არ იქნა და
 ვერ დაეტიო.

CXXXII

და აქ, შენს ფრთებს ქვეშ
 შემუდრულა
 მწარედ ნასეტყვი.

მის მარტოობას,
კაპიტალო,
ვნახოთ რას ეტყვი.
რამენაირად
დაიმკვიდროს
სურს, თავისთავი,
შენ ბურუსში ხვევ
და ხარ მისი
სულთამხუთავი.

CXXXIII

აწუხებს მწარე
ბედისწერა,
ღმერთი, ღრუბელი,
არა ბუნებრივ
გადალაქული
და დამღუპველი.
ჩანგის სიმები,
ჩამოქნილი
დროთ სათარეშოდ,
სუნთქავს, ბუტბუტებს,
და ხმაურობს
უანგარიშოდ.

CXXXIV

და მარტოობა,
მარტოობა
ფარავს მის სიტყვებს,
მსოფლიო თითქო
არ პასუხობს
პირად შეკითხვებს.
მარტოობაში
ცხოვრობს იგი

ოქროს სიზმრებით,
თავის მტანჯველი,
საშინელი
გამოღვიძებით.



CXXXV

მითხარით ეხლა,
პოეტია
კაცი ამგვარი?
არა და არა,
ის მკვდარია,
სიცოცხლით მკვდარი!
პოეტი არის —
ვისიც მარად
მასას ედება
მდიდარი, რთული,
ფრთამახვილი
შემოქმედება.

CXXXVI

ვინც ესპანეთი
სასიცოცხლო
ვარდებით მორგა...
დიდი პოეტი:
ფრედერიკო,
გარსია ლორკა:
ვინც უანგაროდ
ხალხს შესწირა
მგზნებარე ქნარი.
ის მოჰკლეს მაგრამ
ის არასდროს
არ არის მკვდარი:—

CXXXVII

მრავალი რამე
 შეიძლება
 ამ ქვეყნად გაჰქრეს
 დრო ვერ სძლევს
 მხოლოდ ამღერების
 ციხე-სიმაგრეს.
 იყო სვანეთში
 მშვენიერი
 სოფელი მხარის,
 სახელად ერქვა
 ლალავერი.
 ეხლა არ არის.

CXXXVIII

დილით რომ „ლილეს“,
 ჰანგ-ბობოქარს,
 მღეროდა ჩანგი,
 მზის რომ ათრობდა
 მოგონება
 ათას-ათასი,
 შორი ღრუბლების
 ჩერდებოდა
 ფერადი ჟანგი.
 მშვენიერ ქალთა,
 ხორუმელთა,
 როკავდა დასი.

CXXXIX

შუქი თეთნულდის
 ელვარესი,
 შუქი უშბასი,

რომ ეხვეოდა
 ღრუბელს, როგორც
 სახლს ტალავერი,
 სიზმარებრ გაჰქრა
 აღნაგობათ
 რიგი ძვირფასი,
 სიზმარებრ გაჰქრა
 მშვენიერი
 ის ლალავერი!

CXL

ხან სანადიროდ,
 ან ნადიმად
 წასული, ხან კი
 მაჩუბის ჭერქვეშ
 მომღერალი
 ვაჟი კისკასი,
 ზეცა მოთეთრო
 როგორც ქულა,
 ჭერი — ვით ზანგი,
 მკაცრი — ვით მთები
 მშობლიური,
 ნაზი, ვით საზი,

CXLI

ხელში რომ ღვინის
 მოელვარე
 ეჭირა თასი,
 უტკბესი უფრო,
 ვინემ შორი
 ბარის ჩხავერი,
 სიზმარებრ გაჰქრა
 მშვენიერი
 ის ლალავერი!

მოაწყდა როსმე
უეცარი
სისხლის ღვართქაფი,

CXLII

თუ შხამი რამე
უნდობარის —
გველის, — წარბასი,
იქნებ მოვარდა
ამომწყვეტი
სნება და მანკი,
ან ცეცხლმა შთანთქა,
ნაცრად იქცა
ეზო — დარბაზი,
დალეწა კოშკი
უმაღლესი,
ჩაღეკა ვაზი,

CXLIII

დასძრა ფიქალი
ფიქალებზე
როგორც ყავარი,
ვინ უწყის, როგორც
მძლავრი მუხა,
თუ უსურვაზი,
სიზმარებრ გაჰქრა
მშვენიერი
ის ლალავერი!
ვღგევარ და ვფიქრობ,
თუ რა მოხდა,
რად არის ასე,

აქ ხომ არც ქვაა,
 არც ნაფოტი,
 არც ბალავერი.
 არავინ იცის,
 თუ ვის მიერ,
 როდის ან რაზედ —
 სიზმარებზე გაჰქრა
 მშვენიერი
 ის ლალავერი.
 მაგრამ სიმღერა
 გაიგონა
 მეორე მთამა,
 როგორც შვილს ანდერძს
 დაუტოვებს
 მოხუცი მამა,

CXLV

ისე დასტოვა
 ლალავერმა
 სიმღერა „ლილე“,
 თვით სამუდამოდ
 შეერია
 წარსულის ჩრდილებს,
 მრავალი რამე
 შეიძლება
 ამქვეყნად გაჰქრეს,
 ვერვინ გააქრობს
 ამღერების
 ციხე-სიმაგრეს!

არ არის ქნარის
 დუმილისთვის
 რამე მიზეზი
 მხარეში, სადაც
 მშენებლობა
 გვაქვს უდიდესი.
 რა დიაღია,
 რა მაღალი
 ეს მშენებლობა.
 რა მრავალია
 კიდევ მეტი
 შესაძლებლობა!

CXLVII

რომ აწამებდა
 მოწინავეთ
 მრავალ ხანაში,
 ზორციელდება
 იდეალი
 ერთ ქვეყანაში.
 ჩვენ, პოეტები,
 საუკუნით
 ვართ მოვალენი,
 რომ მის ნათებას
 მოწიწებით
 მივაპყრათ თვალნი,

CXLVIII

გზა გავუკაფოთ
 სხვებთან ერთად
 დიად იდეებს,

იმათ დროშებს და
სიმალღეებს,
მათ სიდიდეებს.

ვიპოვოთ წყარო,
უწმინდესის
მისის სათავით,
უბრალოებით,
მარტივობით
და სისადავით!

CXLIX

ღირიკა თრთოდა,
მძლავრდებოდა.
რეკდა საერთოდ,
კაცობრიობის
სვლასთან ერთად,
მასასთან ერთად!
რევოლიუციით
ვიდოდა წინ,
როს უახლესი
კაცთა ცხოვრების
იდეალი
ჩნდა უმაღლესი.

CL

ვარდატეხები
მსახურებდნენ
რა ნიადაგად,
ძვრები წინ სწევდნენ
პოეზიის
ცეცხლოვან ნაკადს —
ჯერეთ მდინარედ,
მერე ზღვებად

რომ გასწვდენია,
იბადებოდა
ბუმბერაზი
მაშინ გენია

CLI

და მომავალი
თაობისთვის
სწყვეტავდა ძლიერ
დიდ ამოცანებს,
დასმულთ წინა
თაობის მიერ.
მისწრაფებანი,
ქმნილნი რყევად
და ამბოხადა,
თუ არ შექსპირმა,
თავის დროის,
ვინ გამოხატა?

CLII

ჰამლეტის ეჭვში
უმრავლესი
წინასწარ სჭვივის —
ფილოსოფიის
მონათებათ
შემდგომი სხივი.
აგრეთვე წიგნი
და ეპოქა
ალიგიერის
ანარეკლია
შეჯახების
ძლიერ-ძლიერის.

CLIII

რუსოს გენიას
 ქარიშხლიანს
 შეეძლო რისთვის
 შეეწყო ხელი
 ახალგაზრდა
 გიოტეს ხმისთვის,
 თანაბრად ხმისთვის,
 რომელმაც ვით
 ცეცხლის ბზრიალა
 მარსელიეზად
 საფრანგეთზე
 გადიგრიალა.

CLIV

ლირიკად ყველა,
 უმთავრესი
 რაც სიმაგრეა,
 რევოლიუციის
 ქარიშხალში
 წინარ დაჰქრიან.
 რამდენი ერთი
 როგორნაირს
 მისდევდა ვნებას,
 მკაცრ ეპოქაში
 რომ აქებდა
 თავისუფლებას!

CLV

ლექსი ცოცხალი
 მოწამეა
 როგორც დღე-ღამე,

საბედისწერო
ქარიშხალთა
დიდი მოწამე!
ოდეს მომწიფდა
აღელვებულ
ხალხში ნათესი
აზრით და საქმით
ოქტომბერი
უღიადესი,

CLVI

კაცობრიობის
ჯერარნახულ
მზის ამონთებით —
თვალუწვდენელი
გაიშალა
ჰორიზონტები.
უკეთესთ შორის
უკეთესი
ამ ხნით იქმნება
ლირიკის სული,
მისი ხალხთან
გადაწიგნება.

CLVII

შემარყვევლი
ნებისყოფა
და მრისხანება
ძღვევის პათოსით,
სიყვარულით
მიექანება
ლექსით, რომელსაც
ჰქვია „ინტერ-

ნაციონალი“,
ერთაშორისად
მოკვეთილი
და ეროვნული.



CLVIII

მილიონების
მისწრაფების
თანაზიარად,
იგი გენიის
უმძაფრესად
გადიქცა ქნარად.
ერმა თავისი
უშიშარი
მონახა ბინა:
ბელორუსია,
საქართველო
თუ უკრაინა,

CLIX

ერთმანეთს შეხვდა
პოეზიით
მოგიზგიზეთი,
ადერბაიჯანი,
ტაჯიკეთი
და ყირგიზეთი,
სიმღერით მოდის
ის სომხეთი,
იგი რუსეთი,
არ არის ძველი
ჯოჯოხეთი
და ბურუსეთი —

არამედ, ვრცელი,
 მშვენიერი
 გადასახედი.
 თურქმენეთია,
 უზბეკეთი
 თუ ყაზახეთი —
 მომღერალია
 უძლეველი
 თორმეტი დროშის,
 ყველა თავის ხმით,
 ისე როგორც
 საქართველოში.

CLXI

ამ მეგობრობას
 სამუდამოდ
 გამჭრალ ღრუბელით,
 ახალ ქალაქით,
 ახალ სოფლით
 ახალ ყანებით
 ვგრძნობდი და ვიგრძნობ
 ჩემის ჩანგის
 თავისუფალის
 თავისუფალზე
 თავისუფალ
 აღფრთოვანებით.

CLXII

ყოფნა კავშირში,
 ყოფნა ძმობა —
 მეგობრობაში,

ურყეველ გრძობად
ყველას გულში
გვეკონდეს წრთობილი
და საბოლოოდ
მიღწეული
იქნება მაშინ
მიზანი ლექსის,
გულწრფელი და
კეთილშობილი.

CLXIII

თუ საზღვარს იქით
ბოროტებამ
გაამნათობა
და დაათოვა
არე-მარეს
ბრმა ძლიერება,
თუ უმართლობა,
სიბეჩავე
და ძალადობა,
გაუტანლობა,
სიხარბე და
ბიწიერება

CLXIV

ანებიერებს და
ამოძრავებს
დიდ ფუფუნებით,
ოქროთი მოსილ
უსირცხვილო
დარბაზთ ზნეობას,
თუ ეკლესია
კვლავ აგუგუნებს,

ვით გუგუნებდა,
კაპიტალს, მდიდართ
ძორჩილებას,
პირმოთნეობას,

CLXV

თუ მონას, ვისაც
ჯოჯოხეთით
ამწუხარებდა
ჩაგრულ მხარეთა
მძიმე შრომის
და მონობის გზა,
არ ახარებს კვლავ,
ვით არასდროს
არ ახარებდა,
არც გაზაფხულის,
არც ზაფხულის
მშვენიერი ცა.

CLXVI

თუ ხეთ სიგრილეს
სიყრმიდანვე
გადაჩვეული,
შემოხვეული
ქართა ქროლვით,
ნისლთა ობობით,
ხალხი სნეული,
უსახლკარო
და დამშეული
ხელდაცარული,
მოკლული დგას
შემოდგომობით.

CLXVI



თუ ვერ გრძნობს ისე,
 ვით ვერ გრძნობდა
 სითბო — სიმშვიდეს,
 როცა ზამთარის
 დაიქროლებს
 სიცივე ავი,
 თუ ცით დასცქერის,
 ვით დასცქერდა
 კიდიით — კიდეს
 საბედისწერო,
 უღმობელი
 შავი ვარსკვლავი, —

CLXVIII

დიდი ხანია
 რაც ვარსკვლავი
 ჩვენში გაბრწყინდა,
 დიდი ვარსკვლავი
 მეგობრობის,
 ძმურ სიყვარულის.
 ფრიალებს დროშა
 ქვეყნის მხსნელი,
 გრძნობათა წმინდა
 ზვავით აზვინდა
 პოეზიის
 ცეცხლის ფარულის.

CLXIX

დროა, სიმღერით
 რომ მოსავლის
 ზღვა მოაქუჩო,

დროა სიმღერით
რომ დაზგები
ააკანკალო,
გულმხიარულად
და სიმღერით
დაჰკარ ჩაქუჩო!
გულმხიარულად
და სიმღერით
მიდი, ნამგალო!

CLXX

ოქროს თავთავი,
მეგობრებო,
წავართვათ სამკალს
და სამკაულად
ეპოქისთვის
დავწნათ გვირგვინი,
გვირგვინი იგი
გარს მოვავლოთ
ჩაქუჩს და ნამგალს,
რომ გზა შეამკოს
პოეზიის
ნათელი ბრწყინვით.

CLXXI

გზებით, გაშლილით
მომავლისთვის
მეომარ ლექსით
აქეთ, ადიდეთ
ჰუმანიზმით
გატანა კვალის
გზებით — წარსულში
ანთებულთ

მარქსით, ენგელსით,
მომავლისაკენ
მივყევართ ჩვენ
ლენინს და სტალინს



CLXXII

აქეთ, ადიდეთ
სამშობლოს
ბედნიერების
მეცნიერებათ
სასწაულნი,
მზე და კანდელი.
გმირთ სიმამაცეთ,
მარადისი
ჩანგი იუღერებს,
რომ სძლიეს ყინულთ
და ღრუბელთა
კორიანტელი.

CLXXIII

ახალი ერა,
მისი ახლად
ამეტყველება
თან გდევდეს, ოდეს
სამოძრაოდ
ცად შევარდები,
იყვნენ დღეგრძელნი
ჰე, მამულო,
შენი მცველები,
მგოსნებთან ერთად,
ღვეგმირები
და შევარდნები,

CLX XIV



ახალგაზრდობა,
 ყვაეილები,
 და მწვერვალები,
 შენი ქალები,
 მშვენიერი
 შენი ქალები.
 ჯარი დუშმანით
 არასოდეს
 არკმაყოფილი,
 მტრის უნდობელი,
 მტერთან მტერი
 ძმასთან კეთილი
 რევოლიუციის
 მოგუგუნე
 ცეცხლში შობილი,

CLX XV

ცხარე ომების
 ქარიშხალში
 გამობრძმედილი,
 სასო, იმედი
 მსოფლიოს
 ყოველი ერის,
 ყოველი ერის
 მოერთგულე
 ფარ-მუზარადი,
 შემსრულებელი
 გარდუვალი
 და საღეთო ვალის.
 თავისუფლების
 დიდებულის —
 მცველი მარადი, —

სიმღერით მოდის.
არ გადუხვევს
რჩეულ გზისაგან,
სხვა გზა — უცნობი —
ვერასოდეს
ვერ შეირიგოს...
იგი ისწრაფვის
კომუნიზმის
გამარჯვებისკენ.
მაშ, გაუმარჯოს
სიმართლისთვის
მებრძოლ ლირიკას!

1940 წ.
25 — 27 იანვარი

ა მ ი რ ა ნ ი

(ნობათიდან)

I

აღმოსავლეთით
ზეცა კრიალა,
აჰა, იალებს!..
სიომ სიმებად
გაიწკრიალა,
და ტყე შრიალებს!

დასავლეთიდან
კალთები მწვანე —
ფარჩა და ჩითი,
ხავერდოვანი
ზღვა-ოკეანე
შრიალებს დიდი!

გაზაფხულის მზის
სიუხვე-სითბო,
ელვა-კაშკაში
ღრმად ჩადიოდა,
ვით ნელი სიტკბო,
დედამიწაში...

სიცოცხლე ჩქეფდა,
სიცოცხლე დუღდა,

სიცოცხლე წვავდა.
იგი წყაროსებრ
ამოჩუხჩუხდა
და გადმოზვავდა...

იგი მიდამოს
ციდან ასხამდა
მაგიურ ძალას,
არსებას ყოველს
ფრთებს შეასხამდა
ლაყვარდს, კრიალას...

ურყეველი კლდე
გააპო ორად,
გააკასკასა,
და ალტაცება
მოჰფინა შორად
მიწას და ცასა!

ამოსკდა მიწით
ყვავილთა ჯარი
ფერადღერება,
გასაოცარი,
როგორც ზღაპარი,
და ამღერება!

მშვენიერ ფერთა
მოსკდა დიდება,
აბიბინება,
ცვარ-ნამით მოთვალ-
მარგალიტება,
და გაბრწყინება!

ისმის ზუზუნი
დაუღალავი
და უღეველი ...
უცებ აჟღერდა

ამ უთვალავი
მწერით ტყე-ველი.

ხმაური ჰაერს
ვრცლად მოსდებია
ამ ურიცხვ ჯარის,
ყველგან, სადაც გზა
შესტოტებია
ან გზა არ არის.

მშვენიერება
ყველაფერს ნიშნავს,
მხნედ მოარული.
მზის და სიცოცხლის
ვის გაუთიშავს
გზა მოხარული?

ორნივ მგზნებარე
ცეცხლით ღვივიან,
მღერალნი ქნარად,
ორივე ერთი
და იგივეა
მარად და მარად!

II

და სოფლის ზემო,
ციცაბო მთაზე,
სად კლდე იწყება,
იფნის შოლტივით
მოქნეულ გზაზე
ჟღერს ასიცხება.

კლდეებში, რანიც
დახრილან ბნელად,
იმ უშორესი

მთებისკენ ფარას
უკანასკნელად
მირეკავს მწყემსი.

მზისგან დამწვარი
და შავთვალწარბა,
ცქერამზიანი,
ამოსვლას მზისას
შეჰხარის ხარბად
ის, ეშხიანი,

სვლამარდი, მხოლოდ
არმქონე ფრთების,
ამ მთების ხატი,
ნამდვილი შვილი
მშობლიურ მთების —
მგზნებარე რატი.

სახლში ყველაზე
მცირეა, მარა,
რა არის მერე?
ბიძის ოჯახში
ყველაზე უმცროსს,
ყველას დამჯერეს

ევალება, რომ
გარეკოს ფარა
დილაადრიან
ისე, რომ მზემაც
ვერ ამოუსწროს,
ვით ინატრიან.

ის უფროსებმა
ამ სისხამ დილით
ზევით ააგდეს.
არ დაუწყიათ

მასთან ბოღიში:
ვინ გადააკვდეს?

მავრამ არ ეთვლის
სიბოროტეში
ქცევა იმათი.
არავის გულით
კეთილშობილით
არ ერჩის რატი.

უარით იგი
ვერ აიცილენდა,
ვერასგზით, წასვლას;
და შორს ბილიკებს
გაუდგა დილით,
არჩია გაცლა . . .

მონახა თავის
აატარა გუდა,
ჩააწყო შიგნით,
სამწყესურში რომ
მიჰქონდა მუდამ,
ძვირფასი წიგნი —

წიგნი დევგმირის
ამირანისა,
ყველი, ხმიადი . . .
არდაყოვნება
იცის ხანისა
და მიდის რატი.

III

სიცოცხლე ჩქეფდა,
სიცოცხლე დუღდა,
სიცოცხლე წვაავდა . . .
გაიპო ორად

კლდე, საბუღარი
ორბთა და სვავთა . . .



და კლდიდან წყარო
ამოჩუხჩუხდა
ანკარა ასად,
და ალტაცება
მოჰფინა შორად
მიწას და ცასა!

სიცოცხლე დილის
სხივთა კრთომაში
იყო ძლიერი,
სულ მალლა-მალლა
იწევდა მნათი
პირმშვენიერი!

თავის თხებს კლდიდან
კლდეზე ხტომაში
ეჭიბრებოდა,
და სიხარულით
ცოცხალი რატი
ზეცას სწვდებოდა.

დაქანებული
ფერდობის მგრძნობი
არსებით სრულით,
მგრძნობი სიცოცხლის
ძალთა ფარულთა
სულით და გულით,

რატი სულ უფრო
გამხიარულდა,
ვით ცისკრის ქღერა,
და თავის ზარის
მსგავსი წკრიალა
ხმით დაიმღერა.

მან ალტაცებით
იგი სიმღერა
გასძახა არეს.
მოხდენილი ხმა
მიიბნ-მოიბნა
კლდე ტყიან მხარეს.

ამღერებულ
დაადგა რატი
პატარა ბილიკს.
ბილიკი უცებ
გაგანიერდა,
როგორც გზაშლილი.

ბილიკის ორთავ
მხარეს ზეიადი,
ვით რხევა ჩრდილთა,
ჩანდა ლამაზთა
და მშვენიერთა
ფენა ყვავილთა.

ყელამდე მოსულს
ბალახს საძოვარს
არხევდა ქარი,
და მხიარულად
დახტოდნენ თხები
სწრაფი და ჩქარი.

ნოყიერს, ნამით
გამოსაწოვარს
ბალახს სწვდებოდნენ,
და უდიდესი
სიამოვნებით
შეექცეოდნენ.

აგერ სალამო
დროც მოახლოვდა,

ვით გაშლა ფრთების,
სწვდა არემარეს
გრძელ-გრძელი ჩრდილი
მაღალი მთების.

შუქ, დასავლეთ
ცაზე დაგროვდა
და შეეთვისა,
და ამოძრავდა
ნიავი გრილი
ხეობებისა.

IV

წყარო ნათელი,
როგორც მთის დილა,
ჰპოვა ანკარა,
გადაფარული
ფოთოლ ნეშოთი,
ლამაზი წყარო.

მხურვალე სახე
მან გაიგრილა.
ვერცხლებრ ცინცხალი,
მოწყურებულმა
დალია პეშვით,
ანკარა წყალი.

წაჰგავდა ახლა
მისი ოცნება
მთელ ერთ სამყაროს,
და მზიარულად
შეუდგა სამხარს,
გემრიელ სამხარს.

ო, მშვენიერო,
საამო წყარო,

სიგრილის მფენო!
ო, სიყმაწვილევ,
რა მცირე გყოფნის,
რომ მოისვენო...

რომ ყოველ ნატვრას
გადააფარო
ცა მონიავე,
მთელი სიკეთე
ყოფნა-არყოფნის,
მთელი სიამე!

კარგ გუნებაზე
დამდგარი რატი
გულადმა მიწვა.
დიდხანს ტკბებოდა
გარემოს ცქერით,
ათრობდა მიწა.

აი, ამ მწვანე
მთების გადაღმა,
აღმოსავლეთით,
დიდ მთას რომ თავი
ამოუყვია
თოვლით ნაკვეთით,

გიჟი მდინარე
მიჰქრის თავდაღმა
გააფთრებული,
ბუნება ლალი
და გულუხვია,
და დიდებული.

ძვირფას, ბრჭყვიალა
მარგალიტებით
ივსება არე,
ელვარებს იგი

მთა თოვლიანი,
ცამდე მდგომარე.

აბრეშუმით და
ფერად ჩითებით,
ზღვა აბრეშუმით,
ელავს ღრუბლების
ელვა მზიანი
ლოდინით ჩუმით.

ბევრის გაგების
არ ჰქონდა ძალა,
არ იყო სიტყვა.
აწ საყვარელი
წიგნი გაშალა
და იწყო კითხვა.

სხვა სიცოცხლეში
გადაიყვანდა
მას კარგი წიგნი,
ამოძრავებდა სხვა
ქვეყნისთვის,
სხვას გრძნობდა იგი.

მომჯადოებელს
წიგნი საუბარს
მასთან იწყებდა,
უმალლეს გრძნობებს,
გულში ნაგუბარს,
განუღვიძებდა.

მღეროდა წიგნი
გასაოცარი
იმ ამირანზე —
დევემირზე, რომელს
ყორნების ჯარი
ხორცს ჰგლეჯდა ტანზე.

ვერ შეეხედა
ვერრით მზისათვის.
გულგანაგმირი,
ამქვეყნად ცეცხლის
მოტანისათვის
მიჯაჭვეს გმირი.

V

ამასობაში
მთლად ჩამობნელდა
მთები, ტყე-ველი;
დადგა დუმილი
არეთა ვრცელთა
დაურღვეველი.

დაიქროლებდა
მხოლოდ ნიავე
ნელი სისინით,
როგორც წყაროს ხმა
მონანინავე
შორი ლოდინით.

ღრმა ხევის ხმასთან
ისმოდა წყნარი,
ხმა იშვიათი;
და ტკბილმა ძილმა,
ვით მისი ცხვარი,
დაიპყრო რატი.

ო, გადმოფრენა
სიზმრის ცბიერის,
ვარდების ფენა
სიზმრების, რომლის
სიმშვენიერეს
ვერ აწერს ენა!..

შემდეგ ესიზმრა,
 თითქო მთებს იქით,
 მღელვარე გრძნობით,
 ის მიდიოდა
 ვიწრო ბილიკით —
 ყოვლად უცნობით.

გარშემო ლანდნი
 იდგნენ ციხეთა,
 მთა — გარე გარი...
 მან მიიხედა
 და მოიხედა:
 თუ ექცა მხარი?

ძლიერ უცხოა,
 უცხოა რაღაც
 მთა უმაღლესი.
 იდგა სრულიად
 უცნობ ალაგას
 პატარა მწყემსი.

თვის საყვარელ მთებს
 კარგად იცნობდა —
 შეზრდილი არი,
 მაგრამ ამ ადგილს
 ვერ შეიცნობდა:
 მოექცა მხარი?

ყოფილა მთებში,
 ყოფილა ტყეში,
 ბევრჯერ ყოფილა;
 ეს ადგილი კი,
 ო, თავის დღეში,
 ეს სამყოფელი,

ჯერ არასოდეს
თვალს არ ენახა;
და ახალ გრძნობის
სახეზე შიში
გამოესახა:
შეუცნობლობის.

ესიზმრა: მის წინ
უფსკრული შავი,
გაიპო, ბნელი.
უძირო რამე
გამოჩნდა, ავი,
ქვევით — ქვესკნელი.

უზარმაზარი
კლდეები ისე,
აეად ნაზრახი,
გადმოწოლილი
იყვნენ, ნაპირზე
გადანასახი.

თითქო ახლავე,
აი, ამ წამში,
მოსხლტება, განა,
გადმოინგრევა
და წავა ხრამში
მთელი ქვეყანა.

და გაიფიქრა
რატიმ: ო, ბედი!
რა ამბებია!
შენი ჭირიმე,
აქ სად მოვედი,
ან რა მთებია?!

სიჩუმე იყო.
დუმდა ყოველი —

მთა, საძოვრები.
არც ახლობელი,
არც უცხოელი,
არ ჩნდა მცხოვრები.

მაგრამ, აი, ჯერ
გასაოცარი,
ჩუმი და ფრთხილი
რალაც მოესმა
ხმაური წყნარი,
უცებ შემკრთალი.

VII

რალაც ჩურჩულის
ხმა კვლავ მოესმა
მახვილი, მჭევრი.
თითქო არსებამ
უახლოესმა
გასწია ტვერი,

შეჰქმნა შრიალი
და ფაჩაფუჩი
მწვანე ქათიბის,
რალაც უსაგნო,
რალაცა ურჩი
გაზვიადების.

ეგონა კლდე-ღრეთ
ატყორცნილთ სივრცეს,
მიაპყრეს თვალი,
და ერთმანეთში
ჩურჩული იწყეს
რამ იდუმალი.

ლამე ჩუმი,
ლამე შავია,

არც ნიავია.
მავრამა, ო, ეს
რალა ზეავია —
რა ამბავია?!

ახლა კი სრულად
ცხადად მოესმა,
მხოლოდ ერთხელი
ჭერად ყვირილი
და მერე კვნესა
გულგამჩხეხელი.

კვნესა და ოხვრა
ადამიანის
მოესმა ცხადად . . .
აი, კიდევ ის,
აი, კიდევ ის...
ვინ გამოხატა

ეს კვნესა მწარე,
ეს მძლავრი შფოთვა
მაწყევლარ ბავის,
სულ ახლო კლდიდან
რომ მოისმოდა,
ვით ღელვა შმაგის?!

რატიმ იფიქრა:
არაა მეხი...
ტკივილთა ტენა...
ალბათ, კლდით ვისმე
დაუსხლტა ფეხი
გადმოიჩხა.

ამ ფიქრით მალე
მღელვარე რატი
იქით გაქანდა,
სად ხმა ისმოდა.

იყო წყვილიაღი
და არვინ ჩანდა.



VIII

ესიზმრა: თითქო
რაღაც ძალა მას,
ძალთ უმძაფრესი,
ეწეოდა და
უჩვენებდა გზას.
შეფიქრდა მწყემსი.

აი, გაიხსნა
რაღაც ხვეული
უზარმაზარი,
აი, გამოჩნდა
კლდე გარღვეული,
შიგნით საზარი —

ყოვლად საზარი
სიბნელე იდგა,
ყოვლად მგლოვარე
გმინვაც ისმოდა,
აი, ამ კლდიდან,
ამგვარად მწარე.

რატის ფიქრები
შიგნით მიჰქრიან:
ვინ კვნესს, ვინ არი?
რატის აქ დიდხანს
არ უფიქრია —
გადავლო ნარი,

ელვასებრ კლდეში
შეიჭრა რატი.
რასაც ელოდა,

არათფერი აქ
არ იყო ცხადი,
ისე ბნელოდა.

ყრუ სიბნელეში
იწყო ფათური,
კლდეს ეხვეოდა.
რალაცა ძალა
ანდამატური
კვლავ ეწეოდა.

წინაგრძნობებმა
დაიწყეს გულში
ხშირ-ხშირი ფეთქვა.
უცებ, დიდ, ფართო
ვამოქცეაბულში
შემკრთალი შედგა:

ქვაბურს სინათლე
სდიოდა მადლით.
ოდნავი მადლით
იფინებოდა
ურკვევლად, დადლით
მკრთალი სინათლე.

ამ უჩვეულო
უცხო ალაგას
შედგა, გაშეშდა...
და სანათური
სინათლის ლაქას
ათამაშებდა —

ზედ შუა ადგილს,
სანათურს გასწვრივ,
ტანჯვაში ნალეს
თვალეების ელვა
მძლავრი და ბასრი
შეხვდა მის თვალებს.

და ამ დიდ კლდეზე
სახე-ვნებული,
მცქერალი ტანჯვით,
გაუკითხავად
მიმაგრებული
მაგარი ჯაჭვით,

იყო უცნობი,
სიზმარეული,
კლდეს ახალგაზრდა...
სახეზე დაღად
აჩნდა ხვეული
ნაწამებ აზრთა.

IX

რა ტანჯვის, სახეს
ეხატებოდა,
სასტიკი დალი!
სახედ სინათლით
ოდნავ კრთებოდა
ნაგრძნობ-ნანახი

და განიერი
მისი მხარ-ბეჭი,
მთელი სხეული
თრთოდა ტანჯვათა
დიდ სიჭარბეში
გამომწყვდეული.

გამოიხედა
რა ვეფხვის თვალით,
ჯაჭვი იძია;
საოცარ ძალით,
საშინელ ძალით
წამოიწია,

მაგრამ ჯაჭვები
იყვნენ მაგრები,
მტკიცედ კვეთილი,
თითქო უხილავ
ძალთ მონაკრებით
გამოჭედილი.

დამსხვრევის ნაცვლად
გულუმაღური,
შეურყეველი
ჯაჭვთა გამოსცეს
ხმა ჩხარაჩხურის
დაუძლეველი.

კვლავ კვნესას იმას
ყრუ, უდაბური,
სისხლით სოველი —
იმეორებდა
ბნელი ქვაბურის
კუთხე ყოველი.

აქ ყოველ კუთხეს
დაპკროდა დაღად
მძიმე წვალეზა.
რატის უეცრად
მოესმა რაღაც
აშრიალეზა.

სანათურიდან
ზევიდან ქვეშა
ფრენა საზარი
ტყვიის სიმძიმით
ძირს ჩამოეშვა
უზარმაზარი,

უზარმაზარი,
რალაც ვეება,
სასტიკი ძერა . . .
მოკუმშა ფრთები
და კაცს შეება,
ვით ბედისწერა.

და დააფრინდა
ის გაათრებით
გულ-მკერდზე ქაბუქს.
ის წრიალებდა
და მისი ფრთები
წაჰგავდა ქარბუქს.

და მან ნისკარტით
თვისით მაგარით,
კლანჭებით თვისით
უუმძაფრესით,
გრდემლისმაგვარით,
უუსწრაფესით —

დაუწყო ხორცის
წიწკნა და გლეჯა,
გლეჯა და წიწკნა,
შეუბრალებლად
დაუწყო ქეჯნა...
შველა არ იქნა,

და მონკარე
სისხლი თქრიალით
გადმოსკდა მკერდით,
შესაზარი ხმა
კენესა-ზრიალით
ისმოდა გვერდით.

რატი ვაების
 იყო მცქერალი.
 ეს მწარე გმინვა,
 წამების გმინვა
 აუწერელი
 ვერ მოითმინა.

და რაიმეს სხვას
 რომ გახდა ვერას,
 გაცეცხლებული,
 ზიზღის ძახილით
 მივარდა ძერას,
 გააფთრებული.

შეება მედგრად,
 არ დააცალა,
 ხერხით უტევდა,
 რაც კი გააჩნდა
 ღონე და ძალა,
 სცემდა და სწევდა.

დაუნდობელი,
 ბოროტი თავის
 მოტრიალებით,
 ძერამ თავისი
 გულგამგმირავი,
 ბასრი თვალებით

შეხედა რატის,
 და გაოცებით
 წაუხდა თვალი,
 თითქო რაღაცა
 ბოროტ ოცნებით,
 უცებ შემკრთალი.

მასში იღუმალ
შიშმა იალა,
ქარბუქის მღებნი
უცებ გარინდდა,
კვლავ იფრთხიალა,
გაშალა ფრთები,

გაშალა ფრთები,
საშინელ რხევით
და ცერა-ცერა
სანათურითვე
ავარდა ზევით
დამფრთხალი ძერა.

X I

რატი დამშვიდდა.
მოსინათლობის
მზერით ნათელით,
თვალით უსაზღვრო
დიდი მადლობის
გამომხატველით,

ჭაბუკი იგი
გასაოცარი
მას უცქეროდა,
თითქო წამების
მისი საზღვარი
ისევ სჭეროდა.

უიმედობის,
მუხთალი ბედის
მტანჯველი სევდა
გაჰქრა, და ისევ
დიდი იმედის
სხივი გამეფდა.

ისევ გამეფდა
მადლიან სხივის
ელვარე ბზინვა,
და ტანჯულ სახეს
მისი ლივლივის
ცა მოეფინა.

შეხედა რატის.
წამების დიდის
კვნესა შეწყვიტა,
და უთხრა ყმაწვილს
საოცრად მშვიდი
და წყნარი ხმითა:

— ო, გულკეთილო,
ოჰ, გულკეთილო
და კარგო ბავშვო!
ბედმა, რომელმაც
აქ ჩაკეტილი
გული ჩაახშო,

იმედის სხივი
რომ არ დაინდო
და მომცა დაღლა,
ჩემს ტანჯულ სულში
ისევ აინთო
იგი ხელახლა.

თუ შენ გსურს, მართლაც,
დამხსნელო ჩემო,
შენ შეგიძლია
გაჰფანტო, რაც კი
ჩემს გარეშემო
ბნელი ნისლია.

და სამუდამოდ
გაჰფანტო ბნელი,

დამიხსნა, რათა
მეც ძველებურად
ვიყო მშველელი
ერთა და ხალხთა.

— ნეტა ვიცოდე! —
შესძახა რატიმ —
შენი იმედი
მსურს გავამართლო...
როგორ და რათი?
ვით? რაიმეთი?..

მიბრძანე, რაგინდ
არ იყოს რთული,
თუ შემეძლება,
მარად და მარად
მზადა ვარ, გული
არ შემეცვლება.

მინდა გიშველო,
მაგრამ აბა მე
რა გამეგება?
გემუდარები,
მიბრძანე რამე,
ვიხსნა ეგება.

მე ვარ უბრალო,
მე ვარ საწყალი,
პატარა მწყემსი.
არ მაბადია
მიწა და წყალი
რამ უმეტესი.

და ყველაფერი,
რაც კი დღემუდამ
მე მაბადია,
რასაცა ხედავ:

მხოლოდ ეს გულა
და ნაბადია.

არც არა ცოდნა,
შემცნობი ყოვლის,
რამე მეღირსა,
არა ვიცი რა,
გარდა ცხვრის მოვლის
და სიმღერისა...

XII

— გმადლობ, ძვირფასო
ჩემო პატარა,
დიდი გაქვს გრძნობა.
რა ბედმაც შენ აქ
შემოგატარა,
მასაც მადლობა!

სიკეთეს შენსას,
ნახულს ამ კლდეში,
კარგად გახსოვდეს,
არ დავივიწყებ
მე თავის დღეში,
ო, არასოდეს!

თუ რომ უბრალო
რამეს ეცდები...
თავს არ გაცოდებ...
ხედავ, ა, იმ ჯაჭვს?
თუ რომ შესწვდები
და მომაწოდებ,

ასე საშინელს,
ასე უმტკიცესს
ბოლოს ჯაჭვისას,
გარდუვალ მიზეზს,

საზიზლარ მიზეზს
ჩემი ტანჯვისას.

ბოლო იმ ჯაჭვის,
მიბმულის ქიმზე,
ვრცლად მოოქვილი,
მინდა ხელთ ვიგდო,
მაგრამ მე ისე
ვარ შებოჭილი,

რომ ვერანაირ
ვერ სწვდება ხელი.
მსურს ხელთ ჩავდება
მე იმ ჯაჭვისა.
შეუძლებელი
რამე კი ხდება.

ბოლოს ჯაჭვისას
როგორმე ისევ
თუ ხელს ჩავავლებ,
მე მეშველება,
მე თავს ავიწყვეტ
და სულს არ დავლევ.

მე თავს ავიწყვეტ
და მოელება
ბოლო, ვით სიზმარს,
დაუსრულებელ
კლანკის შეხებას,
კორტნას საზიზლარს.

XIII

მივარდა რატი
ჯაჭვს, გზნებამალი,
სწრაფ აარწია;
ასწია რაც კი

შესწევდა ძალი,
და ვერ ასწია.

სუნთქვას უმატა
და მოუხშირა,
ასწია. ხოლო
ძლივძლივას ტანჯულ
კაცს გაუშვირა
იმ ჯაჭვის ბოლო.

ვაგლახ! ის ჯაჭვი
მოკლე აღმოჩნდა:
ქიმსაც ძლივს სწვდება...
მიჯაჭულის ხელს
ის თითქო მისწვდა
და ველარ სწვდება...

— ოჰ! — დაიკვნესა
და ხმამ ლოდების,
ვით თავკვლა, წყვეტა,
გაიმეორა:
ნეტავ როდემდის?
როდემდის ნეტა?!..

როდემდის უნდა
ვიტანჯო ასე?
მსხვერპლმა ბნელობის
როდემდის უნდა
ვსვა მწარე თასი
დაუხსნელობის?..

საუკუნენი
ცვლიან ერთმანეთს,
დღეს და საღამოს,
საუკუნენი
გვანან ზმანებას
დაუსაბამოს.

ჩემს ნაცვლად უამი
აქ ვერ დაეხას,
წყევლა, ვაება!
ბოლო არ უჩანს
ამ შავ ვაებას,
ვით უკვდავებას.

მომიახლოვდი,
ნომეცი ხელი,
კეთილო ბავშვო,
დამიგდე ყური:
თუ გსურს ეს ბნელი
გამირიყრაყო,

იცოდე, ჯაჭვის
მე იმის ბოლო
როგორმე უნდა,
როგორმე უნდა
ხელთ მოვიყოლო,
რად ღირდეს, თუნდაც...

მაშინ დავამსხვრევ
ბორკილებს მწყრაღად...
განქრეს ღრუბელი!—
თავისუფალი
გავხდები კვალად,
თავისუფალი!

იცოდე კიდევ
შენ, ამას გარდა,
ის ჯაჭვი მთელი
რგოლთა ერთნაირთ
და თანაბართა
იყოს შემცველი.

და უსათუოდ
არარა სხვაის —

უძველეს რკინის...
სწორედ ამგვარის
და ამნაირის
გამოკვეთილის.

აგრეთვე ყველგან
ის ძველისძველი
რკინეულობა,
სადაც კი შეგხვდეს,
კვალწაუშლელი
აჩნდეს ძველობა.

და ერთი ჯაჭვი,
ჯაჭვი მაგარი
შენ გააკეთე,
სწორედ ამ სახის,
სწორედ ამგვარი,
სწორედ აგეთი.

და მტკიცე რგოლით
რგოლს მიმდევარი
მიეცეს მადლი,
გასჭედე ჯაჭვი,
სულ ნახევარი
რომ იქნეს ადლი.

მომიტან მას აქ,
მაგრამ გაფრთხილდი:
თრთის ქვეყნის თვალი —
არვინ არ უნდა
შეგიტყოს ტვირთი
ეს იღუმალი!

და ეს ამბავიც
არვინ შეგიტყოს
მსმენარემ თარსად,
არ შეგხვედრივართ

არასდროს თითქოს
ერთმანეთს არსად.



არავის თვალმა
არ უნდა ნახოს
ეს არემარე,
გამოქცეაბულში
არ განიზრახოს
შემოვლა გარით.

აქ მიჯაჭვულის
წამების ნახვა,
შენს გულში დარჩეს,
ცუდად ჩაუვლის
სხვას იგი ზრახვა —
ის ვერ გადარჩეს!

ჩვენი პირობა
იქნება მტკიცე
ხმა ძმათა თქვენთა:
გელი, ახლა კი
გამოიღვიძე:
დროა, გათენდა!

XIV

როს გაოცებულს
რატის უეცრად
გამოელვიძა,
გარშემო ნისლი
ეხვია ზეწრად,
იგრძნო ეს მიწა.

მაშ ეს... ეს იყო —
რატი მთლად თრთოდა —
მხოლოდ სიზმარი?!..
გამოიღვიძებულ

მთებს მოჰყენოდა
მბზინავი ცვარი.

ამოსულიყო
გაცოცხლებული
მთებიდან მზეცა,
ანთებულიყო
ალმოდებული
ლაყვარდი ზეცა.

შეხედა, მაგრამ
იქ ახლომახლო
არ იყო ცხვარი,
მაშ ეს, ეს იყო
სხვა სამოსახლო,
მხოლოდ სიზმარი?!..

კვლავ აღელვებდა
ფიქრთა კრებული,
რაც სიზმრად მოხდა,
წყაროს კიდიდან
გახარებული
მარდად წამოხტა.

და შურდულივით
დაეშვა ცხარი
მახლობელ გორას,
ეჰ, წასულიყო
ძლიერ შორს ცხვარი,
ძალიან შორა!

უფრო და უფრო
იგი ბილიკი
ვიწროვდებოდა,
თავისუფალი
მასზე სირბილი
ძნელი ხდებოდა.

ბილიკი უფრო
მოკლე ეძია,

უფრო ფერადი,
მაგრამ ცხვარს
მაინც ვერ დაეწია
მგზნებარე რატი.

უეცრად შეკრთა:
ამ მთების იქით,
ამავე გრძნობით,
ის რომ ვილოდა,
ვიწრო ბილიკით,
თითქო უცნობით —

ო, ეს ადგილი,
სწორედ ეს ნიში
სადღაც ენახა.
გაკვირდა რატი,
სახეზე შიში
გამოესახა.

აგერ იმის წინ
იგი მოწამე,
უფსკრული ავი,
ჩაფერდებული
უძირო რამე,
და შავზე შავი

აგერ იგი კლდე-
ახსოვს თუ არა
უზარმაზარი,
ასე საშინლად
რომ გადამდგარა
ხრამზე, საზარი?

თითქო ახლავე,
აი, ამ წამში,

ორომტრიალით
გადმოინგრევა,
და წავა ხრამში
ხრიალ-გრიალით.

რატი შეფიქრდა
ძლიერ: ო, ბედი!
ასეა განა?
შენი ჭირიმე,
აქ სად მოვედი,
რამ მომიყვანა?!..

XV

ახლა კი ცხადად,
ძალიან ცხადად
მოისმა, სხვისი,
გადაქცეული
ვერცხლის ნაკადად,
წრფელი კისკისი.

უცხო კისკისი...
შეფიქრდა დიდად:
სხვას არას გრძნობდა —
სულ ახლო, ახლო,
აი, იმ კლდიდან
გამოისმოდა.

ახმოვანება
ეს მხიარული
მეტად, ძალიან...
იფიქრა რატიმ:
ეს დაფარული
მწყემსი ქალია!

და ეშმაკობის
ბადით ნაკერი

ქსელია წინა...
მწყემსი გოგოა,
სხვა არაფერი
და არავინა...

ამ ფიქრით იქით
გაქანდა რატი
ხმების გიზგიზზე,
სადაც ისმოდა
ხმა იშვიათი,
ხმა მოკისკისე.

თითქო რაღაცა
დიდი ძალა მას
ფრთხილად, ბუნებრივ
ეწეოდა და
უჩვენებდა გზას,
ძალაუნებრივ.

აი, გაიხსნა
სუროხვეული,
მწვანე ნაპირი,
აი, გამოჩნდა
კლდე გარღვეული,
მოპირდაპირე.

• მაგრამ შიგნით კი
სინათლე იღვა,
დილას რომ ახლავს,
კისკისიცი სწორედ
აი, იმ კლდიდან
ისმის ხელახლა.

რატის ფიქრები
შიგნით მიჰქრიან —
სცადოს საცდელი...
რატის აქ დიდხანს

არ უფიქრია
რამ განსაცდელი —

ყოჩაღად კლდეში
შეიჭრა ის, ვით
კორიანტელი...
და ყველაფერი
შეიქმნა მისვლით,
დღესებრ ნათელი.

მზიანი იდგა
მწყემსი გოგონა
იმ ადგილების,
და ხელთ ეჭირა
ლამაზი კონა
მთის ყვავილების.

XVI

ისეთი იყო
ეს ქალი მწყემსი
ლამაზ მთა-გორის,
როგორც ვარსკვლავი
ულამაზესი
ვარსკვლავთა შორის.

დუმილის შემდეგ:
რას ეძებ შენა? —
ჰკითხავდა რატი.
და საუბარმა
დაიწყო დენა
ფერად-ფერადი...

— მეც დილიდანვე
გამებნა ცხვარი —
განაგრძო გოგომ —
ხომ არ გინახავს

სადმე მძოვარი?
არ ვიცი, როგორ...

არა?... მაშ მოდი,
ვეძებოთ ერთად.
ისინი გროვით,
ალბათ, საძოვრად
გავიდნენ ფერდად...
მაღე ვიპოვით.
.

ხელი ხელს მისცეს
და გამოვიდნენ
ფერადი კლდიდან,
რომელსაც გული
ჯერ ისევ კიდევ
ზღაპრულად ხდიდა.

კვალდაკარგული,
იქვე იპოვა
ორთავემ, ფარა,
ორთავე, იმავე,
უცხოდ სახსოვარ
კლდეს შეეფარა.

და უცქეროდნენ,
თუ როგორ ჩქარი,
სწრაფი და მარდი
სძოვდა ნოყიერ
საძოვარს ცხვარი,
მედგრად მიმმართი.

— მაყვალა, — ჰკითხა
რატიმ, — მითხარი,
რად არის ასე:
შეხედე — შენი

და ჩემი ცხვარი
გაშლილა მთაზე...

ნამიან ბალახს
რომ ერთად სძოვენ...
უყვართ მთა, ჭალა...
მთაში რა ნახე,
ანუ რა ჰპოვე,
მიტხარ, მაყვალა!

— რატი, — მაყვალა
ამბობს, — მგონია,
შენ ახალს ელი,
შენც, ალბათ, ბევრჯერ
გაგიგონია,
ამბავი ძველი —

შთამომავლობით
შთამომავლობას
სიტყვა-შაირი
გადასცემს, არის
ძველთაგან ცნობა
ასეთნაირი:

სამშობლოს ჩვენი
სანაპიროდან,
სად ჩანს მთის პირი,
მიჯაჭვულია
უძველეს დროდან
ის, გმირთა გმირი.

გმირთა გმირს დიდი,
ბოროტი ძერა,
მგესლავი თვალით,
თავს დასტრიალებს.
ვით ბედისწერა
გარდაუვალი.

ტანჯვით სავსეა
თვალი მზირალი
მიჯაჭვეულ გმირის,
სახელად ჰქვია
მას ამირანი —
ტყვე გასაჭირის

ცდილობს როგორმე,
რომ მოიშოროს
ბოროტი ძერა,
სამაგიერო
მიუზღავს ბოროტს;
მას გულით სჯერა,

რომ მიეცემა
რამე წამალი
ხალხს უებარი,
ბოროტი სულის
გადანამალი,
ის წმიდა კვარი.

— მაყვალა, მერე
გჯერა ის ძერა?
გჯერა ის კენესა?
— რატი, რას ამბობ,
ძლიერაც მჯერა
და მესმის დღესაც.

რატი გაფითრდა.
მას გული უცემს
სწრაფ გამალეებით.
ისევ ხმა რამე
მოისმა უცებ
აზრიალებით.

ჯერ არსმენილი,
საშინელი ხმით,

კლდემ იგრილა.
კლდე შეირყა და
მცენარენი მხრით
შეიტრიალა.

ხმა საზარელი
ხეთქვით მოვარდა,
ალიაქოთით.
უზარმაზარი
კლდე გადმოვარდა,
როგორც ნაფოტი.

და თვალუწვდენელ
ხევში ღრეშვა
ქარივით, მყარი.
ხმიდან ხმა მთიდან
მთას გადაეშვა,
დაუვიწყარი.

ყოველი მხრიდან
ხმა მისცა მთამა,
გულით აღმოხდა
და დიდხანს ქუხდა
არე-მიდამო:
ცხრომა არ მოხდა.

გაგრძელდა იგი
გრიალი, გრგვინვა
დიდხანს და კვლავად...
შიშით მაყვალამ
ერთი შეჰკივლა,
შეკრთა მაყვალა.

და მეგობარ მწყემსს
მიეკრა ვიშით
პატარა მხრებზე.
შესცქეროდა მას

უეცარ შიშით
თვალი მოაზრე.

— მაყვალა, მერე
გჯერა ის ძერა? —
ჰკითხავდა რატი.
— რატი, რას ამბობ?!
ძლიერაც მჯერა,
მჯერა, ვით ხატი

შენ კი არ გჯერა?
მითხარი რატი —
ჰკითხა მაყვალამ.
რატი შეკითხვით
შეკრთა ცოტათი,
მაგრამ მძლე ძალამ

მხნედ უპასუხა:
— განა არ ვიცი? —
თან გაიფიქრა:
მე ხომ ამირანს
მივეცი ფიცი! —
მაგრამ... ვით ვითხრა

XVII

ზღვის პირად, ქალაქს
ჩამოდის რატი...
ღელვა ქუჩების,
შფოთი მრავალი,
მრავალფერადი,
არდაყუჩების...

ის სამჭედლოში
მუშაობს თვითონ
დაუზარელი,
გავარვარებულს

ამზადებს ლითონს
სჭედს აჩქარებით.

რამოდენიმე
თვის შემდეგ რატი,
განუწყვეტელი
ვარჯიშის შემდეგ,
გახდა ოსტატი—
მარჯვე მჭედელი.

იგი ნამდვილი
არის მჭედელი —
მრავალნი სცნობენ,
რომ შრომაშია
გამობრძმედილი
და საქმის მცოდნე.

ოსტატი ძველი
ამაყობს მისით,
გულმხნე მზადებით,
უროს რომ გრდემლზე
ურტყამს ხალისით
და გულდადებით.

ელვარებს ქურა,
რკინა მზადდება,
ნახშირის სხივის
გახურებული
ვამონათება
აღისფრად ღვივის.

ძალას ედრება
მსგავსთა ზესთა ზეს
ცეცხლში ლითონი,
გავარვარებულ
აგვისტოის მზეს
წაჰგავს ლითონი.

ჰფეთქავდე ასე,
აენტე ასე,
ო, ჩემო გულო!
რკინა საქმეა
სიცოცხლით სავსე,
საგულდაგულო.

მისი, რომლისგან
დღე არ ფერხდება,
ქრუოლა იწყება,
არ შეიძლება,
არ მოხერხდება
გადავიწყება.

მოგონებათა
იმ წიგნის ძვირის
გზა არ იცვლება.
არგახსენება
ამირან გმირის
არ შეიძლება.

ახლოა შუქთა
ბინდებზე გაცვლა,
პირის ბრუნება,
მზის ჩაქრობაზე
მიმდგარი ჩასვლა
და მოდუნება.

იგი, მოქნილი
ოქროს რკინებად,
დიდებით ჩადის,
ოქროს ფოთლებში
მოიციქირება
და ხიბლავს რატის.

გამოხედვაში
მწუხარე ღიმის

მზე ჰბურავს თვალებს,
ნისლთ სიმსუბუქის,
კლდეთა სიმძიმის
ხსოვნა კანკალებს,

უმეორებელ
ხშირთა თმათ იმათ,
მთელი გენია
მდეღვარე შუბლზე
ჩანჩქერთა წვიმად
რომ მოჰფენია.

XVIII

ჩაქუჩო ჩემო,
მედგრად დაჰკარი,
შრომა იწყება,
აგუგუნდება
მთელი თაკარი
და განრისხება.

უმატე ქურას
ცეცხლი, ვიდრემდე
ამისი დროა.
ლითონი მივა
მთლად სითეთრემდე,
რაც საჭიროა,

და გადმოიღე
ქურიდან მალე,
აქციე ქაფად,
ლითონის ცეცხლი
გრდემლზე გაშალე
მალე და სწრაფად.

გადმოაბრუნე
იგი, დახედე,

შესძარ და შემდეგ
დაუნანებლად
სჭედე და სჭედე,
უცხრომლად სჭედე!

ამ წამში ცხელი
ლითონი უცდის
თავის მეომარს,
დარტყმას მოითხოვს,
როგორც სიზუსტეს
თანაზომიერს.

რომ ძალა გრდემლის
გაითვალწინოს,
ახსოვდეს, რომა
მას თანაბარი
დარტყმა დასძინოს. . .
ასეა შრომა.

გამოცდილება
და ხერხი აგრეგ
აგროვებს მძივებს,
რომ ლითონისას
აჩნდეს სიმაგრეს,
ვით ყოველივეს.

ლითონის სახეს
მკაცრად კეთილი
მისდევდეს გონი,
ლითონი ასე
გამოჭედილი —
არის ლითონი

დაჰკარი გდრემლი
არაგვინი,
როს შრომა იწყო,
არ დაივიწყო

ის ამირანი,
არ დაივიწყო.

შესძარ ნახშირის
ფერფლი ნათარი,
ნაცარი ტბორი,
რომ განისაზღვროს
წვა თანაბარი
მიმდევნო, სწორი.

კედლების მოძრავ
ალით, მაშინვე,
უცხოდ მფერველი,
აამოძრავე
მძიმედ მქშინავი
კვლავ საბერველი.

და ნაპერწკალთა
ჩინჩხლიან ფრთებით
საამურ ფრენას
მიაცილებდე
დროგამოშვებით
ფიქრების დენას.

იხედებიან
თვალეზი მკაცრად,
ვით მოზიარე,
არ გაუშვებენ
ოცნებას არსად:
ეგრე იარე!

არ შეიძლება
დათმობა. აგერ,
გრძნობის შემქცევი,
შველას მოითხოვს
მიჯაჭვულთ ბაგე...
ვერ გაექცევი!

მოგონებანი,
ვით ასიცხება,
ექებს უკეთესს,
არ შეიძლება
გადავიწყება...
ცეცხლს შეუკეთე!

ძმები არიან
ისევ ისინი,
და ზეცის ქვეშა
ესმის სისხლისმსმელთ
ბნელი სისინი...
შეუროთე შეშა!

ის კვლავ იგონებს
მოხუცი პაპის
ჩვეულ ზმანებას,
ამაღლევებელ
თქმულებებს, ზღაპრებს
და გამოცანებს.

აქ, იმ მთაშია,
ამ ქვეყნის გული:
დიდი ხანია,
დიდი ხანია
იქ მიჯაჭვული
ამირანია.

და მათ ესმოდათ
იმისი კვნესა,
ვინ მიაყურა,
მან დაიფიცა —
გულს შთაითესა,
და კვლავ დახურა

რომ იხილავს მას
ის ბორკილაყრილს,

და ეს მზადება,
რატის, ფიქრებში
ქურასთან დახრილს,
ეჩუმათება.

ცეცხლს, ცეცხლს აღევნე
ნიადაგ თვალი,
ნუ მიჰქრი შორად,
თანდათან უნდა
ღვიოდეს ალი,
თანდათან, სწორად.

აძლიერებდეს
ცეცხლს არა ხნობით,
არამედ მარად...
მხოლოდ და მხოლოდ
თანდათანობით,
თანაზიარად.

ცეცხლს გონიერად
მიემსახურე,
ვიჭრიდეს ღონე,
ყოველმხრივ შესძარ
და გაახურე
იგი ლითონი.

ფხიზელი უნდა
მომსახურება,
აწევა დონის,
გახლეჩას იწვევს
გადახურება
ცხელი ლითონის.

ზედმეტ ხურვებით
რკინა ფუჭდება,
გინდ იყოს ძველი,
ლითონი ტყდება

და ნაჭუჭღება,
წუნის შემცველი.



მარდად, ჩაქუჩო,
დაარტყი ცხრილი,
ქვა გააფიცხე!
ხომ გახსოვს, გულო,
ის ქალიშვილი...
რად დაივიწყე?

ალო, იფეთქე
და იელვარე
ღელვის მტარებლად.
შენც, საბერველო,
იყავ მღელვარე
შეუწყნარებლად!

რეკე, ჩაქუჩო,
გრდემლო, შენც ბანი
უთხარი ხშირი —
მიჯაჭვეულია
კლდეს ამირანი,
ის გმირთა გმირი...

ლითონო, ცეცხლო,
დამიმორჩილდი...
ამდენი უინის,
მზადაა ჯაჭვი,
ის სასახელო
უძველეს რკინის.

აწ ამირანის
მიზანი ხდება —
იმ ჯაჭვთა მსხვრევა,
და ბორკილთაგან
თავისუფლდება
შრომის სუფევა...

რეკე, ჩაქუჩო,
კიდითი კიდე,
ცხოვრება ასწი,
რკინას უჩქარე
ელვარედ წითელს,
აჯობებს ასწილ . . .

და დადგა ის დღეც --
მზის გარიყრაყით
გაჭქრა წყვედიადი,
ხელთაყვანილი
მიჰყავდათ ტაშით
მგზნებარე რატი.

ეს იყო ახლა
ვერრით დასათმი
სიცოცხლის კითხვა.
ეს იყო ხალხის
მებრძოლისადმი
აღერსის სიტყვა,

გული ყველასთვის
თანაბარი გზის
უსმენდა ყველას,
პირველი სიტყვა
რევოლუციის
აწვდიდა შეელას.

დაიძრა ხალხი
მძლავრი გუგუნით
და გაემართა
დიდ მოედანზე,
ზეიმი გულით
რომ გაემართა.

ხელთაყვანილის
ყვავილთა მკონარ

გულს გრძნობა მოხვდა.
ქალაქი დიად,
ჯერ გაუგონარ
გრიგალში მოხვდა.

მიღელავდა ზღვა.
და მსგავსად ზღვისად,
გულო, შენ ნახავ:
ფერს ამ დროშისას
სამარადისოდ
გზად დაისახავ.

არა პირადი
იყო საშეენი
სიტყვა, არა „მე“-დ,
არა საკუთარ
გამოსაჩენი
ხმისთვის, არამედ

საკაცობრიო
გზისკენ იწევდა
გზა ახალ არის,
ხალხის მორევზე
სახეში სცემდა
ალერსი ქარის.

იძროდა ხალხი,
თითქო ტიტანი
გემს ეწეოდა,
მაგრამ ამ დენას
თვითონ მერანიც
ვერ ეწეოდა.

ესმოდა, რასაც
სთვლიდა ხვალისად —
ჩაგვრის მიყვანა.
აღფრთოვანებამ

მომავალისამ
ხელთ აიყვანა,

რომ იმავე დღეს
ეგრძნო, აი, ეს
დაძვრა-მუქარა,
და მიემართა
პირველსავე დღეს-
დროშები ჩქარა!

ხალხი გმირია
და კიდევ რამდენ
გულის სიღრმიდან
სწევს გამარჯვებებს
უშორეს ზღვამდე
ჩვენს შავი ზღვიდან!

იძროდა ხალხი,
ხალხი კი დევი
და ტიტანია.
იგი იგივე
